

652  
1962

14135330  
812-0110333

6  
1962

Handwritten title in Devanagari script: *संस्कृत-विद्यालय-संस्कृत-विद्यालय*

13161

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ვ. მაღაჯონია — ლექსები . . . . . 3

პ. ლორია — შეხვედრა ცოდვებთან (მოთხრობა) . . . 5

ფრ. ხალვაში — მზე წვიმაში (პოემა) . . . . . 19

ბ. სანადირბძე — ადამიანებს ყოველთვის უნდა გვესმოდეს ერთმანეთის . . . . . 21

მ. ვარშანიძე — ლექსები . . . . . 27

ნ. ჩხანიძე — ძმები (მოთხრობა) . . . . . 29

რ. ართილაშვა — ლექსები . . . . . 39

ნ. მოღვინაძე — მათ ერთმანეთი უყვართ (მოთხრობა) . . . . . 41

ა. ჩხანიძე — ლექსები . . . . . 48

შ. ზოიძე — ჭოროხისპირელი ბიჭი ვარ (ლექსი) . . . . . 50

ჟ. ქათამაძე — ლექსები . . . . . 51

ს. ანტონოვი — შეხვედრა კრემლში (მოთხრობა, თარგმნა ტ. ხინთიბიძემ) . . . . . 52

ს. ასინინი — ლექსები (თარგმნა გ. სალუქვაძემ) . . . . . 57

**დღეები და აღნიშვნები**

ბ. მაზმანიშვილი — სოფლის მზრუნველი . . . . . 60

**ლიტერატურული კალენდარი**

შ. შურიძე — ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა . . . . . 64

ნ. ნოღაიძელი — აჭარის დიდი მოამაგე . . . . . 71

ი. აბაშიძე — წარსულის ერთი ფურცელი . . . . . 74

**კრიტიკა და პუბლიცისტიკა**

ბ. ბაბესკირია — ნამდვილი და ყალბი ნოვატორობის შესახებ . . . . . 76

ი. მანისუბაძე — სოლომონ ბაგრელი ასლანიშვილი . . . . . 80

5088

**6**

1962

ნოემბერი  
დეკემბერი





## ნესჴორ მაღაზონია

### ყვითელი ფოთლები

წვიმის თვეა,  
ქარის თვეა,  
ნარინჯული ქარვის თვეა  
ნოემბერი.  
ბალში ჩახმა ქრიზანტემა,  
ჯანგალეულ მზეში თბება  
მხოლოდ ღერი.  
კვირტზე არ ჩანს შვების ცრემლად  
დილის ცვარი ბროლიანი...  
ო, ყვითელი ფოთოლცვენა  
და ფოთლების ბორიალი!  
ჩემს ფოთლებსაც არხვეს ქარი,  
სულში შეაქვს ღრიანცელი  
და ცხრებიან ბობოქარი  
ყმაწვილ წელთა სიანცენი.  
მაგრამ ფოთლებს,  
ყვითელ ფოთლებს  
ახსოვს როგორ მწვანედ მორთეს  
მთა და ბარი...  
და ვალმოხდილს,  
ბევრის მომთმენს  
ვერც სიყვითლე შეაშფოთებს,  
ვერც ზამთარი!

### შ ა რ ი

ზღვას  
ჩაფიქრებულს მოუსწრო ქარმა,  
იყო ცასავეთ ლურჯი და წყნარი.  
შედეგა.

ისფერ, მოვერცხლილ ქამრად  
სივრცეს შეარტყა ტალღების პწკარი.  
ზვირთს ზვირთი მოჰყვა,

ჩქაფანს — ჩქაფანი,  
მერე გრიალი, ზათქი და ქაფი,  
ტალღების გროვა — ლომის ფაფარი —  
გაშმაგებული მოაწყდა ნაპირს.  
თურმე ქარია ლელვის გამჩენი,  
თორემ ზვირთს სძინავს უძირო ფსკერში...  
ასე, ქარს მოაქვს სიტყვის ჩანჩქერი —  
გულში შობილი ლელვა და ლექსი.

## დ ე დ ა

ცას ფიქრები გულს უვსებენ,  
მთებში ნისლი დაყარა,  
ვარსკვლავები ფუსფუსებენ  
მთვარის ამოსაყვანად.

მაგრამ

ჯერ არ სცალიანო

ბოდიში თქვეს ღრუბლებმა,

მთვარეს უნდა ძალიანო

მზესთან გასაუბრება.

ფარდის უკან ისაუბრეს,

მერე ქვეყნის ნათებით

დაუბრუნდა მთვარე ღრუბლებს.

უთბრა გულის ნადები!

— ვიცი, ზორცი მიწისა მაქვს

და სხივები მზისანი,

ეფიცავ მზის და მიწის ამაგს.

დედად ზეცა ვიცანი.

დედა —

ვინც შვა, ის კი არა,

ვინც გაზარდა, ის არი!



პაკაიხე ლოკია

შენხვედრა ცოდვებთან

იცხოვრე ისე, რომ სიბერისკე ვამს  
უკან მოხედვის არ გეშინოდეს

მოსაცდელში რამდენიმე მოქალაქე  
ზის. ყველამ იცის, ვინ ვის შემდეგ უნდა  
შევიდეს და რიგს ელოდება.

კაბინეტის კარი მიკეტილია. ახლახან  
შევიდა მთხოვნელი და, ალბათ, შეაგვი-  
ანდება. რიგის მოლოდინში ერთი ახალ-  
გაზრდა ვაჟი ნელა დააბიჯებს და კედ-  
ლებზე პორტრეტებს ათვალიერებს. და-  
ნარჩენები სავარძლებში სხედან და სა-  
უბრობენ.

საუბრის თემა ისტორიულია, მაგრამ  
არც ისე შორეული წარსულისა. იგი  
უკანასკნელი საუკუნის ამბებს ეხება და  
შოქმედი პირნიც ახლობლები და ნაც-  
ნობები არიან.

ერთი ღრმად მოხუცებული კაცი, სა-  
ბიჯარზე რომ ნიდაყვი ჩამოუდვია, იწო-  
ნებს, საზოგადოება და ხელისუფლება  
ღვაწლმოსილ ადამიანებს რომ პატივს  
სცემენ და ამავეს უფასებენ, მომავალ  
თაობებს აღგვიზრდის და კეთილ გზას  
უჩვენებსო.

— მართალი ბრძანდებით, — დაუდა-  
სტურა მოხუცს შუახნის კაცმა. — მაგ-  
რამ ზოგიერთების მიმართ ვაჭარბებთ  
და, მოგეხსენებათ, გადაჭარბებულ ქე-  
ზას ზიანი მოაქვს.

— ჰოდა, სწორედ ამაში უნდა დავეხ-

მართო ახალგაზრდა მკვლევარებს. —  
ალაპარაკდა ნესამე. — სანამ ცოცხლები  
ვართ და ზოგი რამ მეხსიერებაში შემო-  
გვრჩენია, არ უნდა ჩავიყოლიოთ საფ-  
ლავეში. ვთქვათ, დავწეროთ, დავუ-  
ტოვოთ მომავალ თაობებს.

— მაგრამ გვიჯერებენ კი? — შეწუხ-  
და მოხუცი. — ზოგიერთ ისეთ ვინმეს  
დაადგეს დაფნის გვირგვინი, რომ უბრა-  
ლოდ მოხსენიებაც კი არამია მასზე.

— ზოგი კი საცხებით მივიწყებულია!

— არა უშავს, თანდათანობით ყველა-  
ფერი მოგვარდება, — თქვა სათვალთან-  
მა კაცმა, აქამდე რომ გაზეთს კითხუ-  
ლობდა. — ისტორია ერთი კალმის მოს-  
მით არ იწერება, დახვეწა, დალაგება,  
დახარისხება სჭირდება.

ამ დროს კარებში ერთი მაღალი ტა-  
ნის დარბაისელი მოხუცი შემოვიდა და  
ყველას ყურადღება მიიქცია. მას კარ-  
გად ეცვა, თავიც მაღლა ეჭირა და დიდ-  
რონ თვალებს არწივივით ავლებდა ყვე-  
ლას. გრძელი თეთრი თმა ბეჭებამდე და-  
შვებოდა. ხელოვნების დამსახურებულ  
მოდერნიზებს შეხვდებით ხშირად ასე და-  
მშვენებულსა და გასხვივონებულს.

ახალმოსულს არავისთვის არ შეუხე-  
დავს, არც იქაურობა შეუთვალისწინებია,

როგორც ეს ასეთ ადგილას პირველი შესვლისას სჩვევია ადამიანს, პირდაპირ კაბინეტისაკენ წავიდა და დაუკითხავად შეაღო კარები.

— ბოდიში, ბოდიში! — მიაძახა ახალგაზრდამ, — ჩემი რიგია. — და კარებისაკენ გაიწია.

სხვებიც შეწრიალდნენ, მაგრამ ახალმოსული მოხუცის ერთი თავის შემობრუნება და გადმოხედვა საკმაო გახდა, რომ ყველა დამშვიდებულიყო და ამ ზვიადი ადამიანის ურიგოდ შესვლას შერიგებოდა.

ახალგაზრდამაც სწრაფად დაადგა ენას კბილი და ერთ ადგილას გაიყინა.

— ალბათ, საამისო უფლებაც აქვს. — ჩაილაპარაკა სათვალთან, როცა მოხუცი კაბინეტში შევიდა.

— მაგრამ ზრდილობაც ხომ უნდა ახლდეს უფლებას?

— თუ ასაკს პატივი უნდა დაედოს, მასზე უხუცესს ჰქონდა უფლება, მოეთხოვა რიგის დათმობა.

ყველან საბიჯარზე ნიდაყჩამოდებული მოხუცისაკენ მიიხედა.

— მართალია.

— ცუდად იყენებს ზოგიერთი დამსახურებას.

— გარეგნულ შნოსა და შეხედულებას შინაგანი სიღარბისლე უნდა ამკობდეს. — დაუმატა სათვალთან და კაბინეტიდან უკმაყოფილოდ გამოსულ მოქალაქეს შეავლო თვალი. — ესეც კი უდროოდ გამოუშვია.

კაბინეტიდან გამოსულმა რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიდუღუნა და მოსაცდელიდან გავიდა.

— მაშინ ხომ სრულყოფილი ნშეენიერება იქნებოდა. — სათვალთან ნათქვამს გამოეხმაურა ახალგაზრდა. — გარეგნობასთან ერთად შინაგანი სიღარბისლეც...

— რა იცით, ყმაწვილებო, ვინ არის და რა ამაგი დასდო ჩვენს ხალხს! — ხცადა გამოქომაგება ღრმა მოხუცმა.

— ღმერთმა შეუნდოს, თუ ეს შეცდონა პირველია. — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

უცნობი მოხუცის საქციელზე დიდხანს აღარ ულაპარაკიათ, კვლავ რიულ ამბებს დაუბრუნდნენ.

\* \* \*

მოხუცი რომ შევიდა, უფროსი სავარძლიდან წამოდგა, ორი ნაბიჯით წინ გამოვიდა და ისე მიეგება.

მოხუცმა მოწყალებასავით გაუწოდა ხელი, რომელიც უფროსმა მოკრძალებით ჩამოართვა და თავი დაუყრა.

— გთხოვთ! — და სავარძელი თავისუფლად გამოუდგა.

— გმადლობთ. — სტუმარი ჩამოჯდა და მხოლოდ ახლა შეათვალიერა მასპინძელი. არც ის იყო ბევრად უმცროსი. მართალია, თმა და წვერ-ულვაში ჯერ კიდევ მთლად არ შევერცხლოდა, მაგრამ არც ბევრი აკლდა.

— საქმეზე გეახელით. — დაიწყო მოხუცმა ამაყად. — მე თქვენ ვერ მიცნობთ. არც მიკვრის, რომ ვერ მიცნობთ — ახალი კაცი ხართ. დიახ, მე ნინდა გაგაცნოთ ის, რაც აქამდე შეუხსრავლელია.

— გისმენთ. — ჩამოჯდა უფროსი და მოსასმენად მოემზადა.

— დიახ, თქვენი დაწესებულება ჩვენს ქალაქში ერთადერთია, რომელიც ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულს სწავლობს. — დაიწყო მოხუცმა. — მისი ვალია მიუდგონლად შეათვასოს ყოველი მოვლენა, არავის არაფერი დაუქარგოს, არც არა მისცეს ზედმეტი. ხომ მართალს ვამბობ?

— ნამდვილად.

— დიახ, ასეა და თქვენ მოვალე ხართ პირუტყნელი იყოთ ყველას მიმართ. მართო ერთსა და ორს არ შეუქმნია ისტორია, არც რეგოლუცია მოუხდენია მართო ერთსა და ორ კაცს. ვერ, ვიტყვი, რომ თქვენს დაწესებულებას არ გამოუვლენია ბევრი ღირსეული მოღვაწე და ხალხის საქმისათვის თავდადებული ადამიანი, მაგრამ...

— ბევრი მინც გამოგვრჩა, არა? — დაასწრო მასპინძელმა.

— დიახ, დიახ, მართალს ბრძანებთ. ბევრი გამოგვრჩა.

— ამიტომაც მიემართეთ ანხანაგებს თხოვნით, დაგვეხმარონ თავიანთი მოგონებებით, მოგვაწოდონ ცნობები ამა-ც იმ პიროვნებაზე, ამა თუ იმ ფაქტზე. უთუოდ თქვენც დიდ დახმარებას აღმოგვიჩინებთ ამ საქმეში, ნიგვითითებთ ჩვენს ნაკლსა და შეცდომებზე.

— დიახ, დიახ. — უფრო ასწია თავი სტუმარმა. — სწორედ ამიტომ გეახელით. ჩემი სურვილია...

— დაათვალიერეთ ჩვენი გამოფენა? — შეაწყვეტინა დაწესებულების უფროსმა.

— რამდენჯერმე.

— რა შენიშვნები გაქვთ?

— ბევრი ვინმე გამოგვიჩენიათ, განსაკუთრებით რევოლუციური ნოქრათის მონაწილეებიდან.

— შესაძლებელია. — დეთანხმა დაწესებულების ხელმძღვანელი. — დიდად დავალებული ვიქნებით თქვენგან, თუ არ დაიზარებთ და დაგვეხმარებით... ვის შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ცნობები?

მოხუცი ჩაფიქრდა.

— მართალია, საკუთარ თავზე ლაპარაკი უხერხულია, მაგრამ...

— რატომ? შეგიძლიათ საკუთარ მოღვაწეობაზეც ილაპარაკოთ. — წახანლისა ხელმძღვანელმა სტუნარი. — ჩვენთვის საინტერესო იქნება თქვენი ცხოვრება. გთხოვთ!

მოხუცმა მხრები შეარხია, ერთი თვალის მოქნევით ჰერი და კედლები მოხანა და დაიწყო:

— სოფელ ბელაღაურთან გახლავართ. ცხრაას ხუთში ქუთაისის გიმნაზიაში ვსწავლობდი...

— ცხრაას ხუთში?

— დიახ. მერვე კლასში ვიყავი იმ დროს. მოსწავლეთა გაფიცვას ვხელმძღვანელობდი... დამაპატიინრეს. მოგესვენებთ, რა საშინელი იყო მაშინდელი პატიმრის მდგომარეობა. ჯოჯოხეთური ტანჯვა, წვალება, დამცირება, შეურაცხყოფა... შემდეგ კიდევ რამდენი რამ... ამიტომაც გეახელით. არ მინდა მოუხსენიებელი დარჩეს ის ღვაწლი, რაც მე

საზოგადოებისა და ქვეყნისათვის გამოწვევია. რას იტყვიან? სადაც სხვები, ჩვენც ზე ბევრად მცირე დამსახურებისა ინსენიებიან და იქნებიან, მე რატომ უნდა ვიყო მივიწყებული? შთამომავლობამ რატომ არ უნდა იცოდეს, ვინ ვიყავი და რას შევწირე ჩემი ყრმობა და სიჭაბუკე?

— მართალი ბრძანდებით. — დაუდასტურა მასპინძელმა. — ხალხის წინაშე დამსახურება ვის დაკარგვია, თქვენ რომ არ დაგიფასდეთ?

— წინასწარ მადლობა მომიხსენებია. — თავი დახარა მოხუცმა და ვერცხლისფერი თმა, რომელიც ამ დროს წინ გადმოეშალა, ხელით უკან გადაიწია.

— მადლობა რა საჭიროა, — თვლით შეავლო დაწესებულების ხელმძღვანელმა მოხუცის ჭაღარას და გაიფიქრა: „ვინ იცის რა გაჭირვებას და განცდას შეულებავს ეს თმა ასე ვერცხლისფრად“. შემდეგ გასაგონად თქვა: — თუ დამიჯერებთ, მოსწავლეთა იმ გაფიცვაში, მეც ვმონაწილეობდი.

— თქვენც? — რატომღაც შეცბა მოხუცი.

— მეოთხე კლასში გახლდით, მაგრამ უფროსკლასელებს გვერდით ვედექი და... თუ გახსენდებთ, სულ იმ გაიძვერა ქვემოთაშვილის ბრალი კი იყო. მას რომ არ გავეციოთ და არ დავესმინებთ, ისე მოულოდნელად ვერ შეგვიპყრობდნენ. — გაიტაცა წარსულის მოგონებამ მასპინძელი. — სამი წელი დავყავი გადასახლებაში. ვანა მარტო მე? ზოგი სიცოცხლესაც გამოესალმა უცხო მხარეში. ეჰ, დიდი ტანჯვა-ვაება გამოუვლია ჩვენი თაობის ადამიანებს... მაშ, თქვენც იმ დროიდან ნოღვაწეობთ? — მაგიდის უკრა გამოსწია, ქაღალდი და ფანქარი ამოიღო და... — თქვენი გვარი?

პასუხი რომ ვერ მიიღო, სტუმრისაკენ მიიხედა.

იქ არავინ იყო.

მოხუცის მაგიერ ახალგაზრდა იდგა კარებში.

— შეიძლება?

დაწესებულების უფროსმა უბასუხოდ დატოვა მთხოვნელის კითხვა. იგი გაოგ-

ნებული იდგა ერთ ადგილას და მოჩვენებასავით გამჭრალ მოხუცზე ფიქრობდა.

\* \* \*

კულტურის მინისტრი შუახნის კაცია. კეთილი სახე და თაფლისფერი თვალები აქვს. იგი ახლახან ნორჩა მთხოვნელების მიღებას და წასასვლელად მოეშადა, კაბინეტის კარები რომ გაიღო და ჩვენი ნაცნობი მოხუცი გამოჩნდა. იგი ახლა ოდნავ მოხრილი და მოტეხილი ჩანდა, მაგრამ მის ოლიმპიური ჭადარით მოსილ თავს კვლავ შეენარჩუნებინა ის ქედმადლური სიდიადე და მედიდურობა, რაც ნისდამი მორჩილებასა და მოკრძალებას ავალეზდა ყველას.

— გთხოვთ პატივებს. — თავი დაუკრა მან მინისტრს.

— მობრძანდით! — გამოწვდილ ხელს ხელი შეაგება მინისტრმა.

— რამდენიმე წუთი მინდა მაჩუქოთ. — სავარძლისაკენ წაიწია სტუმარი, მაგრამ რატომღაც ნებართვის ნიუღებლად დაჯდომა არ ისურვა.

— დაბრძანდით! — არ დააყოვნა მინისტრმა და საათს დახედა.

მოხუცმა თვალი შეასწრო ამას და შეიშოშინა.

— ჩქარობთ?... არა უშავს, ბევრ დროს არ წავართმევთ! სულ რამდენიმე წუთი მეყოფა.

— რას ბრძანებთ, რამდენიც გენებოთ! — მოხუცის შეხედულებამ და საქციელმა მოხიზლა მინისტრი. — უმიზეზოდ არ მობრძანდებოდით. ვისმენთ.

— თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს. — წამოიწყო სტუმარმა, — მაგრამ სანამ მოგახსენებდეთ, მინდა გავცნოთ, უკეთ, გავაცნოთ ჩემი წარსული და დამსახურება.

— საინტერესოა. — მოსასმენად მოემზადა მინისტრი.

— მოვხუციდი საზოგადოების სამსახურში. — თავზე გადაისვა ხელი მთხოვნელმა. ჭადარა თმას მიანდო ნათქვამის დადასტურება, როგორც ყველაზე საინტერესო დოკუმენტს.

— მჯერა. — გაიღიმა მინისტრმა.

— მთელი ცხოვრება შევწირე და შევალე საქვეყნო საქმეს და დღეს, როდესაც ყველას თავისი ნაშრომ-ნამოღვაწით თავი მოაქვს და ანაყოფს, მე... — და უნებურად შეწყვიტა სიტყვა...

— რაიმე დახმარებას საჭიროებთ?

— მადლობას გწირავთ, უთქმელად რომ მიმიხვდით. — შუბლი გაეხსნა მთხოვნელს. — დახმარება რომ არ მჭიროდეს, ვერც თქვენს შეწუხებას გავბედავდი.

— უბინაობას ხომ არ უჩივით?

— არა. ამისათვის დროულად ვიზრუნე.

— პენსია თუ გეცოტავენათ? — ახლა ნამდვილად გამოიცნო ეგონა მინისტრს.

— საყვედურის თქმა არ შემიძლია. მყოფნის სახარჯოდ და საცხოვრებლად მაგრამ...

— მომატებას მაინც მოითხოვთ? — გაეღიმა მინისტრს.

— არა. — მტკიცედ თქვა მოხუცმა. — ამგვარი დახმარების სათხოვნელად აქ არ მოვსულვარ. ადამიანს, ჭამა-სმის გარდა, სხვა მოთხოვნილებაც ხომ გააჩნია?

— რასაკვირველია. — დაეთანხმა მინისტრი. — მაინც რით შეგვიძლია გემსახუროთ? რას მოითხოვთ?

— ისეთს არაფერს. — თქვა მოხუცმა. — თუ ღირსი არ ვარ, ნუ მომერიდებთ, უარი მითხარით, ძალად ვერ მოგახვევთ ჩემს ნება-სურვილს. — თავი დახარა და მაგიდაზე თითები აათამაშა.

— საინტერესოა, ასეთი რა უნდა გეთხოვოთ? — თანდათან დაინტერესდა მინისტრი. — ბრძანეთ და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, უკმაყოფილო არ დაგვრჩებით.

— მადლობელი ვარ. — თავი ასწია მოხუცმა. — ოც წელზე მეტია კულტურულ-საგანმანათლებლო დარგს ვემსახურები. ბევრი რამ კარგი გამიკეთებია. თუ კი ვისმეს ეკუთვნის ამ დარგში მუშაობისათვის დაფასება და მოხსენიება, მათ შორის ერთ-ერთი მეც უნდა ვიყო. სხვაზე ნაკლები არ ვყოფილვარ და არც მინდა ვიყო.



— გასაგებია. — თქვა მინისტრმა. — უთუოდ ჩვენი ბრალია, რომ ამაზე თქვენ გიხდებთ ლაპარაკი და არა ჩვენ. ვეცდებით, გამოვასწოროთ ეს შეცდომა და თქვენი დამსახურება სათანადო დოკუმენტებით დავადასტუროთ. ახლავ გავცენ განკარგულებას, შეკრიბონ თქვენს შესახებ მასალები. კოლეგიაზე გავიტანთ. შეიძლება საპატიო სიგელი მოგცეთ ან დამსახურებული მოღვაწის სახელწოდება მოგანიჭოთ, ან კიდევ პერსონალური პენსიის დანიშვნაზე გიშუამდგომლოთ.

— გმადლობთ, გმადლობთ. — შეაწყვეტინა მოხუცმა. — ამეებს მე უთქვენოდაც მივალწიე. თქვენ თუ ისურვებთ და მოიწადინებთ... მე მგონია... ზოგიერთებს სრულიად დაუმსახურებლად გადაუხადეს... სამოცდაათს გადავამიჯე... ვფიქრობ...

— გასაგებია, გასაგებია. — მიუხვდა სათქმელს მინისტრი. — იუბილეს გადახდას...

— სამოცდაათი წლის თავზე ზედმეტი არ იქნებოდა იუბილეთი შეეჯამებინათ ჩემი ამაგი. — დასვა წერტილი მოხუცმა.

მინისტრმა დაკვირვებით შეავლო თვალი მოხუცის ქაღარით დაფარულ თავს. «უთუოდ ღირსია, უთუოდ ნიუძღვის დამსახურება».

ამ დროს ტელეფონის ზარი აწკრიალდა და მინისტრი მილაკს დასწვდა.

— დიახ. მე ვარ. აჰ, ვარლამი ხარ? — სკამზე ოდნავ შებრუნდა მინისტრი, ხოლო მოხუცს ბოდიში მოუხადა საუბრის შეწყვეტისათვის. — საიდან სადაო? ოჯახში ხომ კარგად? შემოგვიარე. თინას ძალიან გეხარდება. რა უდროობა გავიჩნდა, ბიჭო? კარგი ერთი, ნუ იცი ზოლზე გაპატიებმა! რამდენჯერ ჩამოდიხარ ქალაქში და ერთხელაც არ გამოივლი! რაო? იმოდენა შვილი მოგესწრო, რომ უმაღლესში აბარებს? ყოჩად. თუმცა ოა, გაისად ჩემი ვაჟიც ანთავრებს საშუალოს... ჰო, ჰო, როგორ არ მახსოვს... სულ ტყუილ-უბრალოდ ჩაიჯიბა იმ გაიძვერამ იმდენი ფული. აბა, აბა,

საბრალო დედაშენს თურმე მეტი აართვა! გვარიც კი ნახსოვს და სახელიც მაჩემმა დამიმოწმა, თუ ოდესმე სადმე შეხვდე, სამაგიერო გადაუხადეო... ხახა-ხა! ჰო, ჰო, სამაგიეროს როგორ გადავუხდი, ქრთამს ვერ გამოვართმე, მაგრამ სადმე რომ შემხვედროდა, იმ ამბავს მოვავიწყებდი და ერთს ლაზთიანად გამოვვლანძღავდი... მართლა? ცოცხალიაო? ალბათ, კიდევ ახერხებს ზოგიერთების მოტყუებას. ჰო, რასაკვირველია. აბა ბატონ ქვემოთაშვილის იმედით რომ დავრჩენილიყავით, შენი მტერია—პირველ დღესვე ჩავიჭრებოდიო... არ სჯეროდა საწყალ მამაჩემს რამე თუ ვიცოდი, თორემ იმ გაიძვერას იმდენ ფულს როგორ ჩაუყრიდა ხელში!.. მართალია, მართალია. უკვდავებას გაიძვერობითაც აღწევს ზოგიერთი... უსათუოდ გელოდები სადილად. გესმის, არ მომატყუო. კარგი ერთი, ნუ დაიწყებ შენებურად! გელოდები, იცოდე!

მილაკი დადო რა მოხუცისაკენ შემობრუნდა.

— მაპატიეთ, — მაგრამ იქ რომ არავინ დახვდა, გოცებისაგან თვალები გაუფართოვდა — სად გაქრა? — მღივანი ქალი გამოიძახა და გაკვირვება გაუზიარა.

— ქალბა მოხუცი? როგორ არა, დაეინახე. წელში მოხრილი, ისე ქურდულად მიიპარებოდა, თითქოს ვისიმე ეშინიაო. დიახ, დიახ, თმა და წვერები მართლაც რომ შესანიშნავი ჰქონდა, მაგრამ თვითონ საწყალი და მოტეხილი ჩანდა, — მოახსენა მღივანმა.

— საწყალი და მოტეხილი? — გაუკვირდა მინისტრს.

— დიახ.  
— საოცარია. — ჩაილაპარაკა მინისტრმა და ჩაფიქრდა.

\* \* \*

სასადილოში მხოლოდ ერთი პატარა მაგიდა იყო თავისუფალი და იგი შესვლისთანავე დაიკავა მოხუცმა, რომელსაც უკვე მესამედ ვხვდებით. ბევრი რამ დაუქარგავს პირველი შეხვედრის შემდეგ. დაჟღაჟა ლოყები დაცხრომია, თვა-

ლებსაც მოჰკლებია ელვარება. ბეჭებშიც მოხრილა. მარტოდა ჭადარა თნასა და წვერ-ულვაშს შერჩენია კვლავინდებური შნო და სიდარბაისლე.

— სადილი და ჭიქა არაყი! — მისცა დაკვეთა ოფიციანტს და დარბაზი შეათვალიერა. ნაცნობთაგან ვერავინ შენიშნა და მშვიდად ამოისუნთქა.

ოფიციანტს აგვიანდებოდა, მაგრამ მოხუცი არ საყვედურობდა, იჯდა თავდახრილი და მეზობელ მაგიდასთან მსხდომი უცნობების საუბარს უგდებდა ყურს. იქნებ, არც აინტერესებდა მათი მოსმენა, მაგრამ ისინი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და უნებლიეთ ესმოდა ყველაფერი.

— თავიდან კარგად მიდიოდა ჩემი საქმე. — ჰყვებოდა ერთი შუახნის ხმელ-ხმელი კაცი. — უპატიოსნო არ ვიყავი, მაგრამ მარტო პატიოსნება არ კმარა თურმე, რომ აიცილინო ცული სახელი და დაუმსახურებელი სასჯელი. ბოროტ კაცს შეუძლია თავი მოგპურას და ბრალდებულის სკამზეც დაგსვას... ხუმრობაა, შვიდი წელი გაატარო პატიმრობაში, როდესაც მართალი ხარ, უდანაშაულო?!

— თუ ასე იყო, რატომ ვერ მოახერხებ თავის მართლებას? — შეედავა ერთ-ერთი თანამოსაუბრე.

— ადვილი სათქმელია. — თავი ჩაიქნია პირველმა. — კანონი წიგნში წერია. წიგნი კი მსაჯულის ხელშია. ამოიკითხავს, ამა თუ იმ დანაშაულისათვის ესა და ეს სასჯელი გეკუთვნისო და მორჩა და გათავდა.

— მაგრამ განაჩენი ხომ საბრალდებულო მასალებს ემყარება? — ახლა მესამე შეედავა.

— თუ მასალები შენს წინააღმდეგაა შეთითხნილი?

— ეს მოსამართლემ უნდა განსაჯოს და ჭეშმარიტება აღადგინოს.

— დიახ, განსაჯა მოსამართლემ. ბეჯითად ჩახედა საქმეებში, ჩემს გულშიც ჩანოიხედა, ჩემი სინდისიც ასწონა და შეამოწმა, მაგრამ მაინც ქალაქებს დაუჯერა და ჩემი სიმართლე უგულებელყო; თუმცა ამის სურვილი არც ჰქონია,

რადგან სწანდა, იმ საქმეში უბრალო ვიყავი.

— მაშ რამ აიძულა, რომ დაესაჯე?

— ქალაქებმა, ყალბად შეთითხნილმა დოკუმენტებმა, რომელთა სიყალბე ვერ დავამტკიცე და ვაღიარე, რომ დამნაშავე ვარ.

— მერე, არ იცოდი, ვინ გაგიკეთა ეს სისძაგლე?

— ვიცოდი, მაგრამ რას გარგებს ცოდნა, როდესაც საბუთებით ვერ დაამტკიცებ! როცა ისინი შენს წინააღმდეგ მეტყველებენ? როდესაც შენი ხელწერა ლაპარაკობს შენს დანაშაულზე! შემაცდინა, მომატყუა, საბუთებზე ხელი მომაწერინა, ჩემი ნდობით ისარგებლა და გამფლანგველის, მტაცებლის, ქურდის სახელით ციხეში ჩამსვა.

— მასეთ გაიძვევრას საკუთარი ხელით მივიპრობდი. — ბრაზმორევით შესძახა ერთმა.

— შემდეგ რომ შემხვედროდა, არ დავინდობდი! — თქვა უდანაშაულოდ დასჯილმა. — ერთხელ შერცხვენილი და სახელგატეხილი ნამდვილ დანაშაულს ჩავიდენდი და ჩემი ფეხით მივიდოდი ციხის კარამდე.

— მეგობრებო, აქ რომ მოხუცი იჯდა, სად წავიდა? — მიმართა მათ ოფიციანტმა. იგი ლანჯრით ხელში გაკვირვებულ იდგა იმ მაგიდასთან, რომელსაც მოხუცი ეჯდა.

— არ დაგვინახავს...

— არ შეგვინიშნავს...

— უყურე შენ, სადილო დამიკვეთა და თვითონ კი წასულა. — გაბრაზდა ოფიციანტი და სადილი უკან წაიღო.

\* \* \*

ქალაქის ბაღში სამური სიგრილე და სურნელება იდგა. ერთ კუთხეში ბავშვთა ბაღის აღსაზრდელები გამოეყვანათ, ხელიხელჩაკიდებული დაატარებდნენ. ლანაზ ხეივანებში საბავშვო ეტლებით დაყავდათ ჩვილები ახალგაზრდა დედებს, ბებიებს და ბაბუებს.

ბაღის შუა ადგილას, სადაც ფართოდ ტოტებგაშლილ ჭადარს ჩრდილი დაეყენებინა, ათამდე ხანდაზმულ ადამიანს.

მოეყარა თავი. ზოგი მათგანი ძელსკამზე ჩამომჯდარიყო, ზოგი ხეს მიყრდნობოდა ზურგით.

ამ დროულ ადამიანთა შორის შეინიშნებოდა ერთი ჭაღარა მოხუცი, რომელიც მოშორებით იჯდა, მაგრამ სხვების საუბარი მის სმენას წვდებოდა.

საუბარი სიბერის სიაყვარგეზე ჩამოვგდოთ.

ერთი ამტკიცებდა, როგორც ბუნების ყოველი დროა მომხიბლავი და ლამაზი, სასურველი და სანატრელი, ისე კარგი და მომხიბლავია ასაკობრივი ცვლილებები: ბავშვობა, ყრმობა, დაეჯკაცება და სიბერე.

ზოგი იზიარებდა ამ აზრს, ზოგი კი უარყოფდა და იმეორებდა შოთა რუსთველის აფორიზმს, „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“.

მაგრამ სიბერეს მაინც გამოუჩნდა რამდენიმე ქომაგი.

— ჭაბუკი მომავლის სიკეთით ცოცხლობს და ხარობს, დაეაყვაცებულს საგმირო საქმეებისაკენ ეწევა გული, მოხუცმა ნამოქმედარით უნდა იხაროს, ნაშრომით უნდა იამაყოს და დაიტკბოს სული. — თქვა ერთმა ჭარმაგმა მოხუცმა და გვერდით მყოფს შეხედა.

— მართალია. — დამოწმა მეზობელი. — თუ ადამიანს განვლილი გზა საძრახისი საქციელით არ შეუბილწავს, მას სიბერის ჟამს სანანებელი არაფერი ექნება.

— სწორია. — დაუმატა მესამემ. — ცოდვებთან შეხვედრის არ უნდა ეშინოდეს წლებით დატვირთულს.

— ჯელობაში თითო-ორილა ცოდვის არ ჩაუდენია? — ჩაილაპარაკა ერთმა ტანმორჩილმა მოხუცმა.

— ცოდვას გააჩნია. — თქვა მეორემ. — ჩემი გულიდან არასოდეს არ ამოვა ის დანაშაული, რაც ჭაბუკობაში ჩავიდინე. რომ შეიძლებოდეს მისი გამოსყიდვა...

— განა ისეთი რა მოგივიდა? — რამდენიმე თავი შებერუნდა ამ მოხუცისაკენ.

— ძველი ამბავია, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო მძიმდება. სიყვარულს

შეეხება. ერთი გოგო მიყვარდა, სიტყვა მივეცა, შევიფიცე, მაგრამ ერთი ცვლილება და მეორეც, სხვა შევირთე. მანქანა ლია, მასთან არ შემეცოდავს, სიყვარული არ შემებილწავს, ანგარებით არა ჩამიდენია რა, მაგრამ... ის სხვას გაჰყვა, ოჯახი შექმნა, მაგრამ ბედის მადლიერე ვერ გახდა, უდროოდ დასნეულდა და გარდაიცვალა. შეიძლება უკეთესი ბედი არც ჩემს ხელში რგებოდა, მაგრამ მაინც დამნაშავედ ვთვლი თავს.

დასანანი და შესანდობარი ცოდვები სხვებსაც წამოსცდათ.

ერთს ის ჩარჩენოდა გულში დარდად, რომ დიდი ხნის უნახავი მამა, რომელიც ყოველდღე სწერდა, ჩამოდი, შვილოო, სიკვდილამდე ვერ ინახულა. მეორე ახლა ნანობდა, ცოლ-შვილი რომ არ გაიჩინა და მამისეული ქონება ისე გაფლანგა, რომ არავის არაფერი არგო.

— ასეა, ასე. — ჩაერია საუბარში ხეზე ზურგით მიყრდნობილი მოხუცი. — გვიანდაა, ჩემო ძმაო, გვიანდა თითზე კბენანი.

— ვიცი, ვიცი, რომ დაგვიანებულია, მაგრამ ნეტავი...

ნეტავი ჩემი სასახლე მაღალ მთაზეა ამეგო, გამვლელ და გამომვლელთათვის ყველასთვის კარი გამეღო.

რაც მეშოვნა და მეშოვნა, სულ ღარიბებზე გადმეგო.

— გახსოვთ, ეს ხალხური ლექსი? ახლა „ნეტავი, ნეტავის“ ძახილი სისულელეა და მეტი არაფერი. — გაუმტყუნა ყველას აქამდე გაზეთის კითხვით გართულმა მოხუცმა.

— სწორია, „თავს სინანული სჯობია, ბოლოჯამს დანანებასაო“, ასეც უთქვამს იმ კურთხეულს. — აღაპარაკადა სხვა.

ამ საუბრის დროს ერთი ყველაზე უფრო მოტეხილი მოხუცი წამოდგა, სხვებს გამოეყო და მუხლების კანკალით გაშორდა იქაურობას.

— განა ისე დატვირთულია ცოდვებით?

— არა. თვითონ ბატკანივით უმანკო და უცოდველია, მაგრამ მის წინაშე სხვაა დამნაშავე.

ყველა დაინტერესდა ამ მოხუცის წარსულით.

— ლამაზი და თბილი, ოჯახი ჰქონდა. კარგი და წესიერი ცოლ-შვილი ჰყავდა. შეუჩნდა ერთ-ერთი გაიძვერა და ოხერი, დაუახლოვდა, მერე ცოლი წაართვა. ერთხანს აქეთ-იქით ატარა, შემდეგ ხელი კრა და გააგდო. დაბრუნდა საწყალი ქალი ოჯახში, მივიდა ქმართან და პატიება სთხოვა. როცა ქმარმა პატიებაზე უარი უთხრა, საწამლავს მიანდო სიცოცხლე და დაიღუპა.

— ვინ იყო ის გათახსირებული? — იკითხა ერთმა. — სადაა ახლა?

— რა ვიცი, ხან ვეჭილობდა და ხალხს ატყუებდა, ხან პროფესორობას ჩემულობდა. ერთი სიტყვით, დიდი ვერაგი ვინმე იყო. კარგა ხანია, არ შემხვედრია.

— აი ვის უნდა ეშინოდეს უკან მოხედვის!

მოშორებით ჩამოძვარი მოხუცი ნელა წამოდგა, წელში არც გასწორებულა, ისე აიღო ფრთხილი ნაბიჯი, თავივით დაწვრილებული თვალები მიმოავლო იქაურობას, რამდენიმე ნაბიჯით გადაინაცვლა და სხვა ჯგუფს შეუერთდა.

აქ რატომღაც იტყხოეს უცნობი მოხუცის გამოჩენა. ეს შენიშნა ახალმისულმაც და უხერხულობისაგან თავის დასაღწევად იკითხა:

— ხომ ვერ მეტყვი, ბორჯომისაკენ ავტობუსი რომელ საათზე გადის? — და ფრთხილად ჩამოჯდა.

— ათის ნახევარზე! — მიუგო ერთმა ახალგაზრდამ.

— გამგზავრებას აპირებთ? — შეეკითხა მოხუცს მეორე.

— მინდა ამ პაპანაქებს გავეცალო.

— კარგი საქმეა. როგორღაც წელს ვერ მოვახერხებ, თორემ ამ დროს მუდამ ბორჯომის ხეობის სტუმარი ვიყავი. — ჩაილაპარაკა გამხდარმა კაცმა.

— მე კი მას შემდეგ იქითკენ პირი არ მიქნია. — თქვა წვერმოშვებულმა.

— რატომ, შე კაცო? — დაინტერესდა ვიღაც.

— რატომ, და... — გვერდით მჯდომი კაცს მიუბრუნდა. — გახსოვს?

— ეჰ, ის მეთაურიც შეეპყრება დანაწებით უპასუხა წვერმოშვებულს გვერდით მჯდომმა.

— მაშინ, თითქოს ჩემი ლევანი გამოცხლებოდეს.

ნათქვამმა ყველა დაინტერესდა და არც წვერმოშვებულმა დაიხარა ძველი ამბავის გახსენება:

— სამამულო ომი მძინვარებდა. მძიმე კრილობის მოშუშების შემდეგ ერთი თვის შევბუღება მომცეს. ვისარგებლე შემთხვევით და საზაფხულოდ ცოლ-შვილი ბორჯომისაკენ წავიყვანე. ერთ ადგილას მანქანა გაგვიფუჭდა და მის წესრიგზე მოყვანას კარგა ხანი მოვანდო მეთ. შემოგვვალამდა. უეცრად სამი შეიარაღებული კაცი დაგვადგა თავს და ხელების აწევა გვიბრძანა. დავმორჩილდით. გაგვძარცვეს სულიან-ხორციანად. წაიღეს, რაც გვებადა. დაგვყარეს საცულების ამარა. ჩემს პატარა ოთხი წლის ბიჭს ხელჩანთაც კი წაართვეს. არ ანებებდა, გაუძლიანდა, მაგრამ ამა რას გახდებოდა! ერთმა ავაზაკმა წიხლი კრა მუცელში. იმ წიხლმა დამიღუპა პირმოო. იმის მიზეზით დამიავადმყოფდა მეუღლე და... — მოსაუბრეს ენა დაემა.

— მერე, ვერ აღმოაჩინეს ბოროტმოქმედნი?

— ორი შეიპყრეს. მესამე, რომელიც ამ ბანდას მეთაურობდა, გადარჩა. მისი ვინაობაც ვერ შეიტყვეს. ხნიერი კაცი იყო ის საძაგელი. მამად მერგებოდა. ჩემმა ცოდვამ არ გაახაროს იგი ამ ქვეყნად. — ცრემლები მოიწმინდა წვერმოშვებულმა კაცმა.

— მასეთი ვერც გაიხარებს. — თქვა ჩიხ ტანის კაცმა. — ამგვარი დანაშაული ადამიანს არ მოასვენებს. ერთ დროს ურჩხულად ქცეული დააცხრება თავზე და საშინელი ტანჯვით მოუღებს ბოლოს... როდის აპირებთ ბორჯომისაკენ? — მიუბრუნდა იგი ახალმისულ მოხუცს, მაგრამ ამ კითხვის პასუხი არ მიუღია...

მოხუცი იქ აღარ იყო.

— როდის წავიდა?! — ყველამ იქით-

კენ მიიხედა, სადაც ეს უცნობი მოხუცი  
ეგულეობდათ.

\* \* \*

საძინებელი ვაგონის კუბეში ორი  
ადგილია. ქვედა საწოლი დაუკავებია  
ერთ ახალგაზრდას, რომელიც ოცდაათი-  
ოცდათორმეტი წლისა იქნება. იგი განა-  
თლებული კაცის შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს, ჩაცმა-დახურვა, გავლა-გამოვლა  
და საქციელი მოსაწონი და მისაბაძი  
აქვს.

ზედა ადგილი თავისუფალია. მეორე  
მგზავრი არ ჩანს და ეს ადგილებს ახალ-  
გაზრდა მგზავრს. მალიძალ იხედება კა-  
რებისაკენ. კარგია, თუ ვინმე ისეთი არ  
შემოვიდა, ბავშვიანი ქალი, ან მეტად  
გაბლენძილი მგზავრი, რომელიც თავის-  
თავს იქით ვერავის ხედავს და ხმის გა-  
ცემასაც იმადღება. არც ის უნდა, რომ  
უთანამგზავროდ გავიდეს აქედან და და-  
მით რომელიმე სადგურზე შემოუსახ-  
ლონ ბარგი-ბარხანით დატვირთული  
მგზავრი.

მატარებლის გასვლას ორი წუთი აქ-  
ლდა, ვაგონში რომ ჩვენს მიერ მერამდე-  
ნედ გაცნობილი მოხუცი შევიდა და კუ-  
ბეს კარს მიადგა.

— ოცდამეოთხე. — თქვა მან თავის-  
თვის, მაგრამ ისე, რომ სხვასაც გაეგო-  
ნა.

— აქ გახლავთ! — უთხრა ახალგაზრ-  
დამ და ადგილზე ანიშნა.

— აგრე ვიცოდით! — უკმაყოფილოდ  
ჩაილაპარაკა მოხუცმა. — მეტი გაგება  
არა აქვთ. ამ ასაკის კაცი და ზემო ადგი-  
ლი! თქვენ ეს გიჭირავთ?

— დიახ. მაგრამ არა უშავს. დაბრძან-  
დით. ჩემს ადგილს დაგიტოვებთ. — და  
ახალგაზრდამ თავისი ხელბარგი და მო-  
სასხამი ზემოთ აიტანა.

მოხუცს მაღლობაც არ უთქვამს, ხელ-  
ჩანთა თაროზე შემოდო და ჩამოჯდა.

ახალგაზრდამ ცნობისმოყვარეობით  
შეთვალთუვლა ეს სათნო სახის თანამგ-  
ზავრი და გასაუბრება მოიწადინა.

— სად მიბრძანდებით? — კითხა მან  
თავაზიანად.

— სოჭში. შენ?

— მოსკოვში. — ასე უცბათ შენთან  
მიმართვა არ მოეწონა ახალგაზრდას, მა-  
გრამ არ გაკვირვებია, რადგან სმენია,  
ჩვენი ძველები მეფესაც კი შენობით მი-  
მართავდნენ, როცა საამისო შემთხვევა  
მიეცემოდათ. — უთუოდ დასასვენებ-  
ლად?

— სანატორიუმში. — და ცოტა ხნის  
შემდეგ. — შენ?

— ცენტრალურ კომიტეტში გამომი-  
ძახეს.

— ალბათ, დიდი ადგილი გიჭირავთ?

— ახლა უკვე თქვენობით ნიმართა  
მოხუცმა. — სად მსახურობთ?

— ერთ-ერთ სამინისტროში.

— პროფესია? — კიდევ უფრო დაინ-  
ტერესდა მოხუცი.

— გეოლოგი, ინჟინერი.

— ჩინებულა. ცოლ-შვილიანი?

— დიახ.

— მშობლები?

— არა მყავს.

— დიდი ხანია?

— დედის ჩამომხმარი სახე და ცრემ-  
ლები ჩამრჩა მესხიერებაში, მამა კი თვა-  
ლითაც არ მინახავს.

— დედაზე ადრე დაკარგეთ?

— დიახ.

— მაშ ვინ იყისრა თქვენი მოვლა, ად-  
ზრდა და პატრონობა?

— მთავრობამ, ხალხმა, კეთილმა ად-  
ამიანებმა. საბავშვო სახლში აღვიზარდე.

— ცუდი როდია ეს, — თქვა მოხუც-  
მა, — იქნებ, მშობლებსაც ვერ გაეწიათ  
ამდენი დახმარება და მზრუნველობა!

— მაგრამ მათი ალერსი და მოფერე-  
ბა მაინც ყველაფერს აჯობებდა.

საუბარი გაუტკბათ, მაგრამ ამ-  
დროს გამყოლი შემოვიდა და ლოგინები  
გაშალა. ახალგაზრდა ზევით ავიდა და  
წამოწვა.

— ალბათ, ხვალ დილით შავი ზღვის  
ნიავე მოგვესალმება. — თქვა მოხუცმა,  
როცა ტანსაცმელი გაიხადა და მოქანცუ-  
ლი სხეული რბილ საწოლზე მოასვენა.

— მაგრამ დილამდე დიდი დრო არის.



— მიუგო ახალგაზრდამ და გვერდი იბრუნა.

— ღამე მოხუცებს არ უყვართ, თორემ ახალგაზრდობა ვერც კი ამჩნევს მის ხანგრძლიობას. დაიძინებს და... ჭაბუკობაზე უძვირფასესი არაფერია — მხიარული, დარდასა და ფიქრებს მოკლებული...

— დარდს მოკლებული? — შეეკამათა ახალგაზრდა. — ისეთი ვინმე არ გაჩენილა, დარდი და ფიქრი ბავშვობიდანვე თან არ შეზრდოდეს.

— დარდს გააჩნია. მაგალითად, თქვენ...

— მარტო მშობელი დედის მოგონება სავმარისია, რომ მომიშხამოს ტკბილი წუთები. — არ დაამთავრებინა სიტყვა ახალგაზრდამ. — საბრალო ქალმა წამებით დალია სული.

— განა ისეთი რა დაემართა? — თანაგრძნობით კითხვა მოხუცმა.

— ადამიანს რომ ბედი გასწირავს! და ახალგაზრდამ თავის წარსულს მშობლების ამბავიც მოაყოლა.

ობლად აღზრდილი გოგონა სიყვარულით მითხოვდა ერთ ლამაზ ვაჟკაცს. საფიცრად ჰყავდა ქმარი და მზეც მასზე ამოსდიოდა. წლისთავზე ვაჟი შეეძინათ და ამან უფრო გაახარა ოჯახი, გააორკეცა ქმრისადმი სიყვარული და პატივისცემა...

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ოჯახური ბედნიერება. ქმარმა სულ მალე მიატოვა ოჯახი. მიატოვა იმ დროს, როცა ცოლს მომაკვდავი ბავშვი ლოგინში ეწვა და მწუხარებით იდაგებოდა. არც ეს აკმარა, თავისი საზიზღარი ბუნება გამოგზავნილ წერილში განოამელავნა — „მე დამივიწყე, სხვა შეიყვარე, ლამაზ ქალს ბედი გაგიჩნდება და მიენდოა“. შვილზე კი წერდა, თუ გადარჩება და გაიზრდება, უშამოდაც არა უშვასო.

იმ დღიდან ცრემლი არ შეშრობია საბრალო ქალს, იმ ცრემლებში ამოიწვა და ამოიხარშა იმისი გული.

— და თქვენ იტყვიო, ახალგაზრდა კაცს ფიქრი და დარდი არ აწუხებსო?

ქერს მიჩერებული თვალები დედნასწავლს არ დაუხუტავს ახალგაზრდას.

რამდენიმე წუთს დუმდა, შემდეგ ხმამალა თქვა:

— ალბათ, მოგაბეზრეთ თავი ნაღვლიანი ამბების მოყოლით. — მაგრამ ხმამ რომ არავინ გასცა, გადმოიხედა.

მოხუცი თანამგზავრი არ ჩანდა, არც მისი ხელჩანთა იდო თაროზე, არც ტანსაცმელი. ახალგაზრდამ გაკვირვებით მიმოიხედა, სწრაფად გადაიკვა ტანზე, დერეფანში გავიდა და გამყოლს კითხა, ჩემი თანამგზავრი ხომ არ დაგინახავსო.

— ამ გაჩერებაზე ჩავიდა. — უთხრა გამყოლმა.

— მას ხომ სოჰამდე ჰქონდა ბილეთი?

— დიახ. უკანვე წაიღო და სწრაფად ჩავიდა.

— მიზეზი ხომ არ გაუშხელია?

— არა უთქვამს რა. ისე აჩქარებული მიდიოდა, კინაღამ მატარებელს ქვეშ მოჰყვა.

ახალგაზრდა დიდხანს არ დაბრუნებულა კუბეში. ფანჯრიდან სიბნელეში იცქირებოდა და ამ უცნაურ შემთხვევაზე ფიქრობდა. მოხუცის ასე ანაზღად გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი მისთვის აუხსნელი და გაუგებარი იყო და ასევე დარჩა.

\* \* \*

სანატორიუმის განიერ ოთახში ოთხი საწოლი იდგა. ამთვან სამი დაკავებული იყო. სამი ახალგაზრდა ვაჟკაცი ბინადრობდა ჯერჯერობით ამ ოთახში. ერთი კვირა ისინი შეიყარნენ და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისე შეჩვეოდნენ ერთმანეთს, რომ შენობით მიმართავდნენ.

სალამო ხანი იყო, ის დრო, როცა სანატორიუმის ბინადარი მსუბუქი ვახშმის შემდეგ ცოტა ხანს წაისაუბრებენ და შემდეგ მოსვენებას მიეცემიან.

სწორედ ასეთ საუბარში იყვნენ ახალგაზრდები, ექთანი ქალი მოხუცებულ კაცს რომ შემოუძღვა.

— საპატიო სტუმარი მოგიყვანეთ, ყმაწვილებო! — მიმართა მან ახალგაზრ-



დებს. — მიიღეთ, გაეცანით და პატივი ეცით.

ახალგაზრდები თავაზიანად წამოიშალნენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. — თქვა ქერთმიანმა ახალგაზრდამ, რომელსაც ამხანაგები ვასიას ეძახდნენ.

— სტუმარი ღვთისაა. — დაუმატა შავგვრემანმა ჭაბუკმა.

— ის ბატონი და ჩვენ მისი მონა. — თქვა მესამემ.

მოხუცმა თავის დაქნევით მისცა სალამი ახალგაზრდებს და განკუთვნილ საწოლთან სკამზე ჩამოჯდა.

— დარბაისელი მოხუცია! — ჩაუღაპარაკა ვასიამ ამხანაგს.

— კავკასიელია, — უთხრა მეორემ.

— ეტყობა. — დასტური დასცა შავგვრემანმა.

— თქვენიანი იქნება, თქვენიანი. — ნიდაყვი გაკრა ვასიამ მას და გაუღიმა.

— რაზე ამჩნევ?

— ასეთი ქედმაღლობა ქართველებს ჩვევიათ. — მიუგო ვასიამ.

— ვერ შეგედავები. — უთხრა შავგვრემანმა. — ყოფილ გვაროსანთ აქამდეც მოჰყვათ ეს ქედმაღლობა. მაგრამ ეს მოხუცებული იმდენად ქედმაღალი არ უნდა იყოს, რამდენადაც მოღლილი და მოქანცული.

— მართალია. — თქვა მესამემ. — არ ეტყობა უკადრისობა. მის დარბაისლურ შეხედულებას ვერას შემატებს ქედმაღლობა.

— პირიქით, ავნებს კიდევაც.

ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს მოხუცზე. ვარაუდობდნენ, როგორი ხასიათისა და ბუნების უნდა ყოფილიყო იგი, რა ეროვნებისა და წარმოშობის, რა წარსულისა და პროფესიის.

ბოლოს დაასკვნეს, რომ ეს მოხუცი განათლებული და ბრძენი ვინმეა, დამსახურებული, დიდი მოღვაწე, გამოჩენილი მსახიობი ან მოქანდაკე, კომპოზიტორი ან მომღერალი. შეიძლება მწერალიც იყოსო, მაგრამ ეს უფრო საეჭვოდ მიიჩნიეს. მწერალი თმასა და წვერ-ულვამს ასე ფაქიზად ვერ მოუვლისო.

— ამაღამ ვადროოთ, მოსვენოს და ხელ დილიდან ავიყოლებ და ჭაბუკი ვაქცევ. — თქვა ვასიამ. — მის ვინაობას კი არა, ანეგდოტებს მოვაყოლებ და ვახარხარებ.

— შენ კი მოასვენებ, ჩვენმა დიმიტრიმ თუ მისცა მოსვენების უფლება და საშუალება. — შავგვრემანს გადახედა ამხანაგმა.

— ჰო, დიმიტრი ხომ ჩვენი მალეძარაა. — თქვა ვასიამ.

— მერე როგორი! მალეძარას ერთხელ დაქოქავ, დროს დაუნიშნავ და იმ დროზე ახრიალდება. დიმიტრის არც დაქოქვა უნდა, არც დროს დანიშნა.

— ბოღვა ჩვევია ზოგიერთს, მაგრამ მუდამ ერთსა და იმავე სიტყვას ბოღვდეს კაცი, პირველად მესმის.

მოხუცს ხმა არ ამოუღია. ეტყობოდა, მართლაც მოქანცული იყო, დინჯად წამოდგა, ტანსაცმელი გაიხადა და ჩაწვა.

ახალგაზრდებიც დწვენენ, მაგრამ დაბალი ხმით საუბარი არ შეუწყვეტიათ.

— ბავშვობიდანვე დამყვა, ბიჭებო, ეს ბოღვა. — უპასუხებდა ამხანაგებს დიმიტრი. — ეს კიდევ რაა, იმდენად ნერვებმოშლილი ვიყავი, რომ მთელი ღამის განმავლობაში დაჭრილი მხეცივით ვბორგავდი და ვღრიალებდი. კარგად მომხედდეს და მიპატრონეს, თორემ გავგიყდებოდი. სანატორიუმები, სამკურნალო წყლები, წამლები... ვინ იცის, რამდენი ვულირვარ ჩვენს სახელმწიფოს, მე კი ჯერჯერობით მცირედი სამსახურიც არ გამიწევია ჩემი ქვეყნისათვის!

— ეგ არაფერი. — გამხნევა ვასიამ. — ჯერ ახალგაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსე. ქვეყანასაც მოემსახურები და საზოგადოებასაც. მაინც, რა განიცადე ისეთი ძლიერი, რომ ასე მოშალა შენი ძარღვები?

— ეეჰ, ძველი, ძნელი და ბნელი ამბავია. — თქვა დიმიტრიმ. — არა მგონია, იმის მოსმენით ისიამოვნოთ.

— მოჰყევი, როგორიც არ უნდა იყოს. — უთხრა მესამემ ამხანაგმა.

— მხოლოდ ხმადაბლა, ჩვენი ახალი ბინადარი არ შეეაწუხოთ.

— მამა სამამულო ომში დავკარგე.  
— დაიწყო დიმიტრიმ. — მე და ჩემი პა-  
ტარა და დავრჩით დედას სარჩენად და  
საპატრონოდ. მე საბავშვო ბაღში დავ-  
დიოდი, ჩემი და საბავშვო ბაგაში დაჰ-  
ყავდა დედას. შემდეგ სამსახურში მიდი-  
ოდა და მუშაობდა. გვეხმარებოდნენ  
მთავრობა, ნაცნობ-მეგობრები. დედაჩე-  
მი ლამაზი და შეხედული იყო. ალბათ,  
აღრე უკეთესი იქნებოდა. ერთხელ ერთი  
უცნობი კაცი დაუახლოვდა ჩვენს ოჯახს.  
დედაჩემს „შვილოთი“ მიმართავდა,  
ჩვენ კი პაპას ვეძახდით. ახოვანი და ლა-  
მაზი ვაჟკაცი იყო, ხანში შესული, მაგ-  
რამ ყოჩალი და ჯანმავარი. მისი მოვლა  
გვისამოვნებდა პატარებს, ტკბილეულო-  
ბის მოტანა იცოდა და გვანებვივრებდა.  
დედასთანაც თავაზიანი და მორიდებუ-  
ლი იყო.

ერთ კვირა დღეს დედა საკერავს ეჭ-  
და სახლში მარტოდ. მე და ჩემი და ეზო-  
ში ვთამაშობდით. ამ დროს ეს ჩვენი მო-  
წყალე პაპაც მოვიდა, მე და ჩემს დას  
კამფეტები მოგვცა და დედასთან შევი-  
და... ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ბინიდან  
დახშული შეკივლება მოისმა, მაგრამ იგი  
იმ წამსვე მიწყდა და არავითარი ეჭვი  
არ აღუძრავს ჩვენში. რამდენიმე წუთის  
შემდეგ ის ჩვენი პაპობილიც გამოვიდა.  
მეტად კმაყოფილი და დამშვიდებული  
გამოიყურებოდა. ჩვენთან მოვიდა. მო-  
გვეალურსა. მე ათთუმნიანი ჩამიდო ხე-  
ლში, ჩემს დას — ხუთთუმნიანი. შემდეგ  
კვლავ მოგვეფერა და წავიდა.

ჩვენი ბედი ეზოში მოთამაშე ბავშვებს  
შეშურდათ. ყველას მოესურვა ჰყოლო-  
და ასეთი კეთილი ძია თუ პაპა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.  
აი ახლა შემეძლო დიდი ხნის ნატურის  
შესრულება — მეყიდა რეზინის დიდი  
ბურთი. ჩემმა დამ ჯერ კიდევ არ იცოდა  
ფულის ძალა და ხუთთუმნიანს უბრალო  
ქალაღღვივით ატრიალებდა ხელში.

— წავიდეთ, დედას ვაჩვენოთ. — მა-  
ჯაზე მოვაგლე ხელი და სახლისაკენ გა-  
ვარბენინე. ავედით კიბეზე, შევალეთ  
ჩვენი ბინის კარი და... — ახალგაზრდას  
ენა დაება.

— მერე? — ერთხმად შეეკითხნენ  
ხანაგები.

— დედაჩემი ჰერზე გამობმულ თოვტე  
ქანაობდა.

— რას ამბობ!!!

— გაბახება და შეურაცხყოფა ვერ აე-  
ტანა და...

— მერე, რა უქნეს იმ საზიზღარს? შე-  
იპყრეს? გაასამართლეს? დახვრიტეს?

— არა. ვერ იპოვეს. ვერ აღმოაჩინეს.  
დაუსჯელი გადარჩა.

— შენ თვითონ უნდა მოგეძებნა, გე-  
პოვნა, ყელი გამოგეჭრა! — გაცხარდა  
ვასია.

— მაშინ მე რა შემეძლო! თან ამ სუ-  
რათის დანახვაზე ისე ვავხდი. რომ დიდ-  
ხანს ვერ დავდექი ფეხზე. ჩემი და მამი-  
დამ წაიყვანა და გამოზარდა. მე ხან სა-  
ბავშვო სახლში, ხან სანატორიუმში, ხან  
საავადმყოფოებში ვიყავი. მეტწილად  
ვმკურნალობდი. სულ რაღაც ხუთი-ექვ-  
სი წელია ღონივრად ვდგავარ მუხლებ-  
ზე, თორემ მანამდე სიარულიც კი მიძ-  
ნელდებოდა.

— მე შენს ადგილას ახლა შევუდგე-  
ბოდი საზიზღარი მხეცის ძებნას და გა-  
სამართლებას. არც გვარი იცი იმ საძაგე-  
ლის და არც სახელი?

— როგორ არა, სახელი ვიცი. რომ  
შემხვდეს, თვალებით ვიცნობ და ყელში  
ვეცემი.

— კმარა! კმარა! კმარა! — ზედღედ  
შესძახა ამ დროს თითქოს მიძინებულმა.  
მოხუცმა, მაგრამ უმაღლ გიანბანმა.

— ოჰო, ამასაც არანაკლები ბოდვა  
სცოდნია. — მოხუცისაკენ გაიხედა ვა-  
სიამ.

— მაგას უთუოდ ძველი ცოდვები აწ-  
ვალებს. — თქვა მეორემ და გვერდი იც-  
ვალა.

— ვინ იცის, ვინ რა ტვირთით დადის  
ამ ქვეყნად და რა ცოდვა-მადლს დაატა-  
რებს. — დაუმატა დიმიტრიმ და შუქი  
ჩააქრო.

\* \* \*

სანატორიუმის ბინადართ სძინავთ.  
ეზოს დარაჯსაც ჩაუთვლემია. ირგვლივ  
სიწყინარე და მყუდროებაა. ვარსკვლავი-

ბით მოკედლილი ცა მთვარის ამოსვლის მოლოდინშია.

და ამ დროს სანატორიუმის შენობის მარმარილოს კიბეზე მაღალი თეთრი აჩრდილი აილანდა. იგი ნელ-ნელა ჩამოდის. აი, ჩამოლია უკანასკნელი საფეხური, მიწას დაადგა ფეხი და ქანდაკებად ქცეული ერთ ადგილას გაიყინა.

ეს ის მოხუცია, რამდენიმე საათის წინ რომ ესტუმრა საპატიო საგზურით სანატორიუმს და ახალგაზრდებთან ჩასახლდა... დიახ, ის არის, „კმარა, კმარა“ რამდენჯერმე რომ აღმოხდა ძილში. ის არის. ამდგარა, მაგრამ ტანზე როდი ჩაუცვამს. თეთრეულის ამარა გამოსულა ხეივნებით დამშვენებულ ეზოში.

იქნებ სნეულია, მთვარეული, ლოგინიდან რომ უგონოდ დგება, ტანჩაუცმელი გარეთ გამოდის, კარგა ხანს უსაზროდ დაეხეტება, შემდეგ კი თავის ლოგინს დაუბრუნდება, ჩაწეება და ისე ძინავს, რომ ვერაფერს გრძნობს. ამბობენ, შემთვარულებს კედლებზე და სახურავებზეც შეუძლიათ აცოცება და ხეტიალი.

მაგრამ არა, ეს მოხუცი არ ჰგავს მთვარეულს. მთვარეული ჩუმად და უხმოდ დადის, ეს კი რაღაცას ბუტბუტებს და ტუჩებს ილოკავს. აი, შეირხა, გადადგა პირველი ნაბიჯი, მეორე, მესამე. მიმართულება აიღო ბნელი კუთხისაკენ, ცაცხვის ძირში რომ დაწნული სავარძელი დგას. გასცილდა განათებულ მოედანს, შევიდა სიბნელეში, მიუახლოვდა სავარძელს, შეჩერდა, თვალები სიბნელეში რაღაც წერტილს მიაჩერა და გადაიხარხარა. გადაიხარხარა ისეთნაირად, ისე საზიზღრად, რომ მისი გაგონება დღისითაც კი შეაჯრყოლებდა ადამიანს.

— ხა-ხა-ხა-ხა!! ეს შენ ხარ, თეო? — აჩურჩულდა შემდეგ დახშული ხმით: — აქ ვის დაეძებ, სულელო? ხი-ხი-ხი! მე? მე დამეძებ, ბრიყვო? მამაკაცი გამოილია ქვეყანაზე? დიდი ამბავი!.. შენ კი არა, ათჯერ შენზე უკეთესები მიუტოვებიათ. გამეცალე იქით! — თითქოს ხელი კრა ვინმეს. — არ მცილდები? არა? შე წყეულო, აკი დიდი ხანია ჩაძაღლდაო? ვინ

მითხრა? შენმა და ჩემმა ვაყმა! მოსკოლში მიდიოდა და დავემგზავრე. უნდა გეცხვიო? მიცნობდა, როცა არასოდეს ვუნახავიარ? ჩემი გვარი ან მითქვამს, თორემ შეიძლება ეჭვი აეღო... კარგი ვაჟი დამდგარა. მადლობის ღირსი ხარ, უბედურო დედაკაციო! გასწი, გასწი აქედან, ჩაიარე, ხელს ნუ მიშლი! თუ ძალა და ღონე გქონდა, მაშინ გამოგეჩინა. მაშინ შეგენარჩუნებინე, ასე თუ გწადა ჩემი დასაკუთრება. ახლა გვიანდაა, ვერას გახდები... ნუ მიახლოვდები! ნუ მეკვრი! ნუ მეხვევი! არ იშლი შენსას? ძალიან კარგი, ვნახოთ, ვის რა ძალ-ღონე შერჩენია! — სწრაფად დაიძვავა პერანგის სახელოები და მოჩვენებას დაეჭიდა. დიდხანს იბრძოლა. ხან ძლეულის პოზას იღებდა და კენესოდა, ხან გამარჯვებული შეიმართებოდა და ხარხარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძლია მოპირდაპირეს, გაიმარჯვა და დამშვიდდა, დაცხრა.

— იგემე ვირის წიხლები, გადარეულო დიაცო? ასე გეკადრება. მოკურცხლე ხომ? ხა-ხა-ხა! სიბერის ყამს მიშოვე დრო? ვერ მოგართევს! — დინჯად მივიდა დაწნულ სავარძელთან და მოქანცული დაეშვა. ერთხანს ხმადაბლა კიდევ იბუტბუტა, იღრიჯა, თითები იმტვრია, იგრინა, შემდეგ რაღაც კიდევ მოეჩვენა და წამოვარდა.

— ნატო! შენ აქ საიდან გაჩნდი? ნატო-მეთქი! შემოიხსენ ეს თოკი ყელზე! მაშინებს შენი სახე, ნატო! ღვთის გულისათვის მოიხსენ ეს თოკი! რაო? არ მოიხსნი? მე შეგაბი და მე უნდა შეგხსნა? არა, ამას ვერ ვიხამ! აბა, მე ისეთი რა დავიშავე, რომ ყელზე თოკის შებმა იფიქრე? მე ხომ პირველად არ ჩამიდენია ასეთი რამ? შენც ხომ არა ხარ პირველი დედაკაცი? ბრიყვი ყოფილხარ. თავიც დაღუბე, შვილებიც დატანჯე. ხომ იცი, ცოდვა-მადლი არ არსებობს. სასუფეველი ჩამწვარი და ჩაფერფლილია. ღმერთი ჩემზე უფრო მოხუცებული და მოტეხილია, არაფრის გარჩევა არ შეუძლია... დიახ, დიახ... შენ განათლებული ქალი ხარ და უნდა იცოდე, რომ ჯოჯოხეთი და სამოთხე არავის სჯერა. ეს ქვე-



ყანა გაჩენილია მხოლოდ იმისათვის, რაც შეიძლება ბევრი სიამოვნება ნახო. რაო? ხა-ხა-ხა!.. სამართალი? ხელისუფლება? გულუბრყვილო ქალი ყოფილხარ, ნატო! ხელისუფლებას ბრიყვები უცვივიან ხელში. მოქნილ-მოხერხებულ კაცი კი ქამელეონის ქურჭით სარგებლობს. რაო? ტყუილია, ტყუილი, ჩემო კეთილო და ბრიყვო დედაკაცო! შენ გჯერა, ცოდვებს კაცი ვერ მოიცილებსო, რომ ბურტყუნებენ? ამიტომ ხარ ბრიყვი და სულელი! კარგი, თუ ქალი ხარ, ჩამომეხსენი! როგორ? შენ ნატო არა ხარ? მაშ ვინ ხარ? დედა ხარ? შვილს ეძებ? ასე გეტქვა. შენი ვაჟი ძალიან კარგად არის. სანატორიუმში გამოუგზავნიათ. გოგონა? ის კი არ ვიცი. მგონია, მამიდამისი პატრონობს. სჭვა რა გსურს ჩემგან გაიგო? წადი, გამეტალე აქედან, თორემ შენც ისეთი დღე მოგელის... ხი-ხი-ხი! ნუ მიბზეკ ენას! მოიხსენი ყელიდან თოკი! — და უცებ დაიდრიალა: — ნატო! მეშინია მაგ თვალეზის, მაგ დაკრეჭილ კბილებს! გესმის?! მემუჭრები? არ მეშინია მუჭარის! არა, არა, არც ცოდვების მეშინია. მე მათ თა-

ვი დავადწიე, დავუძვერი. სად არ შეგვადა, სად არ წამომელანდა, მაგეჩქვინებელი გადავრჩი! დიახ, უენებეჭორეჭორე! სად არის გასაძრომ-გამოსაძრომი და რომელი ხერელით რა დროს უნდა გავძვერე. დიახ, აქაც ვიპოვი ასეთ ხერელს.

უფრო აღელდა, შეწუხდა, აფორიაქდა. შემდეგ მოიკაცვა, დაპატარავდა, საცოდავად დაკნინდა, გლახაკს დაემსგავსა, თვალეზზე ხელი აიფარა და წამოვიარდა.

— წყეულო! გარეწარო! არ მშორდები? მაშ ვნახოთ! — სწრაფად მოწყდა ადგილიდან, გაექანა, შეიჭრა სიბნელეში, დაეჯახა ქვის სვეტს და თავგახეთქილი მიწაზე დაეშვა.

მეორე დღეს იპოვეს ბაღში მოხუცის გაციებული გვამი. ეს ამბავი ყველამ გაიგო, მაგრამ უბედური შემთხვევის მიზეზად გამოძიებამ სანატორიუმის ხელმძღვანელობის გულგრილობა ჩასთვალა და იმ ღამის მორიგე დასაჯეს.

მართალია, სასჯელად საყვედური აკმარეს, მაგრამ სასჯელი მაინც სასჯელია და დაუმსახურებლად მისი მიღება მეტად საწყენი და სამწუხაროა.



## შვიროს ხალხში

### მეე წვიმასში

მას ელოდი,  
ამიტომ ღამე ისე გაგიდნა,  
რომ კალმით და ოცნებით  
ვერ მიაღეჭე მაგიდას.  
მთელი ღამე ელოდი.

წვიმდა.  
ახლა ცრის კიდევ.  
დილა მაინც შინდისფრად ღებავს  
მალალ ცისკიდეს.  
ადეკ ნალოდინარი,  
მზე წვიმასში აინთო,  
თითქოს ამით ის გითხრა,  
გულს გიკეთებ ამითო.  
მთების რუხი უბიდან ამობრძანდა  
მნათობი,

ქალიც მაშინ მოვიდა,  
იგი ვისაც ნატრობდი.  
სევდიანი დარია,  
წვეთი ნემსად გესობა,  
მაგრამ იგი მოვიდა და გრძნობ  
უკეთესობას.

სახლის ცისფერ ფანჯარებში  
ათამაშდა ხალისი,  
გიხარია ეს დილაც  
და ის დილაც ხეალისი.

\* \* \*

ქალი, ვინაც თან მოყვა  
წვიმას, მზეს და იმ დილას,  
იჯდა ჩუმად.  
მერე კი ადგა და თქვა:

მივდივარ.  
წლები რაგვარ წვალებით  
მისთვის შეგახარჯია,  
ნეტავ ახლა რომელი წუთი იმ წლებს  
არჩია?

მაშ რატომღა მოვიდა,  
ანდა სად მიელიან?  
ძნელია ის, რომ გიყვარს  
და ის მაინც ბნელია.  
კითხო რამე?  
— ცუდია.  
ხვეწნა — უარესია,  
თუ არა და, ჰა, ღვარი ლეკავს, რაც  
გითესია.

წუთით კარს მიეყუდა.  
მღუმარეა, მშვიდია,  
ეუბნები:  
— რა მოხდა?  
— არაფერი... მივდივარ...  
შენ მუხლები გეშვება,  
მას მუხლები უძლებენ,  
გამეტებით აბიჯებს უოლის ყვითელ  
ფურცლებზე.

ღარი ისევ დაბინდდა,  
ცასაც გული ევსება,  
მთები ნისლეზს იხვევენ,  
ვით ქეჩხოებს მწყემსები,  
და გაღიხარ წვიმასში.  
წვიმა წვიმას არა გავს,  
წვეთში სხივის მტვერია,  
შენ კი მტვერიც არა გაქვს.

შინც ისე მიღიხარ, თითქოს ახლა  
აღარ წვიმს,

გავონდება ვიღაცა,  
გეძებს ძალა რაღაცის.  
მთელი ღამე წაიღო სიყვარულის  
იმედმა,

შორიდან კი ვარსკვლავი  
ჩუმად გიციმციმებდა.  
შენს მძლავრ მზერას ელოდა,  
როგორც შენ ქალს ელოდი,  
იცოდა — შენ ოცნებით სახლში ვერ  
ეტეოდი.

ის ქალი კი ვერ მიხვდა  
შენთა ფიქრთა სიდიდეს,  
თუ რა სხივს დაედევნე,  
რა მზე გადაიკიდე.  
ვერ იტანდა შენს ფიქრებს,  
და შეჩვილა გარეწრებს:  
— ჯერ უნახავ გზებსა და სამყაროებს  
დაეძებს.

გაიცინეს, წავიღნენ,  
ისიც ერთს აედევნა,  
ის სიმაღლემ დააფრთხო  
და სინათლის კედელმა.  
...მაგრამ შორი სიყრმიდან,  
როგორც ირმის ნახტომი,  
მოგდევს დიდი სინათლე,  
უნდა შენი გახდომა.  
ის საოცრად თბილია და ღამისფერ  
თვალეზში

ვარსკვლავები ცვივიან  
მეტეორთა თარეშით.  
რუზე ნაკრეფ გვირილებს  
კრავს ბალახის ღეროთი  
და ყოველთვის ბინდისას  
შენს ეზოში შემოდის.  
დგას, განიცდის შენს აზრებს და სურს  
ერთი გვირილი

დაღოს შენს მაგიდაზე,  
ვით სიტყვა და ღიმილი,  
მაგრამ შენი კოსმიურ შრომ-ს  
მოეკრძალება!

და უკანვე წაიღებს  
სიყვარულს და წვალებას.  
შენ კი, ვინაც მონახე  
და შეხსენი ცას კარი,  
ვერ იგრძენი შენს გვერდით  
შენი ბედის ვარსკვლავი.  
უბრუნდები რუკებს და ჭოგრიტს,  
გულდაწყვეტილი,  
და რიცხვებით საუბრობს შენთან.  
თითო წერტილი.  
ასეთია ცხოვრება  
დიდისა თუ პატარის:  
სულ ურთულესს გაიგებს,  
სულ უბრალო გადარევს.  
ამ წუთს არ გეგულება  
შენთვის ერთი ატომიც,  
როცა მთელი პლანეტის  
შენ ხარ ერთი პატრონი.  
თავში ზეცა ტრიალებს,  
თვალწინაა ნახაზი,  
კოსმიური სიღრმიდან  
გეძებს ძალა რაღაცის.  
ასე იყავ ბინდამდე  
მაგიდაზე დახრილი,  
უცებ ფანჯრის მიღმიდან  
მოგწვდა მორცხვი ძახილი.  
გაიხედე, იცანი, ვინც სიყრმიდან  
მოგდევდა....

მზე კი ზღვაში ჩასული  
ჩანდა მუშტისოდენა.  
შემდეგ ქარმა რტოებში  
გაიღვიძა იმედსათ  
და ფოთლებმა დაუკრეს  
წვიმის ლურჯი სიმები.



## გიორგი სანაღიჩაძე

# ადამიანებს ყოველთვის უნდა გვესმოდეს ერთმანეთის

სარკმლიდან ზღვა ჩანდა.  
მიხამ თოვლი ახვეტა, გუნდა გააკეთა  
და ბიჭებს გადახედა.

— იქნებ არ ღირს, ა? იქნებ ამ კარი-  
კატურის გარეშე გამოვუშვათ ვაზეთი?  
ბოლოს და ბოლოს, კაცი ერთხელ დათვ-  
რა. ეს ვის არ მოსვლია. ეწყინება.

— მაშინ ჩამოვიღოთ, — თქვა ვილა-  
ჯანი.

— ვითომ რატომ? — წამოიძახა მე-  
ორემ.

— ეს ხომ მეგობრული შარუია! თუ  
ჩემზე შეიძლება, სხვას რატომ უნდა და-  
ვაფაროთ ხელი?

— ეგეც მართალია.

ცოტა ხანში არჩილი მოვიდა, მეგობ-  
რებს შეხედა, ჯერ გაღიმება სცადა, კა-  
რგად გამოვსულვარო, მერე ეწყინა და  
მოიღუშა:

— ჩემთვისაც მოიცალეთ? ეს ვინ გა-  
მალამაზა ასე? შენ ქენი, მიხა, ხომ? შენ  
გამომჭერი კისერი და დამდე შარაზე?

მიხა გაწითლდა.

— ძალიან კარგი. — დაქაღნებით გა-  
დაიქნია თავი არჩილმა, წამოიწია და წა-  
ქანჯალდა. თვალები აემღვრა.

— ბიჭებო, შეხედეთ, იგი ახლაც  
მთვრალია!

დერეფანში სიცილი გაისმა.

— ეს კი მეტისმეტია. — თქვა ბრი-  
გადირმა.

— ნამდვილად მასხრად გვიგდებს.

— ვითომდა კარგი მუშა ვარო, იხს!

არჩილს უკან არ მოუხედავს. სველ  
იატაკზე ფეხი დაუსრიალდა, დაეცა. ახ-  
ლა უფრო მძლავრად იფეთქა სიცილმა.  
იციინოდნენ კედლები, ფანჯრები, მაგი-  
დები...

— წამოაყენეთ, — წაიანგლა ვილა-  
ცამ, — თორემ ისევ წაიძინებს, მეტი კი  
არ უნდა!

არჩილს არ ახსოვს, როგორ გავარდა  
გარეთ. თავი უბრუნდა, სხეული უცახ-  
ცახებდა.

დარაჯმა გაოცებით გააყოლა მხერა.  
მერე კარებში ალანდულ უზარმაზარ ჭა-  
ბუქს მიუბრუნდა:

— ამ კაცს რალაც კარგი არ ჭირს. გუ-  
შინ, იცით, რა მოხდა? აა, თქვენ მართ-  
ლა არაფერი იცით? შესვენებაზე ბი-  
ჭებმა დაზგაზე წამოძინებული იპოვეს.  
ჯერ ვერაფერს მიმხვდარან. დადლილია,  
ან ცუდად გახდაო, უფიქრიათ, ნაგრაბ  
ისეთი არყის სუნი ასლიოდა თურმე...

— რას ამბობ?! — გაიკვირვა ჭაბუქმა.  
და ახლა მანაც დაატანა თვალი არჩილს.

ყინავდა, ქარი ქროდა და თოვლის  
წვრილ მტვერს ახვეტდა სახეში, არჩი-

ლი კი მიდიოდა დიდხანს, უნდოდა რაც შეიძლება შორს გასცილებოდა ქალაქს. სანაპიროს გაყოლებით მეთევზეთა გადმობრუნებული ნავეები ჩანდა. თოლიები მოუსვენრად დაფარფატებდნენ მათ ზემოთ. მამაკაცი ნავის კიდეს მიეყრდნო. პალტო გახსნოდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ასე გაუძმრევლად კარგა ხანს გაჰყურებდა ვერცხლისფრად მოლაპლაპე სივრცეს.

\*\*\*

...ახლა იგი შინ იჯდა.

ჭიშკარი ვიღაცამ გააღო და დაიძახა: — არჩილ! არჩილ!

მამაკაცმა წამით აიღო თავი, მაგრამ არ წამომდგარა. იჯდა სიბნელეში, პაპიროსს აბოლებდა. ძახილი ისევ განმეორდა. მერე ჭიშკართან ვიღაცამ ჩაახველა, მერე მკვრივლანჩიანი ფეხსაცმლების კაკუნი გაისმა. დამდებოდა. ქარი არხევედა ხეთა ტოტებს სარკმლის მახლობლად. ღარღანაში ჩარჩენილი თოვლის წყალი წკაპუნით ეცემოდა პაწია ტბორში. არჩილს შესცივდა. ღუმელში რახანია მინავლებულიყო ცეცხლი. სხეული თანდათან ექლინებოდა სინესტით. უცებ საშინელი მარტოობა იგრძნო. ნივთებით გადატვირთული ოთახი თითქოს სუნთქავდა. ეს შორეული, იღუნალი სუნთქვა აკრთობდა, კიდევ უფრო უმძიმებდა გულს.

სწრაფად გადაიკვა ტანზე. გარეთ თოვლი იდო. არავინ ჩანდა ირგვლივ. შორს, კუშტად მომზირალი სახლების მიღმა, შუქურა ციმციმებდა. მიდიოდა ჩაფიქრებული. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო. მხრებში მოეწევა, მოიხარა, დაპატარავდა. „ასე იწყება, ალბათ, მარტოხელა კაცის ცხოვრება, — ფიქრობდა თავისთვის. — ასე დაეხეტები დამეულ ქუჩებში და თვითონაც არ იცი, რა გინდა“. ქუჩა გრძელი იყო, ძალიან გრძელი და მას გაეხარდა, როცა აგურისფერი სახლების რიგი გაიარა ზღვისპირა ბაღთან. ასე დაკარგული, ასე მიტოვებული არასოდეს უგრძნია თავი. მაღლობთან გზა ერთბაშად უხვევდა, ნავსადგურისაკენ

მიემართებოდა. ხელმარჯვნივ ზღვა დაჰქიმულიყო. ირგვლივ საოცარად მკვრივად დროება სუფევდა. რომელიღაც სახლიდან ქალი გამოვიდა. არჩილს მოეჩვენა, ქალი ღიღინებდა, ოდნავ ირწეოდა და ღიღინებდა. იგი საუცხოო სანახავი იყო. ფარანთა მოყვითალო შუქით შეფერადებულ ხეთა ფონზე და არჩილმა გაიფიქრა: „არავინ იცის, რა უნდა ან რა აწუხებს ადამიანს, როცა ასე მარტო მიაცივებს დამეში, როცა ასეთი წყნარი ზღვაა და უკიდევანო სივრცე უსმენს სიჩუმის მელოდიას. იქნებ, სიხარული აღეღებს? იქნებ, ნოლოდნელად აკვირებულ ფიქრს გამოუყვანია გარეთ! ვინ იცის!“

როცა ქალმა ჩაუარა, არჩილი შეეცადა არ შეეხედა მისთვის. ქალი ღიღინებდა. ქალი ჩუმად, სულ ჩუმად ღიღინებდა:

მე მყავდა ჩიტუნა და ჩიტუნა აღარ მყავს...

ჰა, გაუელვა არჩილს, საუცხოო სიმღერაა. მოიხედა. ქალი ისევ აუჩქარებლად ნიემართებოდა ნავსადგურისაკენ.

პატარა მოედანი გაქვდილი იყო მსუბუქი მანქანებით. არჩილმა მიაყურა, მსუბუქი თუ არა ზღვა, მაგრამ ზღვა არ მსუბუქი. და მან რატომღაც გონებამში გაიმეორა:

„მე მყავდა ჩიტუნა“.

— ნამდვილად საჩემო სინღერაა. ტფუ!.. ადამიანი ვერასოდეს განსაზღვრავს, რა ელის ზვალ! — ამან ისევ ცულ ხასიათზე დააყენა.

სკვერი გაიარა და კაფეში შევიდა.

კაფეში უკრავდა რადიოლა. ეს იყო მშვიდი, რაღაც ნაზი ფერებით გაყდენილი მუსიკა. არჩილმა მიმოიხედა. „აქაც სიცარიელეა, — გაიფიქრა მან. — ამაში ნამდვილად მწყალობს ბედი“. იგი მიესალმა მეზუფეტე ქალს და დანადგარის პირდაპირ, მრგვალ მაგიდასთან დაჯდა.

— კონიაკს ინებებთ?

— ყავას და კონიაკს.

მეზუფეტე ქალს ლამაზი მომწვენიო ფერის თვალები ჰქონდა. თმავარცხნილობა რომელიღაც კინოვარსკვლავისაგან გადაეღო. იგი უყურებდა, როგორ

აავსო არჩილმა ორთომელი და როგორ გადაკრა.

— ასე უსაშველოდ გაბრაზებულნი სვამენ მხოლოდ, — გაიღიმა ნან. იგი დიდი ხანია იცნობდა არჩილს.

— ჰო, — თქვა არჩილმა, ისევ დაისხა და გადაკრა.

— ასე უკვე ეჭვიანი ქმრები სვამენ, — თქვა მებუფეტე ქალმა. — ეს უკვე მეტისმეტია.

არჩილს მოსწონდა ეს პატარა, ალერსიანი ქალი. მან თქვა:

— ამჯერად, რა თქმა უნდა, შეცდით...

ნას სიმშვიდე წყურთადა, უსმენდა ნადვლიან მუსიკას, გრძნობდა, როგორ იღრინებოდა რაღაც მის შიგნით, მკერდში. იგი ახლა ბარათზე ფიქრობდა, რომელიც შინ, ლარსაქზე დარჩა. ბარათი რამდენიმე სიტყვისაგან შედგებოდა. „ნუ მეძებ, მშვიდობით“. არჩილი მიხვდა, სწორედ ეს სიტყვები იღრინებოდნენ მკერდში. უკვე მესამე დღეა, თვითონ კი ხეირიანად ვერ გარკვეულა რა მოხდა. რატომ დადის ასე გოგნებულნი, რატომაა სახლში იმოდენა სიჩუბე... მძიმე... აუტანელი... „მე მყავდა ჩიტუნა და ჩიტუნა აღარა მყავს...“ ხანდახან რა საოცარ სიმღერას არ გაიგონებ... ეშმაკმა დალახვროს!

— გაწყენინათ ვინმემ? — კითხა მებუფეტემ.

— ცოტათი.

— ასეც ვიცოდი.

არჩილმა გაცეცხობით შეხედა, იგი ფიქრობდა: ეს ქალები ნამდვილად სატანებსა გვანან. ვერასოდეს გაიგებ, როგორ ჩაჯიჭვრებიან სულში.

— ასეც ვიცოდი, — გაიმეორა მებუფეტემ. — რაც თავი მახსოვს, არასოდეს მოსულხარათ ასე გვიან.

„ახლა მკითხავს ცოლზე, — გაკენწლა არჩილს. — ახლა შემობრუნდება და მომაფრქვევს მომაჯადოებელი ღიმილით: „როგორაა თქვენი მეუღლე? ეს სამი დღეა რატომღაც ვერ ვხედავ“. მაგრამ ქალი მშვიდად დაყრდნობოდა მაგიდის კიდეს. მერე თავისთვისაც მოიტანა სავსე ორთომელი და შემწვარი კარტოფილი.

— ამიერიდან თქვენთან ვივასშებ, ალბათ, — თქვა არჩილმა.

ქალმა გაუღიმა.

— ჰმ, — თვითონაც ვერ მიწვდარიყო, რად ამოიხრა ასე მძიმედ. მაგრამ გრძნობდა, მოწოლილი ბოლმის შეჩერება აღარ შეეძლო. — მე შემიძლია, გენდოთ?

— რას ამბობთ! ასეთ საქმეში სამარე ვარ. მაგრამ ეს უკვე ნთელმა ქუჩამ იცის, რომ თქვენი ცოლი...

— იცის?! — სახე წამოუწითლდა მამაკაცს. — ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო. მე არც ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე.

— პირველად მუდამ ასეა. მერე ეჩვევა კაცი.

არჩილს გონება ებურებოდა. თრობის ტკბილი ბურანი თვალეში ჩამოაწვა...

მან ისევ შეავსო ორთომელი და გადაკრა. ვერავითარი გემო ვერ სთხოვა სასამელს. ისევ დაისხა, მაგრამ ქალმა შეაჩერა.

— გინდათ, მე ცოტა კარტოფილს გადმოგიღებთ. ასე სმა არას გარგებთ. აი, თეფში, გადაიღეთ და დააყოლეთ. არც ყავას მიკარებინართ. თქვენ ხომ გიყვართ, ყავა? ერთი ვერ გამიგია მხოლოდ: რატომ სვამს ადამიანი, როცა რაიმე უსიამოვნება შეემთხვევა ხოლმე?

— არ ვიცი, — შეაქრყოლა არჩილს. — მაგრამ ის, რაც მე შემემთხვა, უსიამოვნებაზე მეტია. ჩემს ნტერსაც არ ვუსურვებდი.

ქალი თონის პურის ნაჭერს თხელ ფენად აცხებდა მდოგვს, ზედ ყველს ადებდა და ისე შეექცეოდა. თვალეები უბრწყინავდა. მას ეცვა შავი, მაღალყელიანი სვიტერი. ერთი შეხედვით გეგონებოდა ქერა თმები ჰქონდა. სინამდვილეში რაღაც უცნაური სითეთრე გადაკრავდა, თითქოს მზის სხივები დალიცილებდნენ მათში.

— და მთელი უბედურება ისაა, რომ იმ დღეს მე ზღაპარი მოვიგონე, — თქვა ნალვლიანმა არჩილმა.

— საინტერესოა. — თქვა ქალმა. — თქვენ ზღაპრებსაც იგონებთ? ამას ნადვილად ვერ ვიფიქრებდი.

მამაკაცი შეიშმუშნა.

— ნუ მიყურებთ ავრე. მე არც ღმერთი ვარ და არც ანდერსენი. უბრალოდ ჩემი პატარა გოგონასათვის ვიგონებდი ზღაპრებს. — შეჩერდა, ყავა მოწრუბა. — ჰო, ჩემი პატარა გოგონასათვის, — გაიმეორა ჩუმად. — ყოველთვის, როცა სამუშაოდან ვბრუნდებოდი, ჩემი გოგონა მთხოვდა ნომეთხრო რაიმე.

ქალს ღიმილი გაუქრა.

— ბედი უნდა გწყალობდეს ადამიანს. — განავრძო მამაკაცმა. — ხანდახან რაღაც მოიმოქმედო გინდა. ვირივით მუშაობ. გჯერა, გწამს. უცბათ კი საპნის ბუშტივით თვალდახელშუა გაგიქრება ყველაფერი. და მეგობრებიც, რომლებიც ძალიან გიყვარს, უცხონი ხდებიან. მაგრამ კაცი რომ დაუკვირდეს, განა სწორედ ახლა გახდნენ ისინი უცხონი? რა სისულელეა! მათ თავიდანვე არაფერი გაეგებოდათ შენი. იყო მხოლოდ მოჩვენებითი მეგობრობა, შეზღუდული, უნიდაგო.

— რატომ ამბობ ასე. — თქვა ქალმა. — მან ისევ ვერაფერი გაუგო. უყურებდა მამაკაცის ვეება ხელებს, რომლებსაც ორთომელი ჩაებლუჯათ.

— თქვენც, რა თქმა უნდა, ცუდს ფიქრობთ ჩემზე.

— პირიქით.

— მე ხომ თავი შეგაწყინეთ წუწუნით. თქვენ კი ვერც წარმოიდგენთ, როგორ აიშვა მკერდმა, თითქოს დიდი ლოდი იღო ზედ, ჩამომცილდა... თვალეზე გატყობთ, გამიგეთ, ადამიანებს ყოველთვის უნდა გვესმოდეს ერთმანეთის. მაგრამ ასე არ ხდება. მე ხელი მკრეს. მე არასოდეს ვყოფილვარ ასეთ დღეში. ნე დაკარგული კაცი ვარ, ამიერიდან ვისთვის უნდა ვიცხოვრო?!!

— მეტს ნულარ დაღევთ. სასმელმა უფრო ცუდ ხასიათზე დაგაყენათ. გინდათ ფირფიტები მარიო ლანცას შესრულებით? ეს ისეთი გადასარევი მომღერალია. აჰ, როგორ მღერის...

— ჰო, — თქვა არჩილმა. — კარგია, როცა ასეთი სახელმოხვეჭილი ხარ! თორემ მე... მე ერთი პაწია ჭანჭიკი ვარ, სულ პაწია...

— იქნებ, ფანჯარა გავალო? — შეაწყვეტინა ქალმა, — ამ მოხალული ყავის ჩერნელი ტრიალებს. ყველას არ უნებნებენებს. — მებუფეტე საუცხოო ქალი აღმოჩნდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა შეეცვალა საუბრის თემა. — იცით, ექიმში ახმეტელი სწორედ ამ მოხალული ყავის გამო აღარ დადის ჩვენთან. გინდათ, გავალო სარკმელი? არა? სადღაც წავიკითხე, წელს ძალზე მკაცრი ზამთარი იქნებაო. ამ ამინდების მიხედვით ვერაფერს იტყვი კაცი. თუ ასე გავგრძელდა, თოვლი დილამდეც არ გასტანს. აღნება. როგორ ფიქრობთ, მოთოვს კიდევ?

არჩილი ღიმილით უყურებდა მას. ტკბილ, სასიამოვნო მელოდიად ჩაესმოდა ქალის ხმა. რატომღაც ბავშვი გაახსენდა. წარბები მოკმუნა, პაპიროსს მოუყიდა. ქალმა ამოიხზრა. მერე ცარიელი თეფში აიღო, სამზარეულოში გაიტანა. იქ იგი დიდხანს ელაპარაკებოდა ჩიკორა მზარეულს, რომელიც ხორცს კეპავდა.

არჩილმა ისევ მარტოდ წარმოიდგინა თავი. სიკვდილივით ეზარებოდა შინ დაბრუნება. მაგრამ მაინც წამოდგა, ფეხზე დამდგარმა განოწურა ფინჯანში ჩარჩენილი ყავა და კარისაკენ გაემართა.

— უკვე მიდიხართ? — მოესმა ქალის ხმა.

უცებ შემობრუნდა. მაგიდები წამით წაბარბაცდნენ და ისევ გასწორდნენ. მოეჩვენა, თითქოს ჭერში გამოკიდებული ქორკანდელი კიდევ უფრო გაფერმკრთალდა.

— მე კი თქვენთვის ვახშამი მომქონდა. მე გაბატყებთ.

— გმადლობთ, მაგრამ უნდა წავიდე. ქალი მიხვდა — ტყუოდა. მაინც გაიღიმა. საწყალი! რა საცოდავად გამოიყურებიან მამაკაცები, როცა ასეთ დღეში ვარდებიან! მერე და ვინ იფიქრებდა! ისინი ხომ ასე ტკბილად ცხოვრობდნენ...

გარეთ ციოდა. ქარი კვლავ ქროდა. მჩატე ბურუსში გახვეულიყვნენ ლამპიონთა გრძელი ბოძები. სახლებში აქა-იქ თუ კრთოდა შუქი. ქალაქს ეძინა.

როცა სახლს უახლოვდებოდა, ისევ გაიგონა, როგორ ეძახდნენ:

— არჩილ!.. არჩილ!..  
 ფეხს აუჩქარა. ცოტა ხნის შემდეგ  
 იგი მიხას პირისპირ იდგა.  
 — გამარჯობა, — თქვა მიხამ.  
 — რატომ მოხვედი? — თქვა არჩილ-  
 მა.  
 — გამოვიარე.  
 — იქნებ, ახალ თემას ეძებ?  
 — რა სისულელეა. გაზეთი იმ დღეს-  
 ვე ჩამოვხსენით.  
 — მაშ ბოდიშის ნოსახდელად მოხ-  
 ვედი?!  
 — ასეა.  
 — ეგეთი ხუმრობა მე არ მიყვარს.  
 სისხლი გამომწოვით, დამცინეთ, ხელი  
 მკარით და ახლა მიხდით ბოდიშს?!  
 — მე ხომ ჩემით არ მოვსულვარ. ბი-  
 ჰებმა მთხოვეს. ყველა ძალზე შეწუხე-  
 ბულია.  
 — მაშინ რატომ არ შეწუხდით, როცა  
 სიცილით იჭაჭებოდით?!  
 მიხა პალტოს ღილს აწვალებდა. ნათუ-  
 რის შუქზე ჩანდა, როგორ სუნთქავდა,  
 მძიმედ, აჩქარებულად.  
 — ჩვენ შევცდით. იმ დღეს არავინ  
 იცოდა, რომ შენ...  
 — რა მე?  
 — ჩვენ ყველას ისე გვეწყინა!.. მე  
 რომ ასეთი რამ დამმართოდა, წარნოდ-  
 გენაც არ მაქვს, რას ვიზამდი.  
 არჩილს შეაყრყოლა.  
 — ეს ისე მოულოდნელად მოხდა... ან  
 ვის ეგონა...  
 — ჰო.  
 — ახლა რას ფიქრობ?  
 — არ ვიცი. ალბათ, გავვიყდები.  
 — ეს არც თუ დიდი შედევათია. ჩვენ  
 ყველას გვინდა, რომ ქარხანაში დაბ-  
 რუნდე.  
 — ვინ, მე მეუბნები დავბრუნდე? ყო-  
 ველივე ამის შემდეგ? ღირს კი? ვისთ-  
 ვის უნდა ვიშრომო? მითხარი ვისთვის?  
 არაა საკმარისი, ამდენი ნაკვდავი და ნა-  
 ოფლარი წყალში რომ გადამიყარეს?!  
 არაფრად არ ჩამთვალეს?  
 უცებ დადუმდა. წელში აღიმართა. ხე-  
 ლები გაეყინა და რამდენიმეჯერ დაი-  
 ოროტლა.  
 — იცი, მე დღეს შესანიშნავი სიმღე-

რა გავიგონე. „მე მყავდა ჩიტუნა და  
 ჩიტუნა აღარ მყავს“. ხომ კარგია?  
 — მოსაწონს ვერაფერს ვხედავდი.  
 — შენ ასე ფიქრობ?  
 — რა თქმა უნდა. მთავარი გამაგრდე.  
 არჩილმა ჩაახველა.  
 — ჩვენც დავგხმარებთ. ის კი უნდა  
 გვაპატიო.  
 — კარგი, ბატონო, მიპატიებია. ოლ-  
 ონდ ეს მაოცებს, როგორ უნდა დამეხ-  
 მართო?!. თავიდან დამაწყებინებთ  
 ცხოვრებას? ადამიანის ცხოვრება ოჯა-  
 ხია. ხოლო როცა ოჯახი ინგრევა, ცხოვ-  
 რებაც ინგრევა.  
 — მთლად აგრე როდია. ჩვენ ძალზე  
 განვიცდით უშენობას. შენ თვითონაც  
 არ იცი, როგორ გვჭირდები...  
 — ვინა, ამას ჩემზე ამბობ?!  
 მიხამ გაიცინა.  
 ერთხანს იდგნენ ჩუმად. იდგნენ ძა-  
 ლიან ახლო. მიხამ ყელსახვევი გაუსწო-  
 რა და პალტოს საყელი აუწია. ქუჩის  
 ნათურა მკრთალად აფრქვევდა შუქს.  
 დროდადრო ხეთა ტოტებს მოწყდებოდა  
 ფიფქი და თავზე აცვიოდათ. ეს ფიფქე-  
 ბი ძალზე ნელა და მოულოდნელად ეშ-  
 ვებოდნენ სიბნელიდან.  
 ისინი ხედავდნენ თოვლით დაფარულ  
 სახლებს. მერე მეთევზეებმა გაიარეს.  
 მეთევზეებს მალაყელიანი ჩექმები ეც-  
 ვათ და მხრებზე დრაცენით შეკრული  
 ნიჩბები გაედოთ. უკვე გვიანი იყო. მე-  
 თევზეები ნელა მიაბიჯებდნენ.  
 ნედლი თოვლი ხრაშუნობდა, ქარი  
 ხვეტდა ხორხომელას, ატრიალებდა და  
 სადღაც ქუჩის ბოლოს ახუხულავებდა.  
 — წყნარი ღამეა, — თქვა მიხამ.  
 — ჰო, — თქვა არჩილმა, — შენ მარ-  
 თლა ბიჭებმა გამოგზავნეს?  
 — დღეს ბარე ათჯერ მოგაკითხეს.  
 არავინ გამოპასუხებიათ. ალბათ, შინ არ  
 იყავი. იცი, ეს დღეები შენს დაზვავზე  
 არავის უმუშავია. გიცდიან. ჩვენ ხომ  
 ყველაფერი უნებურად მოგვივიდა. ასეთ  
 დღეში არასოდეს მიგატოვებთ. შენ გა-  
 მივებ, მე სხვანაირად ლაპარაკი არ შე-  
 მიძლია.  
 არჩილმა პაპიროსი ამოიღო, მაგრამ  
 ასანთს ვერ მოუკიდა. ქარმა დაუქროლა.

— ჩემი პაპიროსიდან მოუკიდე. დი-  
ლით არც იფიქრო დალევა. მე გამოვივ-  
ლი. ერთად წავიდეთ, კარგი?

— არ ვიცი. — თქვა ჩუმად არჩილ-  
მა. — მე კიდევ უნდა მოვიფიქრო.

მიხამ დაყინებით შეხედა. მან ხელი  
გაუწოდა და წავიდა. ქარი ისევ იკბინე-  
ბოდა. ხეებს ისევ ცვიოდა ფიფქი. მოსა-  
ხვევთან მიხამ ისევ დაიძახა.

— დილით გამოვივლი, გესმის?!

არჩილი მიბრუნდა. ჭიშკარი ღია იყო.  
ეზოს სიღრმეში დაბალი სახლი ჩანდა.

არც ერთ სარკმელში არ ენთო შუქი.  
არც ბუხრიდან ამოდებოდა კვამლი. იქით,  
აივნის რიკულებს შორის, მთვარე დას-  
კუპებულებოდა. მთვარე იყო დიდი, სავსე,  
ლამაზი. არჩილი ერთხანს კიდევ უსმენ-

და მიხას ნაბიჯების ხმას. მერე ერთი-  
აიმართა, ჭიშკარში შეაბიჯა. იგივე ხმას  
აღვამდა ფეხს. რაღაც საოცარ სიცივეს-  
გრძნობდა, მაგრამ ნაინც ატანდა თავს-  
ძალას. რიკულებს შორის დასკუპებული-  
მთვარე კიდევ უფრო იზრდებოდა, კი-  
დეგ უფრო მომხიბვლელად ილიმებოდა.  
უკანასკნელ საფეხურზე არჩილმა გაი-  
ფიქრა: „ახლა, ალბათ, შუალამეა,  
ცეცხლს დავენთებ და დავიძინებ. დი-  
ლით ადრე გამოვივლის მიხამ... კაცმა რომ  
თქვას, არც ისე ცუდი გულისა ჩანს“...  
მოიხედა, ხეთა ვეება ჩრდილები გაწო-  
ლილიყვნენ თოვლზე. შორს კი, მაღალ-  
სახლებს შიღმა, ისევ ენთებოდა და ქრე-  
ბოდა შუქურა. კლიტე მოძებნა. იმ წუთს  
შეეცადა არაფერზე ეფიქრა. ამაოდ.



## მამია პაჩუანიძე

### მწიფობისთვე

მწიფობისთვე... მწიფობისთვე...  
რამდენ რამეს მომაგონებს.  
ვთიბე, ვთიბე, ბევრი ვთიბე,  
ავუჯეცე თმები გორებს.

ოჰ, ეს თავზე რა მაცვივა?!  
ფერთ ნაკადი რა მიყვარდა!  
და ჩემს თმებზეც ერთი ციდა  
თოლიას ფრთა დაუვარდა, —  
ბეორევერ ნუმც მოსულა!

ვის სავსე აქვს წყაროთ სურა,  
მარგალიტებს შიგ, რომ ირევს?!  
ცარიელი ზოგიც სულაც  
წამოვავათ რქებზე ირემს.

მწიფობისთვე... სურნელება...  
მამულ-დედულს როგორ შევენის!  
მარგალიტის წყაროდ დენა...  
მიხვეტავდეს ხელი შენი.

იქ, რომ ყურძნის ცრემლი მოსკდა,  
ბალახნარში ჩავასწარი,

აღბათ, მისი სიტკბო მომკლავს, —  
განა ქვევრში ჩავა წყალი!

ვარდში ეკაოს ვინც გაურევს,  
ვინც გაურევს ღვინოში წყალს,  
მას დავადოთ ლოდი გულზე, —  
ასი ცეცხლის ჰქონდეს გულწვა!

მწიფობისთვე...  
რაც გითესავს,  
მეგობარო, მოდი, მომკე!  
ვლღვები მიწის სიმწიფეში  
და ვაზს ტუჩი ავულოკე.

მწიფობისთვე... მწიფობისთვე...  
სიხარული... ჟრიამული...  
რაც დათესე, მოდი ხვეტე...  
და მეც რთვლობის ჟინი მივლის,

მკათათვე და მწიფობისთვე,  
როგორ შევენის მამულ-დედულს,  
ო, აქ ოდეს მივებარებ,  
მივებარებ ალალ ჩემს გულს.

\* \* \*

მაპურებს და წყაროს მასმევს,  
ბალნარია ნუგბარ-ნუგბარ ხილთა.  
ნუ გამიგებ ასე, —  
მე მამული  
განა ერთი ლუკმისათვის მინდა?!  
მოვკვდები და... ვაი, კუბოს ფიცარს

გამითლიან მამულეთის ხიდან.  
 მოვეკვდები და... მიმიბარებს მიწა, —  
 ო, მამული განა  
 საფლავისთვის მინდა?  
 ო, სიცოცხლე მამულ-დედულია,  
 სიყვარულად გულში აღმბეჭდვია.  
 აი, მთაზე წყარონი რომ დიან,  
 დაეწაფე... და სამარის ჭია  
 შენს გულამდე გზას ადრე ვერ მოლევს.  
 ერთი შეხე ლაყვარლების მორევს,  
 მოციმციმე ვარსკვლავიან ცას და  
 სიკვდილს მოიგონებ?!  
 ნუ უტდი ჩემს ხატი-სიტყვას,  
 მამულეთი შეიგრძენი შენ და...  
 ნუ მაწვალებ, თვითონ მიხვდი, სულო,  
 მე მომეცი შეება!  
 მე მამული მყავს მარადის ფიცად,  
 ფერებს მიძღვნის პოეზიის მინდად...  
 მოვეკვდები და... მიმიბარებს მიწა...  
 ო, მამული განა  
 საფლავისთვის მინდა?!

\* \* \*

ამ ლაყლაყა ვარსკვლავებს  
 განა სხეაგან იჭერენ?!  
 ჩვენმა გმირმა ქალებმა  
 მკერდზე მიმოიჭედეს.  
 მხატვარივით ღამე რომ  
 მიწას შავად გაღებავს,  
 მზეს იჭერენ ტალღებში  
 ღამის გასაჩაღებლად.

ჩემი მიწა რა არი, —  
 მუკა... და ფასუთქმელი,  
 განა იყო სარბევი,  
 მომხდურთ დასათუთქველი?!  
 დიდი რთვლობა მოსვლია,  
 ვაზიც მოუწევია,  
 ჩემს ნატვრის თვალს მამულსა  
 აღარ მოუწყენია.



## ნუკლიონ ჩხაიძე

### ძ მ ე ბ ი

იგი შეუმჩნევლად მოვიდა გადმოსაყარას კალთებზე გამოკიდულ სოფელ ოქროსუბანში. იანვრის მზიანი დღეები იდგა და ხალხი ჩაის პლანტაციებს შესეოდა საბარავად. გახუნებული შალის შარვალი და იდაყვებგამოკერებული ყავისფერი თეთრზოლებიანი პიჯაკი ეცვა. ნალებდაკრებულ ჩექმებს მძიმედ მოაბრახუნებდა და თუნუქით შემოღუბრსმულ ფანერის ჩემოდანს ძლივს მოათრევდა. ჩემოდნის სიმძიმისაგან თავი განზე გადაეხარა. შიგა და შიგ ნაადრევად შევერცხლილი ხუჭუჭი თმა ქლიავისფერ თვალებში ჩამოწოლოდა. ვიწრო პირსახე და სუსტი მკერდი ოფლის მსხვილი წვეთებით დახორკლოდა. ოცდახუთი-ოცდაექვსი წლის თუ იქნებოდა. ნოდარის მეძახიანო, ასე გააცნო თავი კალისტესს.

კალისტე დიდი ხანია ორსართულიანი სახლის აშენებას აპირებდა, ჩემი ვაჟიკელა ჯარიდან რომ ჩამოვა, ახალი სახლი უნდა დავახვედრო და კარგი გოგო მოვგვაროო, ეუბნებოდა მეზობლებს და ხულის გვერდით ფიცარს ფიცარზე ადებდა. როგორც იქნა, ყველა მასალას მოუყარა თავი, მაგრამ ხეირიანი ღურგალი ვერ იშოვა.

გერონტიმ, ღურგლობას რომ იჩემებდა ოქროსუბანში, კაცი მიუგზავნა კალისტესს, მე ავიშენებ სახლს, შენგან დი-

დად დავალებული ვარ, ფასზეც იოლად მოგირიგდებიო, მაგრამ კალისტემ ქვაააგლო და თავი შეუშვირა: სულ უფასოდ რომ ამიშენოს, მაგისთანა ხელჭაკუნას ამ ოქროსავით კარსალა მასალას ვერ გავაფუჭებებო.

მთელი წელი ეძება ღურგალი კალისტემ, მაგრამ თავისი გემოვნების მოხელე ვერ იშოვა. არადა, არმიიდან ვაჟიკას დაბრუნების დროც ახლოვდებოდა. ბოლოს, ნოდარზე ნიასწავლეს, მასზე დაქმებული ღურგალი აღარ შეიძლებაო.

კალისტეს ცოლს ელენეს ნოდარის დანახვისას გულზე შემოეყარა, ეს დალეული რა ღურგალი უნდა იყოს, ჩემი ქმარი ნამდვილად ვილაცამ მოატყუა, იმ ოჯახდამწვარმაო. მაგრამ კალისტემ რომ გადაულაპარაკა, მაგ შეჩვენებულს ისეთი ხელი ჰქონია, იმისთანა სახლი წამოუჭიმავს რაიონის მთავარი ექინისათვის, რომ სარკესავით ანათებსო, ელენესაც სიხარულით გაუფართოვდა თვალები და თავი გამოიღო, როგორც მასპინძელმა.

— უიმე, ღმერთო, მომკალი და ავია! ამ უცხო ადამიანთან არ ვჭამე სირცხვილი!.. აღარაფერი დამირჩა განომცხვარი. კალისტე, შეიქციე ცოტა სტუმარი და ახლავე გავაწყობ სუფრას.

მართლაც, სანამ კალისტე და ნოდარი სამშენებლო მასალებს ამოწმებდნენ, ელენემ გათლილი ქვის ფართო კეცი გა-

დაადგა, კვერცხმოვლუბული, ჭყინტი ყველით გატენილი ხაჭაპური, გრაფინით ვარდისფერი ღვინო გამოიტანა და სუფრა გააწყო.

კოჭლი კალისტე კალისასვით დახტოდა ხიდან ხეზე, ბოყვიდან ბოყვზე, ფიცრიდან ფიცარზე, გრძელ უღუაშებს აცანცარებდა და თან შეუჩერებლივ ქაქანებდა:

— ა, ბიძიკო, ოქროსავით მასალა მაქვს, ათას ხეში განოვარჩიე ეს საძირკვლის და სარტყლის ხეები. ღოჯის ფიცრებიც დაკარსალბებული წაბლის გულია. შენ იცი და შენმა მარჯვენამ, თუ არ მაზარალებ.

ნოდარს ჩაეცინა:

— ზარალის რა მოვახსენო, ჩემო ბიძია, და ამეხნებით კი კარგ სახლს ავიშენებ, ამისათვის ჩამოვედი თქვენთან.

შემდეგ ფასზე ჩამოვარდა სიტყვა. დიდხანს არ უვაჭრიათ, მალე მორიგდნენ და სუფრას მიუხსდნენ. ღურგალმა მხოლოდ ერთი ჭიქა გამოსცალა. ჩვენი საქმის დაწყებას გაუმარჯოს, მშვიდობიანად დაგვემთავრებოდეს და, თქვენ რომ გავგებარდებათ, ისეთი სახლი გამოსულიყოსო, დაილოცა, გადაკრა, ცხელი ხაჭაპურის კიდე დააყოლა და, თუმცა კალისტე ბევრი ეხვეწა, ერთი კიდეც გადაკარიო, ხელი არაფერს აღარ დააკრა. შემდეგ ფანერის ჩემოდანი გახსნა, ხერხები, შალაშინები, ნაჯახები, სატეხები, ქლიბები, სალეხი ქვა, გლუვი, გონიო, თარაზო, ლარი, ფოლადის მეტრიანი, არშინი და ვინ მოთვლის კიდეც რანდენნაირი ხელსაწყო ამოალაგა და საქმეს შეუდგა.

იგი უჩაყუნებდა და უჩაყუნებდა საღამომდე. საძირკველი მარტოხელამ გასკვნა. ორ სიტყვას არ იტყოდა ერთად. იმნაირი ენაძუნწი გამოდგა, თავისი ვინაობა და სადაურობაც კი არ გაუმხელია. კალისტემ ბევრჯერ მოინდომა ხელის წაკრა, იფიქრა, ნარტოხელა კაცი სახლის აშენებაში კი არა, ქამაშიაც ცოდვავა, ნაჯახი მოიმარჯვა და გვერდით ამოაუდგა, მაგრამ ნოდარმა არ დაანება:

— ნუ შეწუხდებით, ბიძაჩემო. ნუ გეწყინებათ და ხის მასალას გამოცდილი

მარჯვენის მოქნეული ნაჯახი შეეწინა. მე თვითონ გავწვდები. თუ რამე გავწვდები, ნე ვიქნები პასუხისმგებელი. არც ისე გამოუცდელი ვარ. ათი წელია ვდურგლობ, ხუთ წელიწადს ხელობას ვსწავლობდი. თქვენ მიყურეთ. თუ მაინც და მაინც გინდათ, რამე საინტერესო ამბავი მომიყევით, გულს გადავაყოლებ.

კალისტემ მაშინვე გაუშვა ხელი ნაჯახს და ამის შემდეგ, ნოდარის გვერდით ჩაცუცქული, ათასნაირ განავონსა და დანახულს, სიცრუეს თუ სიმართლეს აფრქვევდა დილიდან დღამებამდე.

ამინდამაც შეუწყო ხელი. მზიანი დღეები დაიჭირა. ტყუილად კი არ ამბობენ. ამინდი აშენებს და აღამიანი თავს იქებს. ნოდარი უჩაყუნებდა და უჩაყუნებდა შეუსვენებლივ.

ხანდახან ელენე ასძახებდა ღურგალს, რა გეჩქარება, შეილო, დაისვენე, ხვალეც ამ თვისათ, მაგრამ ნოდარი ჯიუტად გაიქნევდა თავს და წყნარად უპასუხებდა: ბიცოლაჩემო, ხვალ ხვალის საქმე მექნება, ღურგალი და დასვენება სად გავგონილაო.

ოქროსუბანში ეზოდან ეზოში, ჭიშკარიდან ჭიშკარში, პირიდან პირში გადადიოდა ახალი ამბავი... კალისტენ ოქროსხელებიანი ღურგალი მოიყვანა და ახალ სახლს აშენებსო. ისეთი თმახუტუქა ბიჭია, რა დედამ შობაო. თურმე უტოლო ყოფილაო, უმატებდნენ გაუთხოვარი გოგონები.

კალისტეს დაწუნებულ გერონტი კი გულზე სკდებოდა. ბრაზი ახრბობდა. ცდილობდა, როგორმე სამაგიერო გადაეხადა კალისტესათვის და საჩხრკედელაოს ეჭებდა.

ღოჯების აყვანა მოთავდა, კალისტემ რომ შვილისაგან წერილი მიიღო, ათ დღეში მელოდეთო. ოჯახში შეიქნა ფაციფუცი. კალისტე მოხელეს შეეხვეწა, ვაჟიკელს ჩამოსვლამდე სახლის მშენებლობა როგორმე დამითავრეთო. ნოდარი რომ ჩაფიქრდა, მასპინძელმა შეაბარა, ვინმეს დაგახმარო. ნოდარმა მოკლედ თქვა, მე თვითონ ჩამოვიყვან დამხმარებს, ხვალ საღამოს აქ ვიქნებიო. პი-

ჯაკიდან ნახერხი ჩამოიფერთხა და წავი-  
და.

იგი მართლა მეორე დღეს დაბრუნდა.  
თან თვალეცქრიალა, მასავით თმახუ-  
ჭუჭუა ჩვიდმეტოდე წლის ბიჭი ჩამოიყ-  
ვანა.

— ეს ჩემი უმცროსი ძმაა — ანგია,  
შარშან დაამთავრა საშუალო. მარჯვეა.  
მე ვასწავლე ნაჯახის ნოქნევა. — ასე გა-  
აცნო ნოდარმა კალისტესს და ელენეს  
თავისი ძმა და მშენებლობა ერთად გა-  
ნაგრძეს.

ანგია ძმასავით ხელმარჯვე გამოდგა.  
დილიდან დაღამებამდე არც მარჯვენას  
შეაჩერებდა და არც შეიმუხლებდა.

— აბა, ანგია, ქილიშებს ყებები დაახე-  
რხე! ანგია, სატენი გამილესე! ანგია, ეს  
ფიცარი შუაზე გადამიხერხე! ანგია, ლა-  
რის ანგია, შიმშა! ანგია, გონიო! ანგია,  
ფანქარი, ანგია აქეთ, ანგია იქით! —  
გაიძახოდა უფროსი ძმა და უმცროსი  
უსიტყვოდ დაფრინავდა.

რასაც ხელს გაკრავდა, გათლიდა და  
გაჩორკნიდა, ან გააშალაშინებდა, პირ-  
დაპირ თარაზოში გამოიყვანდა, ისეთი  
ხელსწორი იყო. მის ნახელავს ადამიანი  
თვალს დიდხანს ვერ მოაშორებდა.

ასე წამოჰიმეს ძმებმა მეორე სართუ-  
ლი. სარტყლები გადაკერეს, მანდალი-  
ონების დვიროები სარტყლებზე გააგ-  
დეს და ამოჭრეს, ქილიშები დააშალაშინ-  
ეს. მათი ნაწილი სარტყლებზე აიტანეს  
და, ის იყო ანმის ფეხი აჰქონდათ, რომ  
ნოდარმა წონასწორობა ვერ შეინარჩუ-  
ნა, სიმძიმემ დაძლია... სცადა თავის შე-  
მაგრება, ქილიშზე ორივე ფეხით შედგა,  
მაგრამ წელსუსტი ქილიში ჩატყდა. ხე-  
ლის ჩასავლებივც ახლომანლო აღარაფე-  
რი დაურჩა და მეორე სართულიდან თა-  
ვდაყირა წამოვიდა. აზრის მოკრება მა-  
ინც მოასწრო, ჰაერში კატასავით მოიქ-  
ნია სხეული და საძირკვლის ხეს ჩაეჭი-  
და, მაგრამ ტანი ვეღარ შეიმაგრა, ხელე-  
ბი აუტყურდა და დაბლა, ერთმანეთზე  
შეხორხლილ ფიცრებში ჩაიხერგა. ნარჯ-  
ვენა გვერდით ფიცარზე ჩამოჰკრა და,  
აღბათ, ნეკნის ძვლები ჩაემსხვრა...

— ვაიმე!.. მოგვეხმარე!... კაცი დაიმ-  
ტვრა!... — შეიცხადა ელენემ.

— არიქა!.. ავსწიოთ ხეები, ადამიანი  
იღუპება!.. — კოკლობით მიიჭრა ფიცარი  
რებთან კალისტე.

სახლის სათავიდან ერთი ნახტო-  
მით ჩამოფრინდა ანგია. შარაზე გამე-  
ლელემაც მოირბინეს, გულწასული  
ნოდარი ხეებიდან ამოათრიეს და საავა-  
დმოფოში გააფრინეს.

ეს მოხდა ხუთშაბათს, შუადღისას.  
შაბათს სახლი უნდა გადაეხურათ, ასე  
დაპირდა კალისტესს ნოდარი. საღამოს  
ვანშიამი უნდა გადაეხადათ ახალ სახლში.

კალისტემ ჯერ კიდევ სამშაბათს და-  
პატიყა სტუმრები: ნათესაები, მოყვრე-  
ბი, მოკეთები, მეზობლები... ორწლია-  
ნი უშობელი წამოაქცია, გოჭები დაკლა,  
ქათმები და ინდაურები იყიდა, ოცფუ-  
თიან ჭურს თავი მოხსნა და სწორედ  
ამ დროს მოხდა ეს ამბავი. დანა პირს  
არ უხსნიდა კალისტესს. ზეგ სტუმრები  
მოვლენ და გადაუხურავი სახლი დახე-  
დებათ. ძველიც დარღვეული დაურჩა.  
სად წაიყვანოს ამდენი ხალხი! ვაი სირ-  
ცხვილო! გადაუხურავ სახლში დაგვა-  
ტიყაო, იტყვიან, ჩაიციანებენ და წაე-  
ლენ. არადა, ის ბიჭიც მისი საზრუნავია.  
მშვიდობით მინც გადარჩებოდეს.

სოფელში ერთ მითქმა-მოთქმა შეიქ-  
ნა. კალისტესს სირცხვილი ჩვენი სირც-  
ხვილიაო, აღაპარაკდა მთელი ოქროს-  
უბანი. ყველამ ხელი გამოიღო დასახმა-  
რებლად, ხელის წამოსაკრავად, მაგრამ  
მათ შორის ერთიც არ იყო ხეირიანი  
დურგალი. რომც ყოფილიყო, მინც გა-  
უძნელდებოდა სხვისი დაწყებული საქ-  
მის დამთავრება. ყოველ დურგალს თა-  
ვისი აზრი და ჭკუა, გემოვნება და გეგმა  
აქვს.

ერთადერთი გერონტი დებდა. დურგ-  
ლობაზე თავს, მაგრამ ნეზობლები ჩუმ-  
ჩუმად დაპარაკობდნენ, ორსართულიან  
სახლს კი არა, საღორეს ვერ მოუყრის  
თავსო. გერონტის არავინ ეპატიებოდა,  
მაგრამ იგი მინც გან-განზე დადიოდა,  
კუდს იქნევდა, კალისტემ თავიდან და-  
მიწუნა და ახლა მის სახლს ხელს აღარ  
მივაკარებო.

მარტოდ დარჩენილი ანგია აქეთ-იქით  
აწყდებოდა, მაგრამ უნოდაროდ ვერა-

ფერს აკეთებდა. ძმის ნახვა ძალიან უნდოდა, მაგრამ ექიმებმა ნება არ დართეს. ანერგულდება და უარესად გახდებაო, დამშვიდებით კი დაამშვიდეს — საშიში არაფერია, ათ დღეში გამოვწერთ საავადმყოფოდანო.

ანგია მინც ვერ დამშვიდდა, მთელი დღე იყურყურტა საავადმყოფოს კარებთან და შუალამისას ძლივს შეადწინა ძმასთან — მორიგე ფერშალმა შეაპარა ჩემად.

სიცხით გათანგული ნოდარი საწოლში ბორგავდა და ჩახლეჩილი ხმით საკუთარ თავს ეჩურჩულებოდა:

— ეჰ, რა დროს ვჰამე სირცხვილი! რა დროს გამიცრუვდა სიტყვა!.. დღეს ხუთშაბათია ხომ? ზეგ სტუმრები მოვლენ და სახლი გადაუხურავი დახედებთ. სირცხვილი!.. ორმოცდაათამდე სახლი ამიშენებია და სიტყვა არასოდეს გამიტეხია... რა ჯანაბამ ვადმომავდო!.. გულმა კი მითხრა, არ ენდო ქილიშს, ჩატყდებაო, მარა... ეეჰ, ამოიხენემა მან და ტუჩზე იკბინა.

— ნოდარ, ნუ ღელავ... დამშვიდდი... დაიძინე... შენ იყავი კარგად და ყველაფერს ეშველება. — ძლივს ამოიღო ხმა ანგიამ.

ავადმყოფი შეჩერდა, არ ელოდა ვინმეს გამოლაპარაკებას, თავი წამოსწია და თვალები უაზროდ გაახილა:

— ჰოო! ვინ არის? რომელი ხარ, რომელი ხარ-მეთქი?

— მე ვარ, ნოდარ, მე, ანგია...

ნოდარმა, როგორც იქნა, იცნო ძმა და წამოიწია:

— ანგია, ბიჭო, შენა ხარ?.. — მისუტებული ხმით წაიჩურჩულა და ბალიშზე უღონოდ მიესვენა.

— ნუ გეშინია, ნოდარ, არაფერი გიჭირს. ათ დღეში გამოვწერთო, ექიმებმა მითხრეს.

— მე, ანგია? ჰმ... მე რა უნდა მიჭირდეს, ბიჭო! მე ძალივით გამძლე ვარ. შენ კი იცი, გაჭირვება ბევრი მინახავს, მარა სირცხვილი არ მიჰამია, სიტყვა არ გამიტეხია. ახლა კი ნამდვილად ვჰამეთ, ანგია ბიჭო, სირცხვილი. სიტყვა შევშალეთ. რას იტყვიან ჩემზე? მოგვატყვი-

ლო, სიტყვის პატრონი არ ყოფილა? კალისტესაც დაადანაშაულებენ. შევე კი მარტო მე ვარ, ბიჭო, ჩემი ფრთხილებლობით მომივიდა ეს. ვიცოდი, ქილიში რომ ვერ გამიძლებდა და მინც შევდექი ზედ... კალისტეს ხარჯიც უნდა ეზარალოს... ყველაფერი გაამზადა კაცმა ვანშმისათვის... მერე სად დააჩენს ხალხს? გადაუხურავ სახლში? ძველი სახლი მინც არ დაგვეშალა. მოვლენ, ადღეგრძელებენ დაუთავრებელ სახლს, გაიცინებენ და წავლენ. მერე მთელ წელიწადს არ გამოვლევათ სალაპარაკო. როგორაა საქმე, თუ იცი, ვერ იშოვა კალისტემ სხვა მოხელე, ხომ?

— ვერა, ვერ იშოვა, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა ანგიამ.

— ეეჰ... — ამოიხენემა ნოდარმა. — გადანსურვა მომესწრო და მერე, თუ გინდა, ორივე გვერდი ჩამმტვრეოდა.

იგი კარგა ხანს ხენეშოდა და ოხრავდა, მერე ძმას მხარზე ჩამოეყრდნო და აკანკალებული ხმით უთხრა:

— მოიწი აქეთ, ბიჭო, ახლოს ჩამოჯექი.

ანგია ძმას სასთუმალთან ჩამოუჯდა.

— რა იყო, ნოდარ? აგერ ვარ, რამე ხომ არ გაწუხებს?

— არა, ბიჭო, მე მარტო სირცხვილი მაწუხებს ახლა. — მერე თვალებში ჩახედა უმცროს ძმას: — შენ რას იზამ, ბიჭო? გული კი გაქვს დიდი, მაგრამ შეძლებ? შეძლებ ჩემი დაწყებული საქმის დამთავრებას? შეძლებ?

— მე? მე რას ვიზამ? — დაიბნა ანგია. — რა ვიცი... ვერ გეტყვი...

— ბიჭო, საშუალო სკოლა დაამთავრე... წერა-კითხვა ხომ იცი. ანგარიშიც არ გეშლება. ნაჯახის მოქნევაც გემარჯვება. დაგაწერიებ რა უნდა გააკეთო... განაგრძობ? რას გაჩუმებულხარ?.. დაამთავრებ სახლს? გადამარჩენ ამ სირცხვილს?.. — ნოდარი ბალიშზე წამოიწია და დასიცხული თვალები უმცროს ძმას მიანათა. — რას გაჩუმებულხარ? გაბედე. მარტო სახურავია მოსაყვანი.

ანგიას სუნთქვა შეეკრა, ძლივს წართქვა:

— ჩამაწვრინებ?.. თუ ჩამაწვრინებ..



რა ვიცი... ვნახოთ... რასაც ჩავეიწერ, იმას გავაკეთებ, მგონია... — და უფრო ბეჯითად დაუმატა: — კი, გავაკეთებ!

ნოდარმა თავისუფლად ამოისუნთქა, კვლავ ბალიშზე მიესვენა და ერთი წუთით თვალები დახუჭა.

— აბა, ყური მიგდე და გარკვევით ჩაიწერე.

ანგიამ უბის წიგნაკი ამოიღო, ავტოკალამი მოიმარჯვა და წერა დაიწყო. ძლივს აღაგებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარნოთქმულ წინადადებებს.

— სარტყლების გადაკერვა დამთავრებულია. ქილიშების ჩასაშვები ამოჭრილია. ხუთი ქილიში ატანილია. დანარჩენები დამზადებული და დანომრილია.

უნდა აიტანო მალლა და თანმიმდევრობით ჩააქედო სარტყლები. მანდალიონების დვიროები ატანილია. მანდალიონების ჩასაშვებიც ამოჭრილია. ოცდაჩვიდმეტი მანდალიონი გამზადებულია. სახლსამ გვერდზე თავისუფლად ეყოფა. ჯერ კუთხის მანდალიონები ჩააწყვე, შემდეგ იმათ ძაფით გაუსწორე დანარჩენიც.

ლურსმნებით არ ჩააქედო, პალოებით გაჭექე, უფრო საიმედო იქნება. მანდალიონებს შორის დაშორება ასათი სანტიმეტრი აიღე. უკანა მხარეს კი მათ ნაკვალად ქილიშები გაუშვი. ისინიც ასათ სანტიმეტრზე დაშორე ერთმანეთს. შემდეგ მანდალიონებს თავებზე ლამფები ააყარი. ლამფები გამზადებულია, გეყოფა, მხოლოდ გლუვის გასმა აკლია... ანძის ფეხი გამოჭრილია... ოოხ... იმან გადმომაგლო ძირში... ტყვიასავით მძიმეა.

ნეღლი წაბლია... შენც არ დაგამარცხოს, ბიჭო ანგია, ფრთხილად აიტანე. ანძის თავის განი ზუსტად ერთი მეტრი უნდა იყოს, არც მეტი არც ნაკლები. სახლის ოთხივე კუთხეს შორის ჯვარედინად გააბი ძაფები. მათი გადაკვეთის ადგილი იქნება სახლის ცენტრი, იქ ანოჭრი ანძის ფეხის ჩასასობს. ფრთხილად ჩასავე და ჭანჭიკებით მაგრად დაამაგრე. იცოდე, ანძის ფეხს აწვევს მთელი სახურავის სიმძინე... ჰო, კიდევ რა?.. ქილიშებზე და მანდალიონებზე ჭანჭიკები არ დაიშურო... შემდეგ კი... — სული ოდნავ დაითქვა ნოდარმა, თვალებზე ჩამოყრილი

ხუჭუჭი თმა მარცხენა ხელით უკან გადაიწია და განაგრძო: — შემდეგ ანძის სახლის კუთხეებამდე გააბი ძაფი. ძაფი გიჩვენებს კუთხის კავების ადგილს. ჯერ კუთხის კავები აიტანე და დაამაგრე, შემდეგ კი გვერდისა და წიწილაკავები. რამდენი მანდალიონია, იმდენი კავია საჭირო. კავებს პირდაპირ მანდალიონებზე დაუმაგრე თავები. ერთმანეთს ძაფით და შიმშით გაუსწორე. კუთხისა და გვერდის კავებს აუცილებლად გამოუყენე საწელები, სახურავი საიმედო იქნება. წიწილაკავებს საწელები არ დასჭირდება. შემდეგ კავებზე კრამიტის ზომაზე გადააქედე ლარტყები და დახურე... კრამიტის ხურვა შარშან გასწავლე... ყველაფერში სისწორე დაიცავი, ყველაფერი გონივით, თარაზით, შიმშით, ლართ და ძაფით გაზომე და შეამოწმე. ერთი სანტიმეტრიც თუ შეგეშალა სადნე, მოგჭამა ჭირი, ნამუშევარი აღარ ივარგებს, გავგვინებენ. კარგი მასალაა და კარგადაც დაიმშვენებს ადამიანის ხელს. ჭანჭიკები სახურავზედაც არ დაგენახოს...

ხმა ჩაუხრინწიანდა, ხველა აუტყდა, პირზე ხელები აიფარა და პირჩაღმა ჩაემხო ბალიშში. სული ოდნავ რომ მოითქვა, ცალი თვალი გაახილა, უმცროსი ძმისათვის აღარ შემოუხედავს, ისე თავჩამხოზილმა ჩაიხურჩულა:

— იცოდე, ფრთხილად. ასეთ საქმეზე ჭკუა უნდა გაამახვილო, შენც არ დამარცხდე, ბიჭო... მეზობლები დაიხმარე ხეების ატანაში. მარტო ვერ შეძლებ... აბა, ხმამალა გადაიკითხე, რაც ჩაიწერე...

უმცროსმა ძმამ ჩანაწერი თავიდან ბოლომდე სიტყვა-სიტყვით გადაიკითხა...

— სწორია. ჩემი გეგმა არ შეცვალო. სხვას არ დაუჯერო. ოხ, რა დროს გამოგეშალა ფეხი... ყველაფერს იღბალი უნდა. ამ სირცხვილს გადამარჩინე, ანგია, და მერე ჩემზე იყოს სამაგიერო... — ძლივს დაამთავრა სიტყვა, ალბათ, გვერდში შეაფრინდა, სიმწრისაგან ბაგე მოიკვნიტა, მაგრამ არ ამოუკვნესია, სახეზე ხელები მიიფარა და ასე გაირინდა.

კარებზე მორიგე ფერშალმა ფრთხილად მიაკაუნა და ანგიას ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— გეყოფა. რაც ხანია მთავარი ექიმი ჩამოივლის და თქვენი გულისთვის საყვედური არ ამცილდება.

გარეთ ზამთრის სუსტი, მაგრამ სუსხიანი ქარი სისინებდა. ცა ვარსკვლავებით მოკენჭილიყო. სრულ მთვარეს თხელი ღრუბლების ბაიისფერი გვირგვინი შემოკერებოდა.

მთვარე რომ ბაკეს გაიკეთებს, აუცილებლად გაავდარდება, გაწვიმდება, ან ძლიერი ქარი ამოვარდებაო, მოაგონდა ძველების ნათქვამი ანგიას და ნაბიჯს აუჩქარა.

იმ ღამეს არ უძინია ანგიას, თეთრად გაათენა. უბის წიგნაკს ჩაკირკიტებდა; თითქმის გაიზებირა უფროსი ძმის ნაკარნახევი.

მეორე დღე პარასკევი იყო. უთენია წამოხტა ანგია. ზენა ქარი ზნიჭავდა თხმელებს. ქარი ჩაუდგა ჩვიდმეტი წლის ბიჭსაც მუხლებში, ცეცხლად იქცა და ფოლადის ნაჯახს ნაპერწკლები დააფრქვევინა. დილაბნელზე დაეცა თავს მიინარე კალისტეს და ლოგინიდან წამოაგდო.

— აბა, კალისტე ბიძია, მომეხმარეთ, ხელი შემიწყვეთ და, ძმა კი დამიმარცხდა, მარა აგერ ვარ მე, არ ვჭამთ სირცხვილს. სახლს ხვალ სალამოს გადახურულს ჩავაბარებ... — ერთ ღამეში საოცრად განოცვლილი რიხიანი ხმით შემოუძახა და მასპინძლის ადგომას არ დალოდებია, სახლის თავზე ავარდა.

— დაიცა, ბიჭო!.. — თავზე ხელი შემოიკრა კალისტემ და ასკინკილით გამოუდგა უკან.

— ნუ გეშინია, კალისტე ბიძია, მე ვარ პასუხისმგებელი. თუ რამეს გავაფუჭებ, ორმაგად გადაგიხდი, ნამდვილ სიტყვას გაძღვევ. ყველაფერი ვიცი, რაც უნდა გავაკეთო. აგერ მიწერია უბის წიგნაკში, ნოდარმა ჩამაწერინა წუხელ. — ჩამოსძახა ანგიამ კალისტეს და გულისჯიბეზე ხელი დაიკრა.

— ჩავაწერია?! შენ მოგანდო სახლის გადახურვა?! კარგი აბა, აგერ ვარ მეც!..

— უეცრად დაემორჩილა ამ პატარა ბიჭს კალისტე. თანაც უნდოდა გვერდით თვალის დასავეხებად რამენაირად ხვალ სალამოსათვის სახლი გადახურული ჰქონოდა და უფრო ამან მოტეხა.

— მომეხმარეთ, კალისტე ბიძია, და ხვალ სალამოს ამ სახლში ვიქვიფებთ. — გაიძახოდა ანგია და სარტყელიდან სარტყელზე თრითინასავით დახტოდა.

საქმის ასე შეტრიალებით გახარებული კალისტე აქეთ-იქით დაცანცალეზდა და ყველას თხოვდა:

— აბა, მოვეხმაროთ ამ ბალანას, მეზობლებო, მტრის ჯინაზე ნუ ვჭამთ სირცხვილს! აბა, თქვენ იცით!

მთელი სოფელი ამოუდგა მხარში კალისტეს და ახალგაზრდა რსტატს. ხელიდან ხელში გადადიოდა და სახურავზე წამოსკუპებულ ანგიასაკენ მიცურავდა მანდალიონები, კავები, ქილიშები, ლარტყები, ლურსმანი, კრამიტი...

ანგიას წკრიალა ხმით გაცემული განკარგულებები უნაკლოდ და დაუყოვნებლივ სრულდებოდა.

სოფელი ჭრელია. ოქროსუბანში კალისტეს ახალ სახლსა და ნოდარის მოულოდნელ მარცხზე ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. განსაკუთრებით გერონტის წაგვრძელებინა ენა. კალისტემ რომ დაიწუნა, ბრაზით იყო გულზე გახეთქილი და იმიტომ.

— ქვეყნის უკეთესი მოხელე უნდოდა და ე, ხომ წვივდა მისი საქმე უკუღმა. კაცი საყენზე რომ გაიწევა წელში და მარჩიელობას დეიწყებს, ასე დაემართება. იგი უტეხო კაცი, არა უშავს მოხელე ყოფილა, მარა ღვინო ყვარებია, გამომთვრალა და ისე ასულა სახლზე. დამტვრეოდა, აბა რას იზამდა! თურმე კალისტემ დააძალა ღვინო, კალისტეს ბრალი ყოფილა ნისი დამტვრევა. — ენამყრლობდა იგი შარაშარა.

მისი მონაჭორი კალისტეს ორმაგად მიუტანეს და ერთი სული ჰქონდა გერონტიასთან შეხვედრამდე. გული თუ არ შევარკვე ნავ ენამხარზეგადმოგდებულს, რა მომასვენებსო.

პარასკევს დილით კალისტეს შუკავიც ჩამოიარა გერონტიმ. გახურებული მუ-

შობა რომ დაინახა და ანგიას ხმას ყუ-  
რი მოკრა, გაუეკირდა, ეს პირზე რძეშე-  
უშრობელი ბაღანა საიდან სად გამონახე-  
სო. ჭიშკართან შეჩერდა, კეპკიანი თა-  
ვი ეზოში გადმოყო და დაიძახა:

— კალისტე ბატონო, ყველას უყეთეს  
მოხელეს უნდა ავაშენებო სახლიო და  
ამ ბაღანაზე დადგა შენი საქმე? მაგარი  
გაგიბედა, მე ნუ მოგიკვდები. ანძის ფე-  
ხი რომ დაბლა მოსვლია, ვერ ხედავს  
ხომ? სახურავი უფრო ჩხოტიო უნდა  
მოგეყვანათ, თოვლი ჩანოხეთქავს...

საიდანღაც კალისტე გამოცანცალდა  
და ჩხმანხივით შეიმართა:

— რაო, გერონტია, ბაღანაო? შენის-  
თანას ხუთს კი ჯობია და ბაღანა უძა-  
ხე შენ. შენ ხარ მოხელე აბა? კი მითხ-  
რეს შენი ამბავი, აშენებული სახლი  
რომ წაგქცევია მეორე დღეს ბახმარო-  
ში. გამონათხარ მიწაზე რომ დაგიდგანს.  
ფეხად გაუსწრიათ დამსვენებლებს გა-  
რეთ. ამის მერე შენ ავაშენებებდი  
სახლს? შევარცხვინე იგი კაცი, ვინც შენ  
განდობს სახლის აშენებას. აგი ანძის  
ფეხი დავასვი მაგ შხამიან გულზე, რას  
ასიქსიქებ მაგ მოწამულ ენას შარა-  
შარა, კალისტეას მოხელე დაუთვრია და  
ისე აუშვია სახლზე, იმის ბრაღია ნისი  
დამტვრევიაო. ისე დაგემტვრა შენ ძვლე-  
ბი, რამდენიც იმას ერთი ჭიქა ღვინის  
მეტე არ დაელიოს მაშინ. არ დაგინახო  
ეზოში ჩამოსული, თუ არა ამ სარით გა-  
გოროფავ მაგ გახრეკილ თავს! — სულ-  
მოუთქმელად მიაყარა კალისტენ და გა-  
უჩინარდა.

გერონტის ენაშფარობა ანგიასაც არ  
მოეწონა, მაგრამ მამის ტოლ ადამიანს,  
ისიც უცნობს, აღარაფერი აკადრა.

— გერონტია, ხელს ნუ გვიშლი, ნუ  
გვაცდენ. თუ ნამეტარი გეხარბება ჩვენ-  
თან მუშაობა, მოდი და გვერდში ამოგ-  
ვიდექი, თუ არა, გაყევი შენს გზაზე. —  
გასძახა ბრიგადირმა ისიდორემ.

— მაგის გაკეთებულსაც და მაგის ვა-  
ყაკობასაც რა ვუთხარი მე! დედაკაცი-  
ვით ჭორიკანობს ღობე-ღობე. არ დავი-  
ნახო ეზოში ჩამოსული, თვარა, რომ  
ვთქვი, დაჩეხე-მეთქი, ნამდვილად დავ-  
ჩეხი!.. — იყვირა საიდანღაც კალისტემ.

გერონტი კილევ დიდხანს იდგა ჭიშკარ-  
თან, მაგრამ ხმა რომ აღარავინ გასცა,  
რომ აღარავინ დაეკიდა კალთაზე, ჩქარა  
დი, შენი ჭირიმე, ხელი წამოგვიკარო,  
მიბრუნდა და შუკას ბანცალოთ ჩაყვა  
თავქვე.

მეზობელ სოფლებშიც გავარდა ხმა,  
ჩვიდმეტი წლის ბაღანა ხურავს კალის-  
ტეს სახლსო, და გამორბოდნენ ამ სას-  
წაულის სანახავად. ვანსაკუთრებით ქა-  
ლებმა და გაუთხოვარმა გოგოებმა აუ-  
ტლახეს ეზო კალისტეს. ჯერ ნმუნებ-  
ლებს ასძახებდნენ, თქვენი კაი გამარ-  
ჯობაო, მერე ყველა მხრიდან მალულად  
უქვრეტდნენ ანგიას. გულს რომ იჯრე-  
ბდნენ, ელენესთან შედიოდნენ სამზა-  
დში, შუაღვეცხლს მიუჯდებოდნენ; დი-  
ასახლის ხელს წაუკრავდნენ, აჩუხჩუ-  
ხებულ ქვაბებს და გადანდარებულ ქვის  
კეცებს ცეცხლს შეუუკეთებდნენ, გობზე  
თხელ ხაჭაპურებს გამოიყვანდნენ და  
გრძელ ენას გამოაფენდნენ.

— დედა, ღმერთო, რა ბაღანა ყო-  
ფილა აგი! რკინის ნატეხია ნამდვილად,  
კაჟი, ამ ყიამეთ ამინდში რომ არ იყინება  
სახლის თავზე! პატრონი არ ყავს, ნეტა?  
ერთი კი დიმიტვრა და ამასაც არ დაემარ-  
ტოს რამე. — წამოიჩიფჩიფა მოხუცმა  
ნატალიამ, მარჯვენა ხელით სახაჭაპურე  
ყველს რომ ფშვნიდა, მარცხენათი კი  
დრო და დრო თვალებს იჩრილავდა და  
ისე გაყურებდა სახლის სათავეზე ქან-  
დაკებასავით გადმომდგარ ანგიას.

— ჩემი რომ იყოს, კერეას ძირში მე-  
იტეხდა ფეხს. აგი კი ამ ქარიშხალში ჩი-  
ტივით დაფრინავს კვიდან კავზე, —  
დაუმატა ასინეთმა და ცეცხლის დაგრაგ-  
ნილ ალზე ათკილოგრამიანი ინდაური  
გაატარა გასარუჯავად.

— თურმე მაგის ძმაი მაგრად ყოფი-  
ლა დამტვრეული და არ ეუბნებია. ნე-  
კნის ძვლები უნდა ამოუჭრანო, — ცხლად  
ნოჭორა მამომ და აჩახჩახებულ სპილენ-  
ძის ქვაბში წყალი ჩაუმატა.

— არ დაიჯეროთ, ქალებო! მოტეხილს  
ახლა სულ ადვილად არჩენენ, იმნაირი  
წამლებია გამოგონილი. ათ დღეში გა-  
მოეწერთო, ექიმებს უთქვამთ, — პირში

შეახტა მამოს ელენე და ფქვილიანი ხე-  
ლები ცხელ წყალში ამოიბანა.

— მაგ შეჩვენებული პატარა უფრო-  
სი რომ იყოს, ერთი-ორი წლით მაინც,  
აგერ ჩემს მერიკელს გავურჩევდი. აც-  
ხოვრებდა ღმერთივით. დალოცვილი ხე-  
ლობა ცოდნია! — ვითომც თავისთვის  
ჩაილაპარაკა გოგოლამ და ცალი თვა-  
ლით კარებთან სანფეხა სკამზე ჩამოძ-  
დარ მერიკელს გადახედა.

ქალების კისკისმა სამზადიდან სახუ-  
რაზე ააღწია და ერთი წამით ქარის  
ზუზუნიც დაფარა. სიცივე ძვალ-რბილ-  
ში ატანდა, მაგრამ ადამიანები ამინდს  
არ ებუებოდნენ. ნაჯახებს ჭკა-ჭუქი გა-  
ჰქონდათ, ჩაქუჩები ტაკუნობდნენ, ხერ-  
ხები ხიხინებდნენ და ხელეჩოები ნაფო-  
ტებს ჩორკნიდნენ.

— კაცო, ერთი დაგვემტვრა და მეო-  
რეს ნულარ დავლუპავთ, დავანებოთ თა-  
ვი მუშაობას, გავვიცივდება აგი სალი  
ბაღანა და თავი საბოლოოდ მოგვეჭრება  
მაგათ პატრონთან. ჩვენც ვავიყინებით.  
უსასველო ხომ არაა, ჩემსას გავაწყობ,  
ბატონო, ხვალ სუფრა და ის იქნება. ჩე-  
მი ოდის დარბაზში თოხარკი ცხენი გა-  
ჰქნდება, — კალისტეს გასაგონად ბუ-  
რღუნებდა ზაქარია, გერონტის ძმის-  
შვილი.

— თუ კაცი ხარ, ზაქარია, ჭკუას ნუ  
გვასწავლი. თუ პატივს გცემ და გვეხ-  
მარები, ნოგვეხმარე, თუ არა, მიბრძან-  
დი ბიძაშენთან. უთქვენოდაც გადავხუ-  
რავთ ამ სახლს. — ხმას აუწია გერონ-  
ტიზე გულმოსულმა კალისტემ.

— აბა, კალისტე ბიძია, ჩხუბს თავი  
დავანებოთ. ხელი გვეშლება, ვერ მოვას-  
წრებთ სახლის გადახურვას და სირცხ-  
ვილს ვჭამთ. ჩხუბი შემდეგისათვის გა-  
დადევით. ახლა მომეციოთ კუთხის კავი  
უკანა მხარეზე! — დროზე გასცა გან-  
კარგულება ანგიამ და ზაქარიასაც მწარე  
სიტყვა ენის წვერზე შერჩა.

— სირცხვილის ჭამას, ჩემო ბიძია,

ერთი ცხელი ხაჭაპურის ჭამა ჯობია ახ-  
ლა, — ვითომ იოხუნჯა ისიდორემ

— ხაჭაპური არა და სანთლის ბრწყინ-  
კი მოგვანათლავდა, შეგვახურებდა პატა-  
რას, — მიეშველა იპოლიტე და კუთხის  
კავს სარტყელზე დაუწყო დაჭედება.

— ხაჭაპური და არაყი ხვალ საღამოს  
მეიკითხეთ. ახლა რომ ისიდორეს სან-  
თლის არაყი მოუტანო, ფუტკარივით  
ჩაიხრჩობა შიგ და ზენა ქარი ჩიტვიით  
წააფრიალებს, — ჩამოართვა სიტყვა  
იპოლიტეს იაკობმა და წიწილაკავი დაი-  
თრია.

— აგი ბაღანა არ დაგვანებებს თუ  
არა, არაყს კი არ დაგამადლიდით, — ხმა-  
დაბლა ჩაილაპარაკა კალისტემ.

— არა, ბიძაჩემო, არაყი თავისუფალ  
დროს. ჯერ ეს საქმე მოვათაოთ და მე-  
რე. — მოუხვია თავი არაყზე ლაპარაკს  
ანგიამ და მეორე კუთხის კავს ჩაეჭიდა.

საღამოსათვის სახლი კავმოცმული  
იყო. სახვლიოდ მხოლოდ დაღარტყვა  
და კრამიტით გადახურვა შემოიტოვებს.

შაბათს დილით ზენა ქარი ქვენამ შე-  
სცვალა და ბანჯგვლიანი, სათოვარი  
ღრუბლები ამოყარა შავი ზღვის მხრი-  
დან. მშრალად დაიწყო თოვა. ჯერ  
ფრთხილად, შეპარვით, აქა-იქ წამოფუნ-  
თხლა. შემდეგ კი მოუქნია სქელი ფიფ-  
ქები, კორიანტელად დახვია და ჰაერში  
თეთრი პეპლების ბუღი დააყენა.

სახურაზე იერიში კუთხეებიდან მიი-  
ტანეს, ოთხი მაღალი კიბე მიადგეს და  
ოთხივე მხრიდან დაიწყეს დახურვა. ერ-  
თნი ლარტყავდნენ, სხვებს კრამიტი აჰ-  
ქონდათ და თანმიმდევრულად აწყობდ-  
ნენ. სახლის ცენტრში, ანძის თავთან  
ანგია ტრიალებდა და გრძელი შიმშით  
ოთხივე მხარეს ამოწმებდა სახურავის  
სისწორეს. ვეება ტყავისყურებიანი ქუ-  
დი თვალებამდე ჩამოფხატოდა. კალის-  
ტეს ძველ დაბამულ ქურთუკში, რომე-  
ლიც მუხლებამდე წვდებოდა, თავიდან  
ფეხებამდე თოვლის პაპასავით შეფიფ-



ქულიყო. ახალ სახურავს მოქნეული ქვე-  
ნა ქარი თვალის დახამხამებაში ახვევდა  
თეთრ საბანში. იძულებული გახდნენ ნი-  
ჩბები მოემარჯვებინათ და კავები ამო-  
ეთელათ. რამდენიმე მარჯვე ბიჭი თოვ-  
ლისაგან კავებს ათავისუფლებდა, დანა-  
რჩენები კი სწრაფად ლარტყავდნენ და  
კრამიტით ხურავდნენ გასუფთავებულ  
ადგილს.

მიუხედავად ანგიას სასტიკი წინააღმ-  
დეგობისა, კალისტემ მაინც ამოიტანა  
სახურავზე სანთლის არაყი, თხილი და  
ხაჭაპური. ვისაც ძალიან შესცივდებოდა,  
თითო სასმისს გადაკრავდა და მუშაო-  
ბას უბრუნდებოდა.

ისიდორემ ორჯერ გადაკრა არაყი და  
უკვე აკრინანქულდა.

— კრიმანჭული საღამოს, ისიდორე,  
ახლა საქმე გავაკეთოთ, — მიაძახა იაკო-  
ბმა.

— მაინც რა გაკრიმანჭულებს, ბიჭო,  
გუშინწინ კაცი დაგვემტვრა. ამ ბავშვის  
მაინც მოგერიდოს, — ჩაულაპარაკა იპო-  
ლიტემ.

— იკრიმანჭულე, ბიძაჩემო, იკრიმან-  
ჭულე, ჩემს ძმას ნუ დარდობთ! დღეს  
სიცხე დავარდნია. ყთ დღეში საავადმყო-  
ფოდან გამოვარო, მითხრეს. იკრიმანჭულ-  
ეთ, მარა არაყს ნუ მიეძალეებით, არ  
დამარცხდეთ, ან კრამიტი არ დაამტვრი-  
ოთ. ხელებიც არ შეაჩეროთ, თუ არა და-  
გვალამდა. — შენოუძახა მათ ანგიამ.  
ისიდორემ კრიმანჭული უფრო გადაგრი-  
ხა. იაკობმა შემოუძახა და სახურავზე  
ისეთი „დელი-დელა“ დაირწა, რომ სამ-  
ზარეულოში ქალებმა საქმეს თავი მია-  
ნებეს და ჭუჭრუტანებიდან დაიწყეს  
ცქერა.

ზაქარიამაც, რომელიც გუშინს აქეთ  
კალისტეზე გამწყრალი იყო, პირი დაა-  
ლო და ბანი გოდრით დადგა.

სიმღერის ხმა ქვენა ქარს აღმა მიქონ-  
და, სადაც ამ დროს ტალახში ამოთათხ-  
ნილი, გამომთვრალი გერონტი ძლივს  
მობარბაცებდა და გულზე მუშტს იბრა-  
ვუნებდა:

— მასე ხომ? მასე, არა? ხომ კი...  
კალისტია დაფეხვილო, დამიწუნე ნომ-  
ვენახოთ, აბა! კილო დაგვირდება შენ გე-  
რონტია დონდოლაძე! იცოდე, არ მო-  
ვმკვდარვარ ჯერ!

სახლის გადახურვა აღრიანად მოათა-  
ვეს, შიგ ელექტრონიც გაიყვანეს და  
ორმხრივ მაგიდები გაშალეს.

გარეთ ცივი ქარი ისევ ზუზუნებდა და  
კრამიტზე ხოშაკალს აყრიდა. ახალ სა-  
ხლში კი, შუა ადგილას, თუჯის ღუმელი  
ვარვარებდა და რცხილის შეშას ტაკუ-  
ნი დაჰქონდა.

თამადად ისიდორე დააყენეს.

ისიდორემ სითბოსაგან დარბილებუ-  
ლი ულვაშები ყურებანდე გადაიწყო.  
დაგრეხილი ყანწი ასწია და პირველი სა-  
სმისით კალისტეს ახალი ორსართულია-  
ნი სახლის მშენებელთა მარჯვენა ადლე-  
გრძელა. რა სიტყვები არ გამონახა ნო-  
დარის და ანგიას შესამკობად!

სუფრის ბოლოში მორცხვად თავდახ-  
რილი იდგა ჩვიდმეტი წლის ახალბედა  
ოსტატი. მის სახეზე სიხარულს ფართოდ  
გაეშალა ფრთები. მხოლოდ ერთი რამ  
აწუხებდა ანგიას, რომ ნოდარიც არ იდ-  
გა ახლა მის გვერდით.

პირველი ყანწი ხელიდან ხელში გადა-  
დიოდა. სუფრა ნაირნაირი კერძით იტ-  
ვირთებოდა. კალისტემ ნახევარლიტრია-  
ნი წყვილი ყანწი ორივე ხელით დაით-  
რია, ცოლიკაურით პირამდე აავსო, ან-  
გიასთან გაჩნდა, ერთი მას მიაჩეჩა, მეო-  
რე კი თვითონ ასწია.

— იმარჯვე, ბიჭო, მეც მასახელე და  
შენც ისახელე თავი. მართალი გითხრა,  
ამდენს არ ველოდი შენგან; სირცხვილს  
გადავრჩი; ასე გამარჯვებული გეაროს  
ყოველთვის ცხოვრებაში! — თქვა ხმა-  
მალლა და ყანწიანი მკლავი ვახტანგუ-  
რად ანგიას მკლავში გაუყარა.

„მასპინძელსა მხიარულსა“ წამოიწყო  
ისიდორემ, სხვებიც მიეშველნენ და ომა-  
ხიანი სიმღერით ახალი სახლის კედლე-  
ბი შეაზანზარეს.



გარეთ ისევ ბრაზიანად ზუზუნებდა დასავლეთის ქარი. კრამიტზე ტკარცალებდა ხოშკაკალი. რიყიან ჭალაში ზათქით მიღრიალებდა ბახვისწყალი.

კალისტეს ახალ სახლში კი სითბო და მხიარულება იყო, ერთმანეთს ცვლიდა სადღეგრძელოები, სიმღერა, ცეკვა და თამაში. სუფრა არავის მიუტოვებია, მაგრამ ვერავინ ამჩნევდა, რომ არსად ჩანდა ახალგაზრდა ოსტატი.

ანგია ამ დროს ჩანამქრულ შარაზე მიამბიჯებდა. მუხლს ზევით არტყამდა გაუტეხავი თოვლი. სუსხიანი ქარი ხოშკა-

კალს საფანტივით აყრიდა. სოფლისკვეთ ნტრში ლანდად მოჩანდა მკრთალად გაწათებული საავადმყოფოს გრძელი შენობა.

ანგიას ცალ ხელში ბოთლი ღვინო ეკავა, მეორეში ნახევარი ხაჭაპური და გოჭის ნაჭერი. იგი უფროსი ძმისკენ მიიჩქაროდა. დაბამბული ქურთუკი ვახსნოდა, ნაგრამ სიცივეს ვერ გრძნობდა. უკნიდან გარკვევით ისმოდა სიმღერა და მხიარული შეძახილები. ანგიას ყველაზე უფრო ის უხაროდა, რომ ეს ხმები იქ ნოდარისაც ესმოდა.





## ჩვენს პათიდავსა

\* \* \*

დგეხარ ცხოვრების ძალუმ ღელვაში  
და მე მადონებს მზერა დამწველი,  
შენ შებნული ხარ ცალუღელაში  
და არაფერს გყავს უღლის გამწვევი.  
შენ ახლა გინდა ცალი და ტოლი,  
შენ ახლა გინდა სიმშვიდე სულის,  
რომ ვინმეს თრთოლვა, რომ ვინმეს

ლტოლვა

შეეპასუხოს შენს ნება-სურვილს.  
თორემ ამოო ფიქრები დავღლის,  
მოგაგონდება ბედი ჩარჩების,  
თუ ერთხელ მაინც წაგექცა დახლი,  
შემდეგ ყელამდე ვალში ჩარჩები,  
თუ არ ეცადე ძიება ახლის,  
საკუთარ გულში ჩაიხარშები.  
და სანამ არის კაცი ცოცხალი,  
უნდა ეძებდეს გული საზრუნავს,  
გული ალალი, გრძნობა ცინცხალი  
მთელი სიცოცხლის კმარა საგზურად.  
შენ ახლა დგეხარ ძალუმ ღელვაში  
და გამკლავებენ შენი ღაწვები,  
შენ შებნული ხარ ცალუღელაში  
და შენ გჭირდება უღლის გამწვევი.

## ღია სარკმელი

ღია სარკმელი,  
სარკმელზე ფარდა,  
რაფაზე ყვავილი,  
ნიაფი მარდად  
აივლის, ჩაივლის,

შეარხევს ფარდას  
და ფარდის გარდა  
ირხევა ყვავილიც.  
მზე სულში იღვრება,  
იღვრება უხვად,

ყრველდღე სარკმელი  
ისევ იღება  
და ყვავილები  
თბებიან მზეზე  
და სიცოცხლეზე  
მღერიან უხმოდ.  
და აივანზე  
ჭიკჭიკებს ნერცხალი,  
ხმადანავერცხლავი,  
დაბლა კი აკვანში  
ბავშვი ტიტინებს,  
ბედნიერი დედა  
შეხარის პირმშოს  
და თავთან ულაგებს  
ლამაზ ტიკინებს.  
ოჯახს სიყვარული  
გაათბობს უფრო,

ვიდრე ყვავილები,  
ვიდრე მზე და ცეცხლი,  
ოჯახს გაახარებს,  
გამდიდრებს უფრო  
ტიტინი ბავშვის და  
ჭიკჭიკი მერცხლის.  
ეს ხმები ხალასი  
ააღწევს ცამდე,  
ცა კი სუფთა არის,  
სუფთა, როგორც სარკე,  
ოჯახი სავსე არის  
სიცოცხლის ხალისით  
და, ალბათ, ველარ იტევს  
სიხარულს ამდენს  
და, ალბათ, ამიტომ  
აღებენ სარკმელს.



## მორია მორეხაძე

### მათ ერთმანეთი უყვართ

რევაზი ხის ქვეშ იდგა და გარშემო იელისა და შქერის ბუჩქები ერტყა. ფოთლის გაფაჩუნებაზეც თვალები შიშით უფართოვდებოდა. საშიშროებას ყოველი მხრიდან ელოდა. იქიდან სოფელი არც ისე შორს იყო. წინა შქერის ბუჩქს რომ გადასწევდა, ფერდობზე კიდევაც მოჩანდა კრამიტით დახურული ოდა-სახლები.

ფეხის ხმა მოესმა და ხის ტანს ზურვით გაეკრა, მაგრამ იმავე წანს გადასწია ბუჩქები და ბილიკზე გადახტა. ლოყებ-აწითლებული, სუნთქვაშეკრული, ჭრე-ლსაფრიალი ქალიშვილი შიშით აცეცებდა თვალებს. დაინახა თუ არა ვაჟი, სახეზე ღიმილი გაეფინა. ერთ წუთს ისინი დუმდნენ — რაღაც დიდ მოლოდინში, შიშსა და სიჩუმეში დუმდნენ. ყველაფერი წინასწარ მოიფიქრეს, მაგრამ არ იცოდნენ რა ექნათ. ვაჟმა ბილიკს გადახედა, მაგრამ გზაზე არავინ ჩანდა და კვლავ ენადაბმულ ქალიშვილს მიაკე-რდა. რაკი ხნას არ იღებდა, ცდილობდა მის თვალებში ჩაეხედა, იქ დაენახა მისი ფიქრები, გულის პასუხი, მაგრამ ქალიშვილს თავი დაეხარა და ვაჟი მხოლოდ მის პაწია შუბლსა და შუაზე გაყოფილ თმას ხედავდა, რომელზეც წიფლის ხმე-ლი წიწვები დასცვენოდა ბილიკის ამოვლისას.

— მოხვედი? — მიამიტურად კითხა რევაზმა.

— ჰო!  
ვაჟმა აქეთ-იქით გაიხედა, მხერა გაიმასვილა.

— წავიდეთ! — უთხრა მან ქალიშვილს და ხელი ჩასჭიდა.

ქალიშვილი შეცბა, უკან დაიხია. რევაზს თვალებში შიში გამოეხატა. მოეჩვენა, თითქოს საყვარელ ადამიანს ართმევდნენ და ინსტინქტურად ხელი უფრო მაგრად მოუჭირა. ქალიშვილის ძვლებმა ქახანი მოადინა, მაგრამ ეს საამო ტკივილად დაუარა სხეულში და არ განძრეულა.

— ნულარ ვაყოვნებთ, ნზია, წავიდეთ!  
— უკვე გადაჭრით უთხრა ვაჟმა.

ქალიშვილმა განზე გაიხედა.

— იქით უნდა წავიდეთ? — კითხა რევაზმა.

— არა, — და მზიამ ხელი ხევისაკენ გაიშვირა.

ვაჟი ბილიკიდან გადავიდა და ქალიშვილი გაიყოლა. ფერდობზე დაეშენენ. ბუჩქები ხშირი და გაუვალი იყო. რამდენ ბუჩქს გაივლიდა, ვაჟი შეჩერდებოდა, წინ გაიხედავდა და გზას განაგრძობდნენ. უცბად იგი ქალიშვილმა შეაჩერა. ხმა არ ამოუღია, ისე ხელი განზე გაიშვირა და, თითქოს ვაჟს უბრაზდებო, ტუჩები მოკუმბა.

— იქით? — კითხა ვაჟმა.

— ჰო!

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ რევას ხელს ატარებდა. მზიამ შეაჩერა. ჯერ ხეში გადაიხედა, მერე თვითონ წავიდა წინ და ვაჟს ხელი გაუწოდა. ახლა ქალიშვილი მიდიოდა წინ და ვაჟი ფეხდაფეხ მისდევდა. ძლიერ ფრთხილობდნენ, მაგრამ ბუჩქებს ლაწანი მაინც გაჰქონდათ. ზოგჯერ ტოტები ტყდებოდა და ძირს ცვიოდა. ხმაურზე უეცრივ შეჩერდებოდნენ და მიმოიხედავდნენ.

მდინარის ნაპირას შეისვენეს. ახლოს უკვე საურმე გზა გადიოდა და ვინმეს რომ არ შეენიშნათ, ბუჩქებში ჩამალნენ. მზია წიფლის ძირზე ჩამოჯდა და მუხლისთავეებზე მკლავები შემოიხვია. მას თეთრი ფეხსაცმლები ეცვა, ალაგ-ალაგ გაშავებული. თმა სახელდახელოდ გადაეგარცხნა. კეფაზე ბაფთა წაეკონა და ისე ჰქონდა აძიძენილი, ახალგაზრდობის გეგონებოდათ. პატარა, სუსტი ტანის იყო, თეთრფეროვანი.

— აქ ხომ ვერ მოგვაგნებენ? — კითხა რევასმა.

ქალიშვილმა მხრები აიჩეჩა, არ ვიცო.

— თუ ვინმე აგვედევნა, გზას გაყვებოდა, — დასძინა ვაჟმა. — იციან შენი წამოსვლა?

— არა, მაგრამ ექვი ჰქონდათ. იციან, შენ რომ ამოდი. მამაჩენი გარეთ არ მაქაჟანებდა.

— დედა, დედა რას ამბობს?

— ისიც წინააღმდეგია, არ უნდა მისგან შორს ვცხოვრობდე.

ვაჟმა წყენით, მაგრამ ღიმილით კითხა:

— მიწუნებენ?!

ქალიშვილმა ისევ აიჩეჩა მხრები — არ ვიცო.

— მამა რატომაა ასე წინააღმდეგი?

— აბა, ეს როგორ ეთქვა მზიას? აგერ ერთი წელია მშობლები შემოსოფლელ ბიჭს ურიგებენ. ვაჟი ცუდი არაა, მაგრამ ერთმანეთი არასოდეს უნახავთ. მზიამ მხოლოდ ერთხელ შორიდან ნოკრა მას თვალი. ეს იყო და ეს. ქალიშვილმა რევასს გადახედა. მართლაც, რომ ყველაფერი ბედია. ერთმანეთი ამ თვენახევ-

რის თუ ორი თვის წინათ ნახეს წავიდა? ლემაში. მას მოჰყვა ღიმილი. შეხვედნენ პირველი წერილი და... შემდეგ ვაჟი ფერი ისე მოეწყო, თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო.

— არაფერია, გავა დრო და შეგვირიგდებიან. — თქვა ვაჟმა, რაკი ქალიშვილმა პასუხი არ გასცა.

— არა მგონია. მამაჩემი ჯიუტი კაცია. ნათქვამ სიტყვას არ გადათქვამს!

— გეშინია?

— მე?

— ჰო!

მზიამ ვაჟს ნდობით შეხედა და თავი დახარა.

ვაჟი ადგა.

— წავიდეთ, გვაგვიანდება.

საურმე გზა გადაჭრეს და ხეის დაჰყვნენ. აქ უკვე ბნელოდა. რევასი ქალიშვილს ფეხდაფეხ მისდევდა. მდინარეზე ჩაედინენ. მზია ქვაზე შეხტა და ვაჟს მოუხედა. ისკუპა. მეორე ქვა უფრო ბრტყელი იყო და გარშემო წყალი ჩხრიპით უფლიდა. მზიამ ისევ მოუხედა ვაჟს და მეორედ ისკუპა. როცა ვაღმა გავიდა, წაიფორხილა, რამდენიმე ნაბიჯი ასკინკილით გაიარა და ბუჩქის ძირას ჩაჯდა. ცალ ფეხსაცმელზე ქუსლი მოტეხოდა. რევასმა მდინარიდან ქვა ამოიტანა, ძველი ლურსნანი გამართა და ფეხსაცმლის ქუსლი დაჰყვა, მაგრამ ათიოდე ნაბიჯის შემდეგ ქუსლი ისევ წატყდა. მზიამ ორივე ფეხსაცმელი წაიძრო და ილიაში ამოიღო.

— მომეცი, მე წამოვიღებ! — უთხრა რევასმა.

ქალიშვილმა ფეხსაცმლები გაუწოდა. ვაჟმა ისინი შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თავისი გაიხადა.

— ჩაიცვი! — უთხრა ქალიშვილს.

— არ მინდა!

— ჩაიცვი! შიშველი ფეხით ხომ არ ივლი?!

ქალიშვილმა ფეხსაცმლები ჩამოართვა, მაგრამ არ ჩაუცვამს.

— ფეხები გეტკინება, ჩაიცვი!

— არაა. — სიტყვა გააგრძელა მზიამ და წინ გაიჭრა. ვაჟი მიჰყვა. ფეხებს ეკალბარდი უკაწრავდათ, მაგრამ მაინც

ჩქარა მიდიოდნენ. ხევი აიარეს და მთის კორტოხზე შედგნენ. მზე აღარ ჩანდა. ახალჩასული იყო. წინ ფერდობს გზატკეცილი გასდევდა. უკან მიტოვებული სოფელი ჩანდა. მზიამ ხეებში ჩაფლულ კრამიტის სახურავებს თვალი მოავლო და თქვა:

— აი, ჩემი სხელი, ისაა.

— რომელი?

— მაღალი კაკლის გვერდით.

ვაყი უფრო დაუკვირდა სიბნელეში სოფელს.

— აი ისა, გვერდით ვენახი რომაა?

— ჰო.

ვენახი თითქმის ერთი ჰექტარი იქნებოდა. კარგი სამუშეო ჩანდა. ქალიშვილი მთელ დღეებს იქ ვენახში ატარებდა. სულ მალე კრეფა უნდა დაიწყონ და მზია იქ აღარ იქნება. მოაგონდა მთებსა და ლეღეებში ხეტიალი, მოკვის საკრეფად მიმავალი გოგო-ბიჭების ყრიაშული, ტყეში შემოდამება, ყანის ტეხა, კონი, ტურის კივილი.

რევანმა ხელი ჩასჭიდა.

— წავიდეთ, ნულარ ვაყონებთ!

ნახევარი საათის შემდეგ ისინი გზატკეცილზე გავიდნენ. ახლად ამოსული მთვარე ცის კიდურზე ღრუბლებში იმალებოდა. გარშენო მთები და ტყე იყო. ათიოდე მეტრის იქით გზა მარცხნივ უხვევდა და იყარებოდა. რკინიგზის სადგური არც ისე შორს იყო, მაგრამ, იქნებ, მზიას მშობლებმა გამოსდიეს და მატარებლის გასვლამდე ჩაუსწრებდნენ.

რევანმა ქალიშვილის ფეხსაცმლები მიწაზე დაყარა.

— რატომ არ იცვამ ჩემს ფეხსაცმლებს? — უთხრა მან.

— არ მინდა!

— როგორ არ გინდა. სირცხვილია. ფეხშიშველი ხარ.

მზიამ თავისი ფეხსაცმლები აიღო, ქვა მოძებნა და ქუსლი მეორე ფეხსაცმელსაც წაატეხა.

— აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრეთ! — ღიმილით თქვა ვაჟმა.

მზიამ გზას გახედა. სატვირთო მანქანა მოდიოდა. რევანმა შოფერს ხელი აუ-

წია. მანქანა გაჩერდა. ქალ-ვაყი ძარბავ ავიდნენ. ავტომობილი ადგილიდან გადაიწვინა და დაიძვინკარა.

— ვეძინება? — კითხა რევანმა ქალიშვილს.

— არა!

— თუ ვეძინება, თავი მხარზე ჩამოყარდნე.

— არა, არა!

რევანმა ცას გახედა და, თითქოს ოცნებობსო, თქვა:

— არაფერზე არ იდარდო, შენი მშობლები შეგვერიგდებიან. ჩავალთ შინ და ყველაფერს ბოლო მოვღებთ. — სახეზე კეთილი ღიმილი გამოეხატა. — ჩემიანები შენს მშობლებს არ გვანან. კარგად მიგიღებენ. დედაჩემი თავზე შემოგვევლებს. ჩემს ძმას ცალკე ოჯახი აქვს, ჩვენს გვერდით ცხოვრობს. ორი შვილი ჰყავს. დედაჩემი და უფროსი ძმალი ძალიან შეხნატკილებულად ცხოვრობენ. სხვათა შორის, ის ქალი დედაჩემის ამორჩეულია. სამი დღე და ღამე გრძელდებოდა მათი ქორწილი.

მზია გატრუნული უსმენდა. ყველაფერი შორეულ ზმანებად ესახებოდა. ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოედგინა, რა უნდა მომხდარიყო. მხოლოდ გრძნობდა, რომ ნაოცნებარი, ყმაწვილობის დროინდელი იღუმალი ფიქრები ფრთებს ისხამდა.

— ჩვენ მალე ვიქნებით შინ, — თქვა რევანმა. მისი ოცნება ღრმა და აღმატკინებელი იყო. იგი ფიქრობდა ახალ ოჯახზე. ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლიდა. არავინ მომღურავი არ ეყოლებოდათ. დედას დაასვენებდნენ. დიდიანა. ზემორობა ხომ არაა, მარტოხელა ქალმა შვილები უმამოდ გაზარდა. ნას ერთ ოთახს დაუთმობენ. იცხოვრებს როგორც სურს. ხელს არაფერზე მოაკიდებინებენ.

ავტომობილი მთას თავზე მოექცა, შედგა; ერთი დაითუხტუხა და თავიქვე დაემგვა. მოტორი არ მუშაობდა და ავტომობილი უხმოდ მისრიალებდა.

— მზია, შეხედე მთვარე რა ლამაზია!

— თქვა რევანმა და ქალიშვილს გადახედა. ახლა შენიშნა, რომ მზიას ჩასძინე-

ბოლა. — ჰმ! — ჩაეღიმა ვაჟს. — შენ  
გძინავს?

მზია შეცბა. შერცხვა, რომ ჩასძინე-  
ბოლა.

— ხომ არ გცივა? — კითხა ვაჟმა.

— არა!

მთვარე ღრუბლებში მიცურავდა და  
დროადრო ისე გამოიხედავდა, თით-  
ქოს ქვეყანას პირველად ხედავს და  
უცინისო. ირგვლივ გამეფებულ ღამის  
სიჩუმეს ავტომობილის გუგუნი არღვევ-  
და. რომელიღაც სოფელში შედიოდნენ.  
ჭიშკრებს ძაღლები მიაწყდნენ. ერთი  
კვალდაკვალ დაედევნა ავტომობილს.

ქალ-ვაჟი დუმდა. ქალიშვილს ძილმა  
გადაუარა და თვალები აღარ ებლიტებო-  
და.

— აქედან ჩენი სოფელი არც ისე შო-  
რსაა, — თქვა ვაჟმა.

მზიას მთელ ტანში ყრუოლამ დაუარა.  
რევას უცნაური არაფერი უთქვამს, მა-  
გრამ იმის შეგნებამ, რომ სამუდამოდ  
დატოვა თავისი სოფელი და მშობლები,  
უცბად დააღონა. სიამოვნებით დაბრუნ-  
დებოდა უკან. არა, მაინც რა ნოუფიქ-  
რებლად წამოვიდა, წამოვიდა სრულიად  
უცხო ხალხში. აქ არავის იცნობს და ვინ  
იყის, როგორ შეხედებიან მას. იქნებ,  
მისი მშობლები მართალი არიან. ინანა,  
რომ დაუკითხავად წამოვიდა, მაგრამ  
მასში კვლავ გაიღვიძა რაღაც შეუცნო-  
ბელმა ძალამ, რომელმაც ერთნაირად  
გადაავიწყა შიშიც და ეჭვიც. იგი აღარ  
ნანობდა, რომ რევას გამოყვა. სწამდა,  
არავითარი სიძნელის წინაშე ქედს არ  
მოიხრიდა.

ვაჟი წამოდგა და მძლოლს გასძახა,  
გაჩერდით.

ავტომობილი შედგა.

რევაში ძარიდან ჩამოხტა და ქალი-  
შვილს ჩამოსვლაში დაეხმარა. მერე საუ-  
რმე გზას შეყვინა.

— ნალე ჩვენს სოფელში შევალთ. —  
თქვა ვაჟმა.

მართლაც, ოციოდე წუთის შემდეგ  
ორღობეები დაიწყო. სოფელს ეძინა.  
მთვარის სინათლეზე მოჩანდა ბალები და  
ტყით დაფარული ფერდობები.

— გაღმა ფერდობებს ხომ ხედავ? —

თქვა რევაზე და ხელი გაიშვირა.  
ფერდობს გადაღმა ჩემი სახლობს —  
რომ იყოს, ჩვენს საყანეს დაგანახებდი.

მზიამ კარგად ვერ გაარჩია, რომელ  
ფერდობზე ეუბნებოდა ვაჟი, ნაგრამ  
თავი მაინც დაუქნია, ვხედავო.

— ჩვენი წყაროს წყალი იმ ფერდო-  
ბის ძირსაა. იქვე, ბავშვობაში, საბანაო  
გვექონდა ბიჭებს. მოშორებით მეზობ-  
ლის ბოსტანია და კიტრსა და პამიდორს  
ვიპარავდით. — რევაზეა სიტყვა გაწყვი-  
ტა და ქალიშვილი ეზოსკენ გაახედა. —  
ეს ბიძაჩემის ოჯახია. იგი სამამულო  
ომში დაიღუპა. სამი შვილი დარჩა. ერ-  
თი ჩვენთან აგრონომად მუშაობს.

ფერდობზე დაეშვენენ, მდინარეზე გა-  
ვიდნენ და საცალფეხო გზას ჩაის პლა-  
ნტაციის მიმართ შეჰყვინა.

რევაზეა დასძინა:

— ეს ჩვენი ეზოს ჩაია.

მზიამ ისევ ყრუოლა და შიში იგრძნო.  
მითვლემილი გრძნობები კვლავ გაელ-  
ვიძა. მაგრამ ახლა აღარ უფიქრია უკან  
გაბრუნება. უკვე ბედის სრული მორჩი-  
ლი იყო. ღამის გამჭვირვალე ჰაერი,  
მთები და ფერდობები, საესე, ბადრი  
მთვარე საკუთარ სოფელს აგონებდა და  
ვერავითარ სხვაობას ვერ ხედავდა. მხო-  
ლოდ შემკრთალი წინ იუყურებოდა —  
არავინ გამოჩნდესო. ჩაის პლანტაცია  
გაიარეს და ალაგზე გადავიდნენ. ღობე-  
სთან, თუთის ხის ტოტებზე, საქათმე  
იყო. მახლობლად ხბო ება. ფეხის ხმაზე  
ხბომ თავი მოაბრუნა და სველი ტუჩები  
გაილოკა.

რევაზეა ხბოს თავზე ხელი გადაუსვა  
და თქვა:

— ეს ჩემი ქოქოჩაა!

ეზო საკმაოდ დიდი იყო. რკინის ჭიშ-  
კარი ჰქონდა. რევაზეა წინა კარი გააღო  
და ოთახში შევიდა. მზია სვეტთან აი-  
ტუზა. ახლა იგი უფრო სიცივით, ვიდრე  
შიშით, კანკალებდა. გონება იმდენად  
არეოდა, არც კი ფიქრობდა, რა უნდა  
მომხდარიყო. ოთახიდან ქალის ხმა მოე-  
სმა — „მოხვედი, შვილო?“ მერე სიჩუ-  
მე ჩამოვარდა და კარგა ხანს არაფერი  
გაუგონია. ბოლოს კარი გაიღო, თავსაფ-  
რიანი ქალი გამოჩნდა. უკან რევაზე იდ-

გა და იცინოდა. თავსაფრიალი ქალი მზი-  
ას მიუახლოვდა. ახელ-დახელა... მზიას  
მისი თვალები არ დაუნახავს, მაგრამ  
რატომღაც იგრძნო, რომ მკაცრად უყუ-  
რებდა.

— შემოდი, შვილო, ოთახში! — უთ-  
ხრა ნან ბოლოს.

მზია შეაკრთო ღედის ხმამ. ადგილი-  
დან ფეხი ვერ მოიცივალა. ვერ გაერკვა  
— ღედის ხმა მშობლიური იყო, თუ მა-  
სში სიცივე გამოკრთოდა. თავი დახარა.  
მერე მხარზე ხელის შეხება იგრძნო. რე-  
ვაზი იყო. კარებში რომ შედიოდა, მზიას  
უეცრად წინ წასული ღედის ხმა მოესნა.  
შვილს ეკითხებოდა — „იცნობ ვინ  
არის?“ მოხუცის ხმაში იღუმალი ბრა-  
ზი გამოკრთოდა. მზიას სახეზე სიწით-  
ლემ გადაურბინა და იქაურობა უცხო  
და მიუტარებელი ეჩვენა. ცოტა ხნის შე-  
მდეგ, როცა დედა-შვილი მეორე ოთახ-  
ში გადიოდა, მზიას ისევ მოესნა ღედის  
ხმა — „ჩვენს კუთხეში არავინ იყო, და-  
საკარგავიდან რომ არ მოგეყვანა ქა-  
ლი?“ ეს სიტყვები კარგად არ გაუგო-  
ნია, მაგრამ მიხვდა, რომ ასე იყო ნათ-  
ქვამი.

ვაჟი ოთახში, ჩვეულებრივ, მოდიმარი  
შემოვიდა, თითქოს არ იმჩნევდა წყენას.  
მზია აღვა.

— მე მივდივარ. — თქვა მან.

— სად?

— შინ.

ვაჟმა ხმამალა გაიცინა.

— დაჯექი, რას ამბობ! — ქალიშვილს  
ხელი მოკიდა და იქვე სკამზე დასვა. —  
არ გშოა? ვივანშმოთ.

...მერე ცხოვრება ჩვეულებრივ წავიდა  
— როგორც იწყება ხოლმე ქორწინების  
შემდეგ. უფროსმა რძალმა მზიას ოქროს  
საათი, ძვირფასი საკაბეები და საწოლე-  
ბი მიუტანა. მეზობლებმაც დაასაჩუქ-  
რეს. მზიას გული აღარ ტკიოდა.  
ოჯახი თბილი გამოდგა. თავი ისე ეკირა,  
თითქოს ღედამთილის სიტყვები არც კი  
გაუგონია ყველამ, ნათესავ-მოყვრებმა,  
მეზობელ-ნაცნობებმა, ყველამ კარგად  
მიიღო. რამდენიმე დღეს მაგიდა არ აშ-  
ლილა. ხან ერთი მოდიოდა, ხან მეორე.

მზია, როგორც ოჯახის მკვიდრი, ისე  
უმასპინძლდებოდა მათ.

მერე ოჯახში ათასი საქმეა გასაკეთებელი...  
ბელი...

და მიდიოდა დღეები ასე.

ღედამთილი, ორმოცდაათ წელს გადა-  
ცილებული ქალი, ეტყობოდა, ახალგაზ-  
რობაში ლამაზი იყო. მეუღლეზე  
მგლოვიარეს შავი ჭერაც არ გაეხადა.

უფროსი რძალი მისი წმირი სტუმარი  
იყო. ჩაიკეტებოდნენ ოთახში და გვიან  
დამემდეგ ლაპარაკობდნენ. ღმერთმა უწ-  
ყის, რაზე საუბრობდნენ. ერთხელ მზი-  
ამაც მოინდომა მათთან მუსაიფი, მაგრამ  
ოთახში შევიდა თუ არა, ქალებმა საუ-  
ბარი შეწყვიტეს. უფროსმა რძალმა საქ-  
მე მოიმიზეზა და შინ წავიდა. დედამ-  
თილს კი მზიასათვის თვალებში არ შე-  
უხედავს.

ეწყინა, მაგრამ ეს ამბავი ქმარს  
დაუშალა. მეუღლით კმაყოფილი იყო,  
მასზე გული არ ტკიოდა. ოჯახის წევ-  
რებთან მარტო დარჩენას, საუბარს ერი-  
დებოდა და უმეტესად მასთან იყო.

იმ დღით, ის იყო მზიამ ქმარი გაის-  
ტუმრა, ოთახში შებრუნდა და საწოლის  
ალაგება დააპირა, რომ დედამთილის ხმა  
მოესმა. მხოლოდ ახლა შენიშნა მზიამ,  
რომ დედამთილი მაგიდაზე რაღაცას  
ეძებდა.

— რა არის ეს? — უთხრა მან მზიას  
და რევაზის პერანგი უჩვენა. — მეორე  
დღეა, აქ დევს. შენი ქმრის საცვლებს  
გარეცხვას მე ხომ არ მავალე?

მზია გაწითლდა. ხმა ვერ ამოიღო.

— წაიღე და ახლავე გარეცხე.

— კი, დედა! — უთხრა მზიამ და სა-  
წოლის გასწორება ხელის კანკალით გა-  
ნაგრძო. ცივმა ოფლმა დაასხა. რა საჭი-  
რო იყო ასეთი ტონი, ეს მითითება.

საღამოს, ქმარი შინ რომ დაბრუნდა,  
გულმა აღარ მოუთმინა და, როცა ოთახ-  
ში მარტონი დარჩენს, ყველაფერი უამ-  
ბო, უამბო. შემკრთალი, ნადველნარევი  
ხმით.

— გულთან ნუ მიიტან ამ ამბავს, —  
უთხრა რევაზმა, — მოხუცი ქალია, ჭი-  
რვეულობა დასჩემდა. მოუთმინე, ნუ

შედავები და ყველაფერი განოსწორდება.

— მე ხმას არ ამოვიღებ, მაგრამ...

— ნუ გეშინია, უარესიც ხდება ხოლმე ოჯახში.

ღრმად დაფიქრებული რევანი ისე გამოიყურებოდა, თითქოს სახე ჩამოსტირისო. კარგად იცოდა, ცოლი რომ მართალი იყო, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ იტყვის. ნანაც შენიშნა, დედა და უფროსი რძალი განმარტოებით რომ საუბრობდნენ. წინა დღეს დედამ კიდევაც უთხრა — შენი შესაფერისი ქალი მოგენახაო. მერე რაები არ უსაყვედურა, რაები არ უთხრა, მან კი ხმა ვერ ამოიღო, იმიტომ, რომ...

დედა!

— კარგი, ჩემო მზია, გულთან ნუ მიიტან, — გაინფორა რევანმა, რაკი შეატყო, იგი ძლიერ წუხდა.

მზიამ მღელვარე ხმით უთხრა:

— მე ხმას არ ამოვიღებ, ოღონდ...

— ჰო, ჩემო მზია, მოხუცი ქალია, ნუ აყვებობ.

მზია მართლაც მომთენნი ქალი იყო. ქმრისა და ოჯახის სიყვარულისათვის ყველაფერს აკეთებდა. რაკი დედამთილთან უკმაყოფილება ჩამოუვარდა, არ უნდოდა ეს ამბავი ოჯახის გარეთ გასულიყო. თავის საქმეს მორჩებოდა თუ არა, ოთახში ჩაიკეტებოდა.

რევანი ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა. მეორე ცვლა გვიან გამოდიოდა. მზია ფანჯარასთან იჯდა, უფროსი რძალი ოთახში რომ შევიდა. იგი აღფრევებული ჩანდა და თვალები ისე უციმციმებდა, ეტყობოდა რაღაც დიდი სათქმელი ჰქონდა.

— არ გძინავს? — თითქოს გულგრილად უთხრა მზიას უფროსმა რძალმა. — კარგი ერთი, რაც არ უნდა თავი გამოიღო, დრო მაინც თავისას იზამს, შენ გგონია სიყვარული დიდხანს გასტანს?! ეჰ, სისულელეა! — დაჯდა, მაგიდაზე მკლავები დააწყო და თხელი; გაცრეცილი ტუჩები მოკუნა. — დაანებე ფიქრებს თავი, არაფერი გამოვა, მაგის გამოცდილება მე მაქვს.

— რატომ ლაპარაკობ ასე?!

— კარგი ერთი, თუ დემრთი გწამს ჩემი გერიდება?! აბა, რევანი რა უნდა ვარებელი იყო! მე შენს ადგილზე წამოვეყვებოდი, — სახეზე ღიმილი გაუქრა, ხმას დაუწია და განაგრძო: — რევანს ჩვენი სოფელი აწიოკებული ჰყავდა. ერთი ქალიშვილი შეაცდინა. საცოდავი გოგო ცოცხალ-მკვდარია.

მზია შეპარხალდა, მერე გაფითრდა. ხმა ვერ ამოიღო ან რა უნდა ეთქვა? თუ ყველაფერი ეს მართალია, მას რატომ უთხრეს? გული ჩაეწვა.

— ამდენი დღეა გამოთხოვილი ხარ და, — ამბობდა უფროსი რძალი, — ერთჯერაც არ მოგიკითხეს მშობლებმა. მე რომ გამოთხოვიდი, ერთი კვირის შემდეგ ქორწილით ვადანიბატიყეს. შენ რა უპატრონოსავით დავაგდეს. ალბათ, არ ენაღვლები მშობლებს. შენც რამ გავასულელა! რევანს რომ გამოეყვი, თქვენკენ კაცები ხომ არ გაწყვეტილა?! მე თუ გამოეყვი ჩემს ქმარს, ძალიანაც მოგეწონე დედამთილს.

მზიას ცრემლი ნოერია. მერე აქვითინდა. სიტყვები და ბოლმა ყელში მოაწვა, მაგრამ რა უნდა ეღონა... ქმარსაც ვერაფერი უთხრა. რაც დრო ვადიოდა, გული უფრო და უფრო უკვდებოდა. რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი და ვერ ამბობდა. გულს იმით იოხებდა, რომ ნუხლს ერთს არ მოხრიდა, უსაქმოდ არავინ შემნიშნოსო.

იმ დღეს იატაკს წმენდდა. დედამთილმა ჩამუხლებულ რძალს გადახედა და მკვახედ უთხრა, იატაკს დანით უნდა მოფხეკაო.

მზიას ხმა არ გაუცია, ისევ ამოიტანა ვედროებით წყალი და იატაკი მოფხეკა. დედამთილი მაინც უკმაყოფილო დარჩა, იატაკი თბილი წყლით უნდა მოგეწმინდაო. მზიას არც ახლა ამოუღია ხმა. წყალი გაათბო და იატაკის წმენდა ხელახლა დაიწყო, როცა დედამთილმა მეორე ოთახში წყალი მოასხა, მერე სველი ტილოთი მოწმინდა, წყალი ისევ მოასხა და ასე დატოვა. მზია უკვე იმდენად დაიღალა, ხელის განძრევა არ შეეძლო და დედამთილის საქმე ვეღარ მოათავა. ოთახში წყალი იდგა. შინ რომ დაბრუნ-

და, რევანი განცვიფრდა. ცოლმა ყველაფერი უამბო. იგი დედასთან შევიდა. დედა-შვილმა ერთმანეთს თვალი ვერ გაუსწორა.

— რა იყო, დედა, რა მოხდა? — კითხა რევანმა.

— არაფერი!

— როგორ არაფერი, ოთახი წყლითაა სავსე.

— ეს შენს ცოლს კითხე.

— ჩემს ცოლს რა ვკითხო, როცა...

— ყველაფერი გითხრა არა?!

— დედა!

— იცი, რა გითხრა, შვილო?! მაგი შენი შესაფერისი ქალი არაა. რად გინდოდა გადამთიელი, ცხრა მთას იქედან რად მოგყავდა ქალი?! ჩვენს ახლმანლო არ მოიძებნებოდა თუ?! რაც გინდა, ის ქენი და ეს ქალი მე არ მომწონს!

— დედა, რატომ ამბობ, დედა! — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა რევანს, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. იცოდა, ვერაფერს განდებოდა. შელაპარაკება კი გაამწვავებდა მათ ურთიერთობას. რევანს ისე არაფერი ეჯავრებოდა, როგორც ოჯახში ხმამაღალი ლაპარაკი, საქმეში მეზობლების ჩარევა და მითქმა-მოთქმა, კარიდან კართან, ყურიდან ყურში ჩურჩული. ყველაფერს კიდევ მოთმინება სჯობდა. იქნებ, რაინე სხვა გზა გამოჩენილიყო.

სოფლის თავზე უკვე ვარსკვლავები ისხდნენ და შორს მთვარე ნელა ამოდიოდა. რევანი აივანზე გავიდა. საიდანღაც ძაღლის ყეფა ისმოდა. სადღაც ძროხა ბლაოდა. ვიღაც ფერდობს ჩქარი ნაბიჯით მიყვებოდა. შარავნაზე ავტომობილმა ჩაიქროლა. მერე ურემი გამოჩნდა.

— აქ რას დგხარ, რევან, შემოდი ოთახში.

სულ ახლოს ქალის ოდნავ აჩქარებული, მსუბუქი სუნთქვა მოესმა. ამ სუ-

ნთქვან თითქოს დაამშვიდა, თითქოს მასში რაღაც გააღვიძა. ცოლს გაუღიმა და კითხა:

— შენ არ გძინავს?

— არა, შენ გელოდები.

— მზია, — ცოტა ხნის შემდეგ თქვა რევანმა. — იქნებ, დამნაშავე მე ვარ. არა, იქნებ, ჩვენ ორივე ვართ დამნაშავე და ვერ ვხვდებით. შენ კიდევ არ იცნობ დედაჩემს და, რა თქმა უნდა, ცუდი თვალთ უყურებ.

— რას ამბობ, რევან!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ მაინც ვერ გამოვიგია, რა დანაშაული მიგვიძღვის, ვის რა დაუშავეთ. ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, ისინი ხელს უნდა გვიმართავდნენ. ყველაფერი კი პირიქით ხდება. არ ვიცი, ვერაფერი გამიგია! ნუთუ ჩვენი დამორება მათ გაახარებს?!

მზიას თვალი ცრემლით აევსო და მოაგონდა უფროსი ბძლის სიტყვები. ნუთუ, რაც უთხრეს, მართალი იყო? ნუთუ მოტყუვდა და რევანი მართლაც...

— იცი რა, მზია? დედაჩემისაგან ანას არ მოველოდი! ვფიქრობდი, რომ ჩვენ აქ ხელს არავინ შეგვიშლიდა. ტკბილად ვიცხოვრებდით. მაგრამ ასე არ გამოვიდა.

— და რას აპირებ?

— ჩვენ უნდა წავიდეთ.

— სად?

— ქალაქში.

— ქალაქში?

— ჰო, აქედან შორს უნდა ვიცხოვროთ.

ცახე მთვარე ამოდიოდა, ვეებერთელა ნათელი მთვარე. ისინი აივანზე მხარი მხართან იდგნენ და შეჰყურებდნენ ამომავალ მთვარეს. სოფელს კი სძინავდა.



## ეკაპი ჩხაიძე

### მაშინ, როდესაც...

მაშინ, როდესაც უსაშველო ფიქრით ვიღლები,  
როცა ფრთავარსილი ოცნებებით სადღაც მივიღტვი,  
ო, როგორ მინდა, როგორ მინდა კარგი სიმღერით,  
დავიღალო და ძლიერ მაგრად შეტკინოს ფილტვი.

მაშინ, როდესაც ბალახობენ ნთაში ირმები,  
როდესაც მთვარე იგვიანებს, მიირთმევს ვახშამს,  
როცა ქალაქში მეზარება გასეირნება,  
ვალაგებ დასტად დღიურ ფიქრებს მაგიდის თავში.

ჩემს ნავიდაზე ყველაფერი ღვიძლია ჩემი —  
მეგობრის წიგნი, თუ ქალაღი, ნაყიდი გუშინ,  
ფანჯრის შუშებში თვალს ნაბავენ ირმები კდემით  
და ზეციური მყუდროება შემოაქვთ სულში.

მაშინ, როდესაც უსაშველო ფიქრით ვიღლები,  
როცა ფრთავარსილი ოცნებებით სადღაც მივიღტვი,  
ო, თუ არ დამღლის, თუ არ დამღლის დიდი სიმღერა,  
დიდ ცხოვრებაზე ცოტა რამეს უთუოდ ვიტყვი.

### თუ პოეტი ხარ...

ერთი მდინარეც არ მეგულვის საქართველოში,  
რომ არ ეყაროს წინაპართა ძვლები უბეში...  
თუ პოეტი ხარ... იცი ყადრი ლერწმის ღეროსი,  
სალამურებად ამოაწყვე და ხალხს უმღერე.

მდინარის პირას ამოზნექილ ყოველ ლოდის ქვეშ  
ჩემი წინაპრის ჩაუმქრალი ცხელი გული ძევს,  
ამიტომაც — მდინარეთა ხმაური მესმის,  
როგორც წინაპრის შორეული გამოძახილი.

არ წაულიათ ჯავრი მტრისა ბრძოლის ველიდან,  
გვეამაყება, კარგ წინაპრის რომ ვართ მემკვიდრე,  
და ამ ქვეყნიდან, ამ სამეფოს დიდ საუფლოდან,  
გავდივართ წყნარად და მიგვევება ფიქრი შვილების.

საქართველოში არ მეგულვის ერთი მდინარეც,  
რომ არ ეყაროს წინაპართა ძვლები უბეში,  
თუ პოეტი ხარ... შენ ქართველი თუ ხარ პოეტი,  
იყავ ვაჟკაცი, იყავ ლექსი, იყავ ნუგეში!



## შოთა ზოიძე

### ჰოროსისპირელი ბიჭი ვარ

ჰოროსისპირელი ბიჭი ვარ,  
მსურს ვიქცე ლექსად და ლერწამად.  
რომ არ ვთქვა სიმღერა ხმიანი,  
ვერ წავალ აქედან, ვერ წავალ!

ნესხი ვარ, იმ გმირის ბაღიში,  
გონიოს ციხე რომ ააგო.  
ძმობა გსურთ? მოდით, არ დაგიშლით —  
ეს ხმლები ქარქაშში ჩავაგოთ!

თოფის და ხანჯალის ტრიალი  
არ უნდა, არ უნდა ამ ხელებს.  
მამღერებს მამულის ტრფიალი,  
სამშობლოს ცხელი მზე მამღერებს!

მამღერებს, ეს ზეცა კრიალა,  
ქართული თავანი, ცა-ჭერი.  
ხნლითა და ტყვიებით კი არა,  
მამულო, სიტურფით დამჭერი!



ჯეგარ ქათამბე

ქ ა რ ი

დელავს ზღვა და ცივი ქარი  
 ამრიალებს ხეთა ფოთლებს.  
 ყვავილები საგუნდარი  
 ჩვენზე უფრო რატომ შფოთვენ.  
 ნეტავი მათ რა აწუხებთ,  
 რატომ უყვართ ჩუმი დარი.  
 მე კი მიყვარს, მაღალ მუხებს  
 რომ შეარხევს გიჟი ქარი.  
 შენს დალალებს აშლის-დაშლის  
 ქარი, ზღვაზე შენარხევი,  
 შეშინდები, როგორც ბავშვი  
 და მე მკერდზე მომეხვევი.

გალადა მონადირეზე

ავიღე თოფი, გავსწიე,  
 გაცვდი სოფლის თავს მოღობილს  
 და ყურშამ მთების გადაღმა  
 გზად ამიფრინა ხოხობი...  
 ვესროლე, არ დავაყოფნე,  
 სწორი გამოდგა შიხანი,  
 მავრამ საბრალო ხოხობში  
 სატრფოს მშვენება ვიცანი.  
 ცრემლით ამევსო თვალები,  
 ამიკანკალდა მარჯვენა.  
 დავწყევლე თოფი ტიალი,  
 მერე სიკვდილის გაჩენა.



## საგაბი ანგონოვი

### შეხვედრა კრემლში

ლენინი ფანჯარასთან იდგა, ხელები ღრმად ჩაეწყო შარვლის ჯიბეებში. ორფანჯრიან, მაღალჭერიან კაბინეტში სუსხი და ნესტია. ზამთრის უკანასკნელ კვირებში მკაცრი სიცივე დაიჭირა.

ვლადიმერ ილიჩი ხედავდა ყუმბარების ნამსხვრევებისაგან დაცხრილულ არსენალს, რუხ ცაზე მკვეთრად გამოხატულ უზარმაზარ არწივიან ტროიციკს კოშკს, რომელიც აქედან ნაკლებ მაღალი ჩანდა, ვიდრე მანეთის მხრიდან; კრემლის კედლის ნაწილს და ყაზარმების შენობას. მოედანზე, სადაც ჩაწეულ ქვაფენილს ორმოები გაეჩინა, არსენალის გასწვრივ ნიკოლსკის კოშკისაკენ მიემართებოდა პატარ-პატარა ფარნების მწყრივი, რომელიც ზემოდან კავით მოღუნულ ბალახის ღერებს ჰგავდა.

ტროიციკის კოშკისა და არსენალისაკენ მიმავალ გზაზე, ფარნებიან ფართო მოედანზე თოვლი დატკეპნილი და დასვრილი იყო. მხოლოდ სახურავებსა და კრემლის კედელზე იდო ის სწორად, ხელუხლებელი და სუფთა.

კრემლის იქით ყინულით შებოჭილი ქვის სახლები იდგა. აი იქ, მუზეუმსა და რუმინანცევის ბიბლიოთეკას იქით ძლივს მოჩანს მიწები. მაგრამ რამდენიც არ უნდა უტკირო, ბოლს ვერ შენიშნავ: სათბობი არ არის.

ზამთარმა მოსკოვს სიცივის რკალი შემოარტყა. მტრებს, რომლებიც თავს დაატყდნენ სისხლისაგან დაცილ, სამოქალაქო ომში განაწამებ ქვეყანას, — შიმშილს, ნგრევას — მიემატა კიდეც ერთი: სიცივე. მძვინვარებს ტიფი.

ლენინმა ამოიხსრა. შემდეგ მან უეცრად მკვეთრი მოძრაობით ამოიღო მარჯვენა ხელი ჯიბიდან და მაგიდას მიუჯდა.

უბრალო, მოსწავლის მსგავსი კალმისტარი სწრაფად გარბოდა ქაღალდზე და სტოვებდა დაუმთავრებელ და შემოკლებულ სიტყვებს, გაურკვეველ ფრაზებს. აზრები ერთი მეორეს უსწრებდნენ, და ის გამალებით წერდა: შეამოწნეთ, უზრუნველყოფილია თუ არა ბავშვთა სახლები შეშით. თუ არა — უზრუნველყოფით... გაუდიდდეს შაქრისა და სახარინის ულუფა მეტალურგიული მრეწველობის მუშებს... სერგეევი გადაღლილია — აუცილებლად გაუშვით შვებულეებში... ანგარიშგების საქმე ძალზე ცუდადაა... დეკრეტი გაეცნოს ამხანაგებს და დამტკიცდეს... კამენევს — წერილი... საზღვარგარეთი, რომელიც თავის სამსახურს გვთავაზობს... გავართმევთ თუ არა თავს თვითონ?

კალამი წამით შეჩერდა.  
წყნარად გაიღო თეთრი მუშაგამით გა-



დაკრული კარი, რომელიც სხდომათა დარბაზში გადიოდა, და გამოჩნდა მდივანი.

— ვლადიმერ ილიჩ, — წყნარად მიმართა მან.

მაგრამ ლენინმა არ უპასუხა.

— ვლადიმერ ილიჩ!..

ლენინმა ასწია თავი და თქვა:

— დიახ, დიახ, — და აიღო ქალაღლის მეორე ფურცელი ჩანაწერისათვის.

— ვლადიმერ ილიჩ, — თქვენთან ამხანაგი კორშუნოვია.

— კარგი, — თქვა ლენინმა.

მდივანი წავიდა და უხმაუროდ მიიქცა კარები, ხოლო ვლადიმერ ილიჩი განაგრძობდა წერას, თან ჩქარობდა დაემთავრებინა წერილი სერგეი სერგეის-ძე კამენევისადმი. ლენინმა იცოდა, რომ ვიდრე მდივანი გაივლის სხდომათა დარბაზს, შევა მისაღებში, ეტყვის მნახველს: „ვლადიმერ ილიჩი გთხოვთ“, სანამ მნახველი ადგება, გაისწორებს ვარცხნილობას ან ტანსაცმელს, გაივლის სხდომათა დარბაზს, — ამ ხნის განმავლობაში. რაღაც წუთ-წუთნახევარში, შეიძლება წაიკითხო წერილი, თვალი გადაავლო სავაზეთო შენიშვნას და; ბოლოს, დაწერო ბარათი. შეიძლება გააკეთო ბევრი, ძალიან ბევრი სასარგებლო და აუცილებელი. ვლადიმერ ილიჩი წერდა, მაგრამ როგორც კი კარებში გამოჩნდა ძველი ნაცნობის, რამდენადმე შემკრთალი და, ჩანს, მორიდებული მეცნიერის გამხდარი დაბალი ფიგურა, ლენინი წამოდგა და მნახველის შესახვედრად გაემართა.

— მობრძანდით, ლეონიდე ალექსის-ძე, მობრძანდით, — ვლადიმერ ილიჩმა ერთ-ერთ რბილ სავარძელზე მიუთითა. — დაჯექით, გეთაყვა...

ლეონიდე ალექსის-ძე კორშუნოვი როგორღაც უხერხულად, სწრაფად წავიდა სავარძლისაკენ და ფეხები დამალა მაგიდის ქვეშ, რომელიც პერპენდიკულარულად იყო მიდგმული ლენინის სამუშაო მაგიდასთან. კორშუნოვმა ეს ისე სწრაფად გააკეთა, რომ თვითონ იგრძნო უხერხულობა და ოდნავ შეცბა. მაგრამ

რომ შეხედა, ლენინი თავის დაწულ სავარძელში ჩაჯდა, დამშვიდდა და მხოლოდ მერე მიბრუნდა მისკენ.

— როგორა ხართ, ლეონიდე ალექსის-ძე? — კითხა ლენინმა. — ხომ არ უჩივით რაიმეს?

— გმადლობთ, ვლადიმერ ილიჩ. არ ვუჩივი.

— კარგია. მძიმე დროა, ლეონიდე ალექსის-ძე, და უნდა დავძლიოთ იგი. როდესაც ლენინი გაჩუმდა, კორშუნოვმა დაიწყო:

— მე ციმბირში შესაძლო ექსპედიციის შესახებ გეახელით, ვლადიმერ ილიჩ. თქვენ, რასაკვირველია, იცით, რომ 1908 წლის 30 ივნისს მოხდა მეცნიერული სამყაროსათვის ფრიად საინტერესო მოვლენა. მოვლენა საკმაოდ იშვიათი, უჩვეულო თავისი მასშტაბით და, შესაძლოა, მნიშვნელობითაც. ციმბირის ტაიგაში ჩამოვარდა მეტეორიტი. — აქ კორშუნოვმა შეხედა ლენინს და შენიშნა, რომ ვლადიმერ ილიჩი ყურადღებით უცქერის მას.

კორშუნოვს მოეჩვენა, რომ ლენინმა შესანიშნავად იცის მეტეორიტის ამბავი, იცის მეცნიერის აზრები და სურვილები და რომ თავისი მოხსენებით იგი მხოლოდ დროს ართმევს საქმეებით დაკავებულ კაცს, კორშუნოვს ენა დაება...

— ეს მეტეორიტი... მაგრამ თქვენ ყველაფერი ეს იცით...

— ტყუილად ფიქრობთ ასე, ლეონიდე ალექსის-ძე, — შენიშნა ლენინმა. — იმის მეტი, რომ სადღაც ჩამოვარდა მეტეორიტი, მე არაფერი არ ვიცოდი. დიახ, დიახ...

მან თავი გვერდზე გადახარა, მეცნიერისაკენ გადაიწია და ღიმილით წყნარად წარმოთქვა:

— წელიც კი არ მასსოვდა.

კორშუნოვსაც გაელიმა.

— უცნაურია! — განაგრძობდა ლენინი უკვე სერიოზულად. — ბევრი რატომღაც თვლის, რომ სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, სახკომებმა ყველაფერი იციან! მავენ სისულელეა! ჩვენ კი ცოტა, ძალზე ცოტა, სამარცხვინოდ ცოტა ვი-

ცით! და რამდენადაც მეტად შევხვდებით ერთმანეთს, მით უკეთესია! განაგრძეთ, ლეონიდე ალექსის-ძე. და ნუ ჩქარობთ.

გამხნეებულმა და გახალისებულმა კორშუნოვმა განაგრძო ვადმოცემა წინასწარ მოფიქრებული აზრებისა, რომლებიც დიდი ხანია სურდა გაეზიარებინა ლენინისათვის:

— თუ ვავითვალისწინებთ, რომ ყველაზე დიდ მეტეორიტად ითვლება ოცდაათექვსმეტნახევარტონიანი მეტეორიტი, შემდეგ კი ეგრეთწოდებული მექსიკური ოცდაშვიდტონიანი, პირადად მეჩვენს ციმბირის მეტეორიტი გიგანტად მეჩვენება ჩვენთვის ცნობილ მეტეორიტებთან შედარებით. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ზუსტად არ ვიცით სად არის ეს მეტეორიტი.

— და თქვენ გინდათ გაემგზავროთ მეტეორიტისათვის? — კითხა ვლადიმერ ილიჩმა, როდესაც კორშუნოვმა შეისვეწა.

— დიახ, — უპასუხა მან. — საესეებით სწორია. მე მინდა წავიდე მეტეორიტისათვის. — და სწრაფად დაუმატა: — მე მესმის, რომ ახლა ამის დრო არ არის. მე გთხოვთ ძალზე ცოტას. საწყენია, რომ საზღვარგარეთ იქმნება საზოგადოებები ჩვენი რუსული მეტეორიტის შესასწავლად, ჩვენ კი...

— არა, არა, არა, — სწრაფად თქვა ლენინმა. — საზღვარგარეთი აქ არაფერ შუაშია. დე, ნურც ოცნებობენ. რა არის საჭირო თქვენი ექსპედიციისათვის?

— მე მოვამზადე. — კორშუნოვმა პიჯაკის შიდა ჯიბიდან ორად გაკეცილი ქაღალდები ამოიღო. — ვცდილობდი არ გადამეჭარბებინა, ვლადიმერ ილიჩ..

ლენინმა დაიწყო სიის ვადათვალეირება და, რამდენადაც უფრო უკვირდებოდა მას, მით უფრო იღუშებოდა. კორშუნოვს მოეჩვენა, რომ სევდა, რაც არასდროს არ შეუნიშნავს ლენინისათვის, ახლა ნათლად გამოიკვეთა ნის სახეზე. შემდეგ ვლადიმერ ილიჩმა ის ფურცლები მაგიდაზე დააწყო, მარცხენა ხელი გადაუსვა, გაასწორა და მეცნიერს მიაპყ-

რო თავისი მკაცრი და, ისევე ისე, როგორც მას ეჩვენებოდა, ნაღვლმზარტი კორშუნოვმა ნელ-ნელა ასწია თავლები, შეხედა ლენინს და ყოყმანით წარმოთქვა:

— თუმცა... შეიძლება კიდევ შევამოკლოთ სია. შევამციროთ პური... ხელსაწყობებიც... ერთი თეოდოლიტი შეიძლება ამოვიღოთ. გარდა ამისა...

ლენინი მეცნიერის იქით, კაბინეტის კუთხეში იქტირებოდა, თითქოს არ უსმენდა და უკვე არც ამჩნევდა მის იქ ყოფნას.

— თეოდოლიტი ამოვიღოთ, — გაიმეორა მან, მზერა კორშუნოვზე გადაიტანა, მკვეთრად გასწია თავისი წნული სავარძელი, თითქოს უკმაყოფილოდ და გაკვირვებით დაკრა თითები ქაღალდზე და მაგიდას მოშორდა.

ლენინი ცდილობდა არ ექტირა კორშუნოვისათვის, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო, ფანჯარაში გაიხედა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა.

— იქ ხომ ტაიგაა, — თქვა ლენინმა მკვეთრად და მტკიცედ, თითქოს ცდილობდა დახმარებოდა მეცნიერს მდგომარეობის გარკვევაში. — გაუვალი და დაბურდული ტაიგის ათასობით ვერსი. ბობოქარი მდინარეები. მხეცები. უგზოობა. და არც ერთი არსება ასობით ვერსზე... თქვენ გესმით ეს?

იგი შეჩერდა.

— თქვენ ყოველივე ეს გესმით, — თქვა ვლადიმერ ილიჩმა უფრო რბილად, ხელახლა შეხედა სიას და განაგრძო: — გირვანქა პური დღეში, ხუთი გირვანქა შაქარი ყველაზე, თამბაქო... — კითხულობდა ის და მის ხმაში ისმოდა ხან სიმკაცრე, ხან უკმაყოფილება, ხან გაკვირება, ხან კიდევ უეცარი სევდა, ყოველივე ანას რომ აქარწყლებდა.

— შაქარზე შეიძლება თავი შევიკავოთ, მაგრამ თამბაქო, მომიტევეთ, აუცილებელია, კოლოებისაგან იცავს, — მკაცრად შენიშნა მეცნიერმა.

თითქოს არ გაუგონიაო, ვლადიმერ ილიჩი განაგრძობდა:

— „ბევრი ხელსაწყობების ფუტლარი-

სათვის“. ხელსაწყობისათვის! — გაიმეორა მან.

კორშუნოვი წამოდგა და მისი სათვალის შუშები, რომლებშიც ფანჯრები აირეკლა, აბრწყინდა. მასში იყო სიმტკიცე აღამიანისა, რომელსაც უკანასკნელი საშუალება დადრჩენია.

— ვლადიმერ ილიჩ! — ხმამაღლა და მტკიცედ თქვა მან. — ამხანაგო ლენინ! გამგზავრება საჭიროა! საჭირო!

და დაჯდა, უფრო სწორად, ჩავარდა სავარძელში.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ლენინმა და მეცნიერთან მივიდა. — რასაკვირველია, საჭიროა, არაჩვეულებრივად აღამიანო, ლენინდე ალექსის-ძვე. რასაც თხოულობთ, ჩვენ მოგცემთ. მაგრამ ეს ხომ ცოტაა! განა ასეთი აღჭურვილობით მიდიან ციმბირში?! იგი საკმარისია ექსპედიციისათვის პოდმოსკოვში! ეს ხომ ნამცეცებია! საწყენია, საწყენი! — გაიმეორა ლენინმა და კორშუნოვი მიხვდა, რაზე ტკიოდა გული ვლადიმერ ილიჩს. — საწყენია, რომ ასეთ აღამიანებს, როგორიც თქვენა ხართ, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია მივცეთ ყველაფერი აუცილებელი, ყველაფერი, რასაც ისინი იმსახურებენ! მაგრამ არა უშავს! მოგვეცით მხოლოდ დრო!

— ა-ა... — დაბნეულად წარმოთქვა კორშუნოვმა, რომელიც ლენინს მისჩერებოდა. კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ შვებით ამოისუნთქა და ხელი ოფლიან შუბლზე გადაისვა.

ლენინი მივიდა მეცნიერთან და თანაგრძნობით კითხა:

— ლენინდე ალექსის-ძვე, თუ ჩვენ მოგცემთ მხოლოდ იმას, რაც წერია აქ, აი ამ ძლიერ მოკრძალებულ სიაში, — ხელით უჩვენა კორშუნოვს ქაღალდებზე, — გაემგზავრებით?

— ვლადიმერ ილიჩ, მე მეტზე არც ვგოცნებობ! აი გადნება თოვლი, ნოვემზადებით და წავალთ და, ღმერთმანი, მეტი არაფერი გვინდა. თქვენ ხომ ისედაც ყველა გთხოვთ, ყველას თქვენგან მიაქვს... მერე და სად უნდა იზოვოთ?

— გაემგზავრებით? — ხელახლა კითხა ლენინმა.

— დიახ, გაემგზავრებით.

— და მეტს არაფერს მოითხოვთ?

— არა, არაფერს.

— არაფერს, ლენინდე ალექსის-ძვე? — კვლავ ჩაეძია ლენინი.

— დიახ.

ლენინმა უკმაყოფილოდ ჩაახველა. შემდეგ საღდაც ქვევით, მაგიდის ქვეშ შეიხედა და ეშმაკური ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— აბა, ჩემო ბიძია, — უთხრა მან მხიარულად, მეგობრული ღიმილით, — მოდით ამ ფანჯარასთან, ლენინდე ალექსის-ძვე!

— რატომ, ვლადიმერ ილიჩ?

— მე გთხოვთ, ლენინდე ალექსის-ძვე. მოდით აი ამ ფანჯარასთან! პატივი დამდეთ, — და ლენინმა დასძინა, თან ეშმაკურად დაემუქრა თითით: — გინობთ მე თქვენ!

— არა, ვლადიმერ ილიჩ. თუ თქვენ თანახმა ხართ, მე აღარ წაგართმევთ დროს.

— არა. — გულკეთილად უთხრა ლენინმა. — მე ჯერ თანახმა არა ვარ. კეთილი ინებეთ, მოდით ამ ფანჯარასთან, ლენინდე ალექსის-ძვე.

კორშუნოვი უხალისოდ წამოდგა და გაუბედავად, თითქოს რაღაცას ელოდებოდა, შეჰყურებდა ლენინს.

მაგრამ ლენინიც არ აცილებდა თვალს.

— აბა, — უთხრა მან, — გამოდით.

— კარგი. — კორშუნოვმა გაბედა და მოშორდა მაგიდას.

ლენინმა ფეხებზე შეხედა მეცნიერს და თქვა:

— აი. სწორედ ასეა. როგორ გაემგზავრებით, ჩემო ბიძია, ტიგაში? ამ დახეული ფეხსაცმლებით, რომლებიც მოსკოვიდან მეხუთე კილომეტრზე დაიარღვევა?

— შეიძლება ამითაც. — უთხრა კორშუნოვმა. — მე მათ წვრილი თოკით... შიგნით სახვევები, ხოლო ზემოდან — ბაწარი.

— „შეიძლება“, — ჩაფიქრებით გაი-

მეორა ლენინმა. — თქვენ ხომ, გეტყობათ, მეორე არ გაქვთ?

— საიდან? იყო და დაიხა. ამას კი ვუფროთხილდები...

— „შეიძლება ამითაც“, — ისევ გაიმეორა ლენინმა. — მაპატიეთ, ლეონიდე ალექსის-ძევ. მაპატიეთ.

ლენინმა მხარზე ხელი დაადო კორშუნოვს და დასვა იგი. სახეში მიაჩერდა, ხომ არ ეწყინაო. რაკი საბოლოოდ დარწმუნდა, არ სწყინსო, დამშვიდდა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ჩვენ არაჩვეულებრივი ადამიანები გვეყავს, — თქვა მან. — აი ციოლკოვსკი. წარმოდგინეთ პროვინციული რუსული ქალაქი. სადაც ძველ ხის-სახლში, ალბათ, ბალახით დაფარულ ქუჩაზე, სადაც ბატები და ღორები დაეხეტებიან, ცხოვრობს მოხუცი მათემატიკის მასწავლებელი. ის ლებულოვს თავის ულუფას — ბურსა და ქაშაყს — და იკვლევს საპლანეტარო სივრცეში გაფრენის საკითხებს. და კიდევ, ალბათ, ცივ ოთახში ზის! და თქვენც, ჩემო ბიძია, ასეთი ხართ: ათასობით ვერსზე, ტაიგაში, ციმბირში, დახეული შტიბლეტებით!

„თქვენ კი, — გაიფიქრა კორშუნოვმა, — თქვენ კი, ვლადიმერ ილიჩ? ქვეყანაში, სადაც ყველას არც კი შეუძლია წიკითხოს სიტყვა „სოციალიზმი“, აშენებთ სოციალიზმს!“

და კორშუნოვმა უცებ ნათლად წარმოიდგინა, რომ ლენინსა და მას, კორშუნოვს, რაღაც ანათესავებს, აერთიანებს, რომ ლენინი და ის, კორშუნოვი, აკეთებენ ერთ საქმეს, და ეს საქმე მთავარია ციოლკოვსკის ცხოვრებაშიც, კალუგაში რომ ცხოვრობს და სწავლობს სამყაროს, მთავარია მშვიერი მუშების ცხო-

ვრებაშიც, რომლებიც აღადგენენ ქალაქებს, გლეხების ცხოვრებაშიც, რომლებიც მიწას კავით ხნავენ...

მეცნიერი წავიდა, ადგნებულნი და როგორღაც დამშვიდებული. მან გაირბინა კრემლი, გავიდა წითელ მოედანზე და ფიქრობდა ხვალნდელ დღეზე, ოცნებაზე, რომელიც აუცილებლად განხორციელდებოდა.

...დადგება დრო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში აბოლდება ქარხნები, ისინიც კი, რომლებიც ჯერ არ არიან, — სატრაქტორო და საავტომობილო, და რომელთა ჩანაფიქრი ესესაა იბადება ადამიანთან, პატარა ცივ კაბინეტში რომ მუშაობს... ყველასათვის მისაწვდომი იქნება პუშკინისა და ტოლსტოის სიტყვები, ვინაიდან ბნელი, ნახევრად ველური რუსეთი გადაიქცევა მთლიანი წერაკითხვის მკოდნეობის ქვეყნად. და, რასაკვირველია, სამეცნიერო ექსპედიციები მიადლწევენ ჩრდილოეთ პოლუსამდე, ვილაც ჩაეშვება ოკეანის ფსკერზე ან ავა ატმოსფეროს ზევით. და ამ ექსპედიციების ხელმძღვანელებს აღარ დასჭირდებათ ახალი უზარმაზარი სახელმწიფოს ორგანიზატორის შეწუხება მეოთხედი გირვანქა პურისათვის დღეში და თამბაქოსათვის... გამოიზრდებიან ახალი ადამიანები ახალი შეხედულებებით ადამიანის დანიშნულებაზე... ყველაფერი ეს იქნება...

საშუალო ტანის მტკიცე ადამიანი და დის კრემლის კაბინეტში, თვალუწვდენი ქვეყნის ცენტრში, ფიქრობს, ენერგიულად და სწრაფად რაღაცას იწერს კალმისტრით, რომელიც მოსწავლისა ჰგავს, — და ნათლად ხედავს ახალ საქმეებს, რომლებიც გარდაქმნიან რუსეთს.

თარგმნა ტიტე ხინთიბიძემ.



## სიკვდილიანი

\* \* \*

ყველა სულიერს თავიდან მოსდევს, —  
დაეხედება კარგი თუ ცუდი,  
პოეტის მადლი რომ არა მქონდეს,  
მწამს, ვიქნებოდი თაღლითი, ქურდი.

ვიყავ გამხდარი ისე, ვით ჩხირი,  
და მაინც მოვლიდნენ ტოლები  
გმირად.

ნახუბარი და ცხვირგატეხილი  
შინ ვბრუნდებოდი ძალიან ხშირად.

თავზარდაცემულ საბრალო დედას  
ვეტყოდი ხოლმე სისხლით  
გათხვრილი:

„ფეხი წამოგვარ ქვას უცაბედად,  
არაფერია! ხვალვე გამივლის“.

ახლა ის ცეცხლი რომ იქა ნავლად  
და გულიც აღარ მიცემს იმგვარად,

უზრუნველი და უხეში ძალა  
ჩემს პოემებზე გადმოიღვარა.

მაქვს ოქრო სიტყვის ხევი მთებური  
და სტრიქონებში რეკავს ხალისად  
გამბედობა წინანდებური  
ჩხუბისთავის და ყაჩაღანისა.

კვლავაც ზვიადი და მხნე ვარ  
ღღემდე,  
ოღონდ გავკაფე ჩემი გზაწვრილი  
და თუ კი წინათ სახეში მცემდნენ,  
ახლა სული მაქვს სისხლით  
გათხვრილი.

და უკვე როდი ვამშვიდებ დედას,  
ბრბოს ვეუბნები სულში დაჭრილი:  
„ფეხი წამოგვარ ქვას უცაბედად,  
არაფერია! ხვალვე გამივლის“.

\* \* \*

არ გიყვარვარ, აღარც შემობრალე,  
სილამაზეს ნუთუ ველარ მატყობ?  
განაბული ამარიდებ თვალებს  
და თეთრ ნკლავებს მხრებზე ნაზად მაწყობ.  
აუნთიხარ ახალგაზრდულ გრძნობებს,  
არ გეპყრობი ნაზად, აღარც ტლანქად.  
ხვეენა-კოცნით ბევრთან ილაღობე  
და ყველანი აღარც გახსოვს კარგად.

ვიცი, გაქრნენ, არვის შერჩი დიდხანს.  
შენი სიბოლო არვის ერგო წილად.  
აი ახლა ჩემს მუხლებზე ზიხარ  
ისე, როგორც სხვებს ეჯექი წინათ.  
კარგად ვხედავ შენი სახის იერს —  
სხვაზე ფიქრობ, მაგრამ როდი მიკვირს,  
მე ხომ მაინც არ მიყვარხარ ძლიერ,  
სხვისკენ მიჰქრის ახლა ჩემი ფიქრიც.  
გატაცებას ნუ მიიჩნევ ბედად  
და წუთიერ მოფერებას — წმიდად.  
ჩვენ ერთმანეთს შევხვდით უცაბედად,  
დაგტოვებ და გავიღიმებ მშვიდად.  
შენც საკუთარ გზას გაჰყვები მერე  
და როგორმე მოწყენასაც ჩაკლავ,  
მოერიდე ოღონდ უკოცნელებს,  
ხელუხლებლებს ნუ აუბნევ გზა-კვალს.  
აღბათ, ახლა სადმე სხვის გულს იგებ  
და მოჰყვები სიყვარულზე ჩმახვას.  
სეირნობა მეც მომინდეს იქნებ,  
გამოვალ და ხელმეორედ გნახავ.  
უცნობს ნხართ აეკვრები უმაღ,  
თავს დახრი და ამარიდებ პირს.  
„გამარჯობათ!“ მაინც მეტყვი ჩუმიად.  
ვიპასუხებ: „გაგიმარჯოთ, miss!“  
აღარ ვღელავ, გული უკვე მორჩა,  
წრფელი გრძნობა უკვე იქცა ნაცრად, —  
სიყვარული არ იქნება ორჯერ,  
ხელმეორედ ვეღარ დაწვავ დამწვარს.

### წერილი ქალისადმი

გახსოვთ?  
ან როგორ დაივიწყებდით:  
კედელთან ვიდექ მე  
თავდახრილი,  
თქვენ კი ლელავდით,  
ბოლთასა სცემდით  
და რაღაც მწარეს პირში მახლიდით.  
ამბობდით,  
ღროა რომ დავცილდეთო,  
რომ გაგამწარეთ,  
რომ ვარ თავნება,  
ღროა საკუთარ საქმეს მიჰხედოთ,  
მე კი —  
საშველი არ დამადგება.

ძვირფასო!  
ჩემი არ გქონდათ დარდი,  
არ გყვარებდით და ვერ ხედავდით,  
რომ ხალხის ბრბოში  
დოლის ცხენს ვგავდი  
და ღეზებს მცემდა მარჯვე მხედარი.  
თქვენ არ იცოდით,  
რომ კვამლი მფარავს,  
რომ მტანჯავს ყოფის ორომტრიალი,  
რადგან ვერ ავხსენ,  
არ ვიცი, არა,  
თუ რას გვიქადის ბედი ტიალი.  
პირისპირ მდგარი  
ვერ ხედავ სახეს.

დიდს შორიდანაც ვაარჩევ კარგად.  
როცა ზღვა ტალღას ტალღაზე ახვევს,  
საბრალო ხომალდს  
შავი დღე ადგას.

ხომალდი არის ეს დედამიწა,  
მაგრამ ვიღაცა არნახულ ძალით,  
მძლავრი მარჯვენით მის საჭეს მიწვდა,  
გააპო ქარი და ქარიშხალი.

იმ დიდ გემბანზე თავბედის წყევლით  
ვინ არ დაეცა გულარეული?  
ცოტანი იყვნენ წარბშეუხრელნი,  
ცოტანი იყვნენ ღელვას ჩვეულნი.

მე  
საქმის მცოდნედ თავი მეჭირა,  
იყო ღრიალი, ლანძღვა-გინება.  
ტრიუმში ჩაველ, რომ არ მეცქირა,  
როგორ ტანჯავდა ხალხს ლებინება.

მივადექ ტრიუმს,  
ვით რუსულ დუქანს,  
და ჭიქას ხელი ჩავჭიდებ მაგრად,  
არ მოვიხედვ არვისკენ უკან,  
სმაში მინდოდა სიცოცხლის ჩაკვლა.

ძვირფასო!  
გტანჯეთ მხევლის მაგივრად:  
რა ნაღვლიანი გქონდათ თვალები,  
როცა ხედავდით. რომ მე აშკარად  
ვიხურდავებდი თავს სკანდალებით.

თქვენ რა იცოდით,  
რომ კვამლი მფარავს,  
რომ მტანჯავს ყოფის ორომტრიალი,  
რადგან ვერ აფხსენ,  
არ ვიცი, არა,  
თუ რას გვიქადის ბედი. ტიალი...

წარვიდნენ წლები

და მეც დავდინჯდი.  
გრძნობის და აზრის შეცვლაც  
შევეძელი.  
პირსავსე ჭიქას ვიღებ ნადიმზე,  
ვაბობ: მესაჭე იყოს დღეგრძელი!

დღეს მე  
გავუღე ვული ნაზ გრძნობებს  
და კაეშნიანს გიგონებთ ცხადლივ.  
სულმოუთქმელად მინდა გაცნობით,  
როგორი ვიყავ,  
როგორი გავხდი!

ძვირფასო!  
მორჩა ჩემი დებოში,  
გავლიე ბეწვის ხიდი საზარი.  
ახლა საბჭოთა სახელმწიფოში  
ყველაზე შმაგი ვარ თანამგზავრი.

ის აღარა ვარ,  
უკვე მოვფხიზლდი.  
წინანდებურად არ დავტანჯავდით.  
თავისუფალი შრომის დროშისთვის  
მზად ვარ ვიარო თვით ლამანშამდი.

გთხოვთ მაპატიოთ...  
ვიცი, რომ შეგხვდათ.  
ჭკვიანი ქმარი.  
ცხოვრებით ტყბებით;  
არაფრად აგდებთ ჩვენს ჰაპანწყვეტას  
და მეც  
არაფრად გეპრიანებით.  
იცხოვრეთ,  
როგორც სურდეს განგებას.  
იყავით მყუდრო ჩრდილდაფენილნი.  
მახსოვხართ მუდამ.  
მოგესალმებათ  
თქვენი ნაცნობი

სერგეი ესენინი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



## ბიოგრაფიული მახასიათებელი

### სოფლის მზრუნველი

აბა შეხედეთ ჩვენი სამშობლოს რუკას! მასზე სულ პატარა ადგილი უჭირავს მზიური საქართველოს განუყოფელ ნაწილს — აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. მაგრამ საბჭოეთის დიადი ქვეყნის ამ პატარა კუთხეშიც, ისევე როგორც მზე წყლის წვეთში, არეკლილია ის უდიდესი გარდაქმნები, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე.

სულ ორმოცდაერთი წელი — ისტორიულად ძლიერ მცირე დროის მონაკვეთი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ რარიგ გადასხვაფერდა ცხოვრება განახლებულ მიწაზე! აჭარა გადაიქცა მაღალი კულტურის, ფართოდ განვითარებული მრეწველობისა და მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. ძირფესვიანად შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება შრომისადმი — უხალისო და იძულებითი მოვალეობიდან იგი გახდა თავისუფალი და სასიხარულო, კომუნისტური პრინციპებით გაქვნილი, საბჭოთა ადამიანების ერთობლივი ინტერესებით შეკავშირებული...

განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილებებია სოფლად. აჭარის კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა მეურნეობების მუშებში ყოველწლიურად ქვეყანას აძლევენ

სულ უფრო მეტ ჩაის ფოთოლს, ციტრუსოვანთა ნაყოფს, თამბაქოს, ტუნგოს, ყურძენს, ნექროველობის პროდუქტებს. აჭარის სოფლები დაიფარა სკოლების, კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, ბავშვთა ბაღებისა და ბაგების ქსელით. სოფელს ჰყავს საკუთარი ინტელიგენცია. ყველაზე შორეულ მთიან ადგილებშიც კი აკაშაშვილი ილიჩის ნათურები, ახმაურდა რადიომიმღებები.

ამ ისტორიულ გარდაქმნებში უდიდესი როლი შეასრულეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა. კომუნისტური პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ნაყოფიერი ორგანიზატორული საქმიანობის მისაბამი მაგალითი მოგვცა ქობულეთის რაიონის ციხისძირის სასოფლო საბჭომ, რომელიც სოფლის ჭეშმარიტი მზრუნველი გახდა.

...ხავერდოვან-მწვანე ჩაის ბუჩქებით, ციტრუსოვანთა ბაღებითა და ტუნგოს პლანტაციებით გარშემორტყმული ციხისძირი ხან მთის ფერდობებისაკენ მიიწევს და ხან ვაკეზე ეშვება. ცუდი სიზმარივით იგონებენ მოხუცები რევოლუციამდელ წარსულს, როცა თითქმის გაუვალ ტყეებსა და შამხნარებში აქა-იქ

მოჩანდა ღარიბი გლეხების ოცამდე ნახევრად დანგრეული ქოხი. პაწაწინა მიწის ნაკვეთები, რომლებიც იჯარით ჰქონდათ აღებული ადგილობრივი ბეგები-საგან, სიმინდის მცირე მოსავალს იძლეოდნენ და იგი სანახევროდაც არ ჰყოფნიდათ წლის სარჩოდ. მხოლოდ ზღვის პირას თუ დაინახავდით კომფორტაბელურ აგარაკებს, სადაც მეფის არმიის გენერლები ცხოვრობდნენ, და აქა-იქ სახალისოდ გაშენებულ თითო-ორილა ციტრუსოვანთა ნარგავსა თუ ჩაის ბუჩქს.

ახლა ველარ იცნობთ ციხისძირსა და მის ახლომდებარე სოფლებს!

ჩვენ ვესაუბრებით ციხისძირის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ალექსანდრე ჩხაიძეს და თვალწინ იშლება ამალე-ლევებელი სურათი არნახული გარდაქმნებისა, რაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში განიცადა სოფელმა. თვით ალექსანდრე ჩხაიძის ბიოგრაფიაც ხომ ჩვენი სოციალისტური წყობის განუსაზღვრელ შესაძლებლობათა საუკეთესო მაგალითია.

...ციხისძირში იგი ახსოვთ ჯერ კიდევ თმაქოჩორა, ცელქ ბიჭუნად, რომელიც მხარზე ტილოს ჩანთაგადაგდებული დარბოდა ტოლ-სწორებთან ერთად ადგილობრივ სკოლაში. იგი ხარბად ეწაფებოდა ცოდნას, რათა შემდგომში გამოეყენებინა მშობლიური სოფლის საკეთილდღეოდ. და აი დაამთავრა კიდევაც სკოლა და კომკავშირელი ალექსანდრე ჩხაიძე სწავლას განაგრძობს აჭარის სუბტროპიკულ კულტურათა ტექნიკუმში. ნას მტკიცედ აქვს გარკვეული მომავალი ცხოვრების გზა ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ აგროტექნიკოსად მუშაობს ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, ხოლო 1954 წელს კოლმეურნეობის ენთომოლოგა გახდა.

გავიდა ხუთი წელი. ამ დროისათვის ალექსანდრე ჩხაიძემ დაუსწრებლად დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. შრომისმოყვარე ახალგაზრდა სპეციალისტმა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიწახურა. ციხისძირის მშრომელებმა იგი დებუტატად

წარგზავნეს თავიანთ სასოფლო საბჭოში, სადაც აღმასკომის თავმჯდომარე აირჩიეს.

ასეთია აჭარელი ღარიბი გლეხის შვილის ცხოვრების გზა — რიგითი მშრომელიდან სახელმწიფო მოღვაწემდე!

და განა ნაკლებ საინტერესოა ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარის გოგოლა ასლანის ასულ კაიკაცი-შვილის ცხოვრება? როგორ შეეძლო წარსულში ჩადრით შემობურთულ გოგოლასებრ აჭარელ ქალს ეოცნება იმაზე, რომ დიდი და რთული მეურნეობის ხელმძღვანელი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი გახდებოდა?

...ყაირათიან მეურნეს ყოველთვის ბევრი გადაუღებელი საქმე აქვს. ციხისძირის სასოფლო საბჭოშიც სწორედ ასეა. სამი სოფელი შედის ამ სასოფლო საბჭოში. მათ ტერიტორიაზე გადაკინულია ციტრუსების საბჭოთა/მეურნეობა, მეჩაიე კოლმეურნეობა, დეკორატიულ მცენარეთა ორი დიდი სანერგე, შვიდი დასასვენებელი სახლი, ტურისტული ბაზა. სოფლები მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. აქ არის ერთი საშუალო, ორი რვაწლიანი, სამი დაწყებითი და სასოფლო-სამეურნეო ახალგაზრდობის საღამოს სკოლა, ამბულატორია, სამედიცინო პუნქტი, ბავშვთა ბაღები და ბაგები, მაღაზიები, სასადილოები, ოთხი კლუბი ბიბლიოთეკებითა და სტაციონარული კინოდანადგარებით.

კოლმეურნეობის კლუბში მოწყობილია ლამაზი ფოტოვიტრინა, რომელიც თვალსაჩინოდ ასახავს ციხისძირის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მიღწევებს მეურნეობის ყველა დარგში. 1954 წელს აქ მოკრიფეს 480 ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო 1961 წელს — 711 ტონა ჩაი. 1.560 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი. შვიდწლედის ბოლოსათვის სახელმწიფო ციხისძირელებისაგან მიიღეს 840 ტონა მაღალხარისხოვან ჩაის ფოთოლს და 1.650 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს. თუ შეიდი წლის წინათ თვითულ საფურაყე ძროხაზე ჩამოწველი იყო 11-192 კილოგრამი რძე, 1961

წელს. ეს ციფრი ერთობიარად გაიზარდა სასოფლო საბჭოს დასასვენებელი სახლები და ტურბაზა შარშან ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩანოსულათი ათასამდე დამსვენებელს მოემსახურა.

კულტურის ზრდაზე მეტყველებენ შესანიშნავი ფაქტები და ციფრები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ამ სოფლების მოსახლეობა მთლიანად წერა-კითხვის უცოდინარი იყო. აქ არ იყო არც ერთი სკოლა და სამედიცინო პუნქტი, არც ერთი ექიმი. ახლა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე 50-ზე მეტი სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებაა. სკოლებში სწავლობს სოფლის მშრომელთა შვიდასზე მეტი ბავშვი. ათობით ციხისძირელი ჭაბუკი და ქალიშვილი. რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს, დაბრუნდნენ მშობლიურ სოფელში. მათ შორის არიან აგრონომები როსტომ ხალვაში, ნადეჟდა ორაგველიძე, მასწავლებლები ოლეგ ოქროპირიძე, ალექსანდრე გორგილაძე, ნონა ჭყონია.

უხელმძღვანელო დიდ და რთულ მეურნეობას — ეს იმას ნიშნავს, რომ მჭიდრო კავშირი გქონდეს ადამიანებთან, აქტიურად ჩააბა ისინი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ეს კარგად ესმის სასოფლო საბჭოს აღმასკომს, რომელიც ყოველმხრივ ეხმარება მუდმივ კომისიებს. საბჭო ყოველდღიურ საქმიანობაში იზიდავს არა მარტო დეპუტატებს, არამედ ამომრჩეველთა აქტივისაც. სწორედ მათი დახმარებით აშაადებენ და საბჭოს სესიებზე რეგულარულად განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა კულტურული მშენებლობის გეგმის შესრულება, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგები, სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა სკოლებში და ა. შ. მუდმივი კომისიები სისტემატურად აბარებენ ანგარიშს სესიას, ხოლო მიღებულ გადაწყვეტილებას

ბათა შესრულებას მკაცრ კონტროლს უწევენ.

საბჭოსა და მისი დეპუტატების განიხილავს მუშაობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. უკანასკნელ დრომდე კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ბევრად უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა სასოფლო-სამეურნეო არტელებისა. ეს დიდი ხანია აღელვებდა სასოფლო-სამეურნეო კომისიას, რომლის ხელმძღვანელია გამოცდილი აგრონომი დეპუტატი გ. კობახიძე. მან გადაწყვიტა ყოველმხრივ შეესწავლა ეს საკითხი. გამოცდილი მეჩაიეებისა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოს დეპუტატების სოფიო მალაყმადისა და ნადეჟდა ხოზრევანიძის დახმარებით, გამოარკვიეს დაბალი მოსავლიანობის მიზეზები. მთავარი მათ შორის ის იყო, რომ ჩაის ბუჩქებს საკმაოდ არ კვებავდნენ ორგანული სასუქით, რაც მნიშვნელოვან სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ხელით დიდძალი სასუქის მიზიდვა მთის ფერდობებზე თითქმის შეუძლებელი იყო.

კომისიამ გადაწყვიტა ამ საკითხზე ემსჯელათ აღმასკომის სხდომაზე და დაწერილებით შეიმუშავა პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი. დეპუტატ გ. კობახიძის მოხსენების გამო აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება: პლანტაციების ყველა ნაკვეთზე თხევადი ორგანული სასუქების მისაზიდვად და მოსასხურებლად შეეძინათ სპეციალური ცისტერნა. დაადგინეს და შეასრულეს კიდევაც. სათანადო ორგანოების დახმარებით მართლაც შეიძინეს საჭირო ცისტერნა და ამის შედეგად მომდევნო სეზონში პლანტაციების მოსავლიანობა დაახლოებით 15 პროცენტით გაიზარდა.

შეუპოვრობა დასახული მიზნის მიღწევაში საბჭოს მუშაობის დამახასიათებელი თვისებაა. როცა საჭირო გახდა სოფელ განახლებაში აუშენებინათ დაწყებითი სკოლა, აღმასკომმა კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე დააყენა ეს

საკითხი. მალე გამოიყო აუცილებელი სახსრები და, თუმცა სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, სკოლის მშენებლობა მაინც დროულად დამთავრდა.

საბჭოს დებუტატები გულისხმიერად ეკიდებიან ამომრჩეველთა მოთხოვნებს, აღმასკომის წინაშე ხშირად აყენებენ ამომრჩეველთა განაწესის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. როცა საბჭოს დებუტატები ხ. დუმბაძე და ა. ბეჟანიძე ანგარიშს აბარებდნენ ამომრჩევლებს, მათ მოსთხოვეს დაჩქარებით მოეგვარებინათ სოფლის ცენტრში ახალი მალაზიის აშენების საკითხი. კოლმეურნეები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ისინი ბევრ დროს კარგავდნენ შორს განლაგებულ სავაჭროებში პირველი მოთხოვნილების საქონლის შესაძენად. დებუტატებმა საკითხი დააყენეს აღმასკომში, რომელმაც გამოიტანა სათანადო გადაწყვეტილება და მიაღწია, რომ აპარკურორტვატრობამ სასწრაფოდ დააკმაყოფილა კოლმეურნეთა მოთხოვნა — ახალი მალაზია გაიხსნა.

საბჭოს მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. ამ საქმის მოთავეები დებუტატები არიან. კოლმეურნეობის საუკეთესო მწველავმა სასოფლო საბჭოს დებუტატმა ვენერა უგრეხელიძემ, მაგალითად, ფერმასთან მოაწყო მოწინავე გამოცდილების სკოლა. ამ სკოლისადმი ინტერესი ისე დიდია, რომ მისი მსმენელები გახდნენ ხუთი მეზობელი სოფლის მეცხოველეებიც. ცნობილ მწველავს ბევრი რამ შეუძლია მოუთხროს თანამოსაქმეებს. მან ხომ თითქმის ოცდათოთხმეტი ტონა რძე მიიღო, რაც დავალებას ორი ტონით აღემატებოდა.

წყაროსავით ჩქეფს ციხისძირის სასოფლო საბჭოს მშრომელთა ცხოვრება.

კამუნიზმის ხილული ნიშნები სულ უფრო ნათლად ვლინდება კოლმეურნეთა ყოველდღიურ ყოფაში. ისინი უფასოდ სარგებლობენ ელექტროენერგიით, რადიომომსახურებით და, რაც მთავარია, ადამიანებს შორის თანდათან მტკიცდება ჭეშმარიტ მეგობრობასა და ძმობაზე დამყარებული ახალი ურთიერთობა.

...სამუშაო დღე აღმასკომში ძლიერ ადრე იწყება. თავმჯდომარის პატარა, მყუდრო კაბინეტში ყოველთვის ხალხმრავლობაა. თავმჯდომარესთან მშრომელები მიდიან სხვადასხვა საკითხის გასარკვევად. საბჭოთა მეურნეობის მუშეები, მაგალითად, მოითხოვენ ახალი სასადილოს მშენებლობის მალე დაწყებას, კოლმეურნეები — წყალსადენის გაყვანას. ამომრჩევლებს პირადი საქმეებიც აქვთ. ერთნი ახალ სახლებს იშენებენ და საშენებლო მასალებს, ტრანსპორტს ითხოვენ, მეორენი — მალაზიებში საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას, საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებას.

— დიახ, სასოფლო საბჭოს ბევრი საზრუნავი აქვს, — გვესაუბრება ალექსანდრე ჩხაიძე. — სკკპ 22-ე ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო აამძღეს საბჭოების პასუხისმგებლობა, ახალი ამოცანები დაუსახეს მათ. ამის შესაბამისად ციხისძირის სასოფლო საბჭომ თავის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინა მუშაობის ახალი ფორმები: გამსვლელი სესიები სოფლებსა და მსხვილ მეურნეობებში, ადგილებზე საზოგადოებრივი მუშაკებისაგან შემდგარი სპეციალური ჯგუფების შექმნა, რაც საბჭოს სერიოზული დასაყრდენი იქნება მის ყოველდღიურ საქმიანობაში, და სხვ.

გვჯერა, რომ ციხისძირის სასოფლო საბჭო მომავალშიც იქნება სოფლის ნამდვილი მზრუნველი და მოამავე.



## მთა ქაიკია

### ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა

ილია ჭავჭავაძე მთელი ეპოქა იყო ქართული ლიტერატურისა და ესთეტიურ-საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მის სახელს უკავშირდება ფართო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელმაც სრულიად ახალი მიმართულება მისცა ქართულ ლიტერატურას, ქართულ საზოგადოებრივ აზრს. იგი მართლაც „საუკუნის ფიქრთა მპყრობელი“ იყო. მან პირველმა შემოიტანა ჩვენს მწერლობაში ბელისკის, ჩერნიშევსკის, ლესინგისა და კაცობრიობის სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა პროგრესული ესთეტიურ-საზოგადოებრივი იდეები, პირველმა ჩასცა მომავლიდნებელი ლახვარი ე. წ. „მამების“ სქოლასტიკურ-კონსერვატორულ ესთეტიკას, ყბადაღებულ თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და საბოლოოდ დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმი, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის მეთოდი.

არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სხვა უზანოც, ილიას რომ თავისი ხელი, თავისი მძლავრი გონების ნაკვალავი არ დაეჩინოს. ქართული პრესა, ქართული თეატრი, ქართული სკოლა, კულტურა და მეცნიერება მისი ყოველდღიური ზრუნვის საგანი იყო. იგი ვახდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე საქართველოში და ფასდაუდებელი ამაღრი დასდო მშობლიურ ქართველ ხალხს ეროვნული ინტერესების დაცვასა და ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებაში.

და რა საკვირველია, თუ ხალხში წარმოუდგენლად დიდი იყო ილიას პოპულარობა და ავტორიტეტი. მის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებს ხარბად კითხულობდნენ, გატაცებით ისმენდნენ მის გამოსვლებს კრებებსა თუ საღამოებზე, მოგლენად მიაჩნდათ მისი სტუმრობა საქართველოს ყველა კუთხესა და ქალაქში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ XIX საუკუნის არც

ერთ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს არ მოუხდენია უფრო თვალსაჩინო გავლენა ხალხის გონებასა და ცხოვრებაზე, ვიდრე ეს ილია ჭავჭავაძემ შეძლო.

დიდი ილიას ასეთი პოპულარობა და იდეური ზემოქმედების ძალა, რა თქმა უნდა, მარტო მისი არაჩვეულებრივი ტალანტით არ განისაზღვრებოდა. იგი უპირველეს ყოვლისა უყვარდათ იმიტომ, რომ გაბედულად იბრძოდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იზიარებდა ეპოქის მოწინავე პროგრესულ იდეებს და ყველგან და ყოველთვის მტკიცედ იცავდა ხალხის ინტერესებს. „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჭობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“, წერდა ილია ჭავჭავაძე ჟერ კოდე 1863 წელს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ამ სიტყვების უაღრესად ერთგული დარჩა.

ხალხის ცხოვრების „გამჭობინების“ მხურვალე სურვილი ჩანს ილია ჭავჭავაძის უკვე იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ბატონყმობის მძვინვარების პერიოდში შექმნა. „ახრდილი“ და „კაკო ყაჩაღი“, „კაცია ადამიანი!“ და „გლახის ნამბობი“ ცხადყოფენ, თუ როგორ მთელი არსებით ძავდა ილია ჭავჭავაძემ ექსპლოატატორულ საზოგადოება, კერძოდ, ბატონყმობა, რომელიც ბოჭავდა ხალხის ენერჯის, აფერხებდა საქართველოს წინსვლასა და განვითარებას, აუტანელ ტანჯვა-წამებას განაცდევინებდა მშრომელ ხალხს, უპირველეს ყოვლისა კი ყმა გლეხებს. ამხილებდნენ და კიცხავდნენ რა ბატონყმური ურთიერთობის მიუღ სისამაგლეს, დიდი ილიას იმდროინდელი ლექსები, პოემები და მოთხრობები აღვივებდნენ და ზრდიდნენ ზიზღს ექსპლოატატორული კლასებისადმი, აღვივებდნენ ჩივილულტიურ აზრს, მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისა და ბედთან შეურიგებლობისაკენ, ბატონყმური სოციალური სინამდვილის სრული

მოსპობისა და მისი რევოლუციური გარდაქმნისაკენ.

რევოლუციაში და მხოლოდ რევოლუციაში ხდება ილია ქვეყნის განახლების, ძველის დაწვევისა და ახლის გამარჯვების საწინდარს, მხოლოდ მისი მეოხებით მელოდა ხალხის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებას. შემთხვევით როდი იყო, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძემ ასხენა პირველად ჩვენს ლიტერატურაში სიტყვა „რევოლუცია“ და პირველმა აშკარად გამოთქვა თავისი სიმბოთია რევოლუციისადმი. რევოლუცია „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! — წერდა იგი „მგზავრის წერილებში“. — რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვირ ჯერ უნდა აღუდღეს, აირიის-ღაირიის და მერე დაწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“.

როგორც ფიზიკელი რეალისტი-მხატვარი და პოლიტიკოსი, ილია ჭავჭავაძემ გრძნობდა მოხლოებული რევოლუციის — „განახლებისა გრიგალის ქროლას“ და თავის საუკეთესო ნაწარმოებებში მხურვალედ მიესალმა მას. დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ღრმად სჯეროდა, რომ რევოლუცია აუცილებლად გაიმარჯვებდა და ხალხს მოუტანდა დიდი ხნის ნანატრ თავისუფლებას, ძველი სამყაროს დამსხვრეულ ნანგრევებზე აღმოაცენებდა ახალ, სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებას, ახალ ცხოვრებას. ამ რწმენით, ამ იმედით არის გამსჭვალული, კერძოდ, ილიას უკვე იგი „აჩრდილი“.

ველარ განუძღვბს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას, ველარ განუძღვბს ქვეყნის მპარცველი ქემშარტებით აღძრულსა ბრძოლას, — და დამსხვრევა იგი ბორკილი შემფგრზებელი კაცთა ცხოვრების, და ახალს ნერგზზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

მაშინ, მაშვრალთ, შენც განკაცდები, წართმულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ, სხვას ძირს არ დასწვებ, თვით აღმოდლები, არც ვის ემონვი და არც იმონებ.

„არც ვის ემონვი და არც იმონებ“ — იი ადამიანთა ურთიერთობის ის იდეალი, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ ყრმობიდან სიკვდილამდე ეტრფოდა და რომლის ხორცშესხმასაც მოახმარა მთელი თავისი უზარმაზარი ტალანტი და ძალღონე. ადამიანთა აშგვარი ურთიერთობა, რა თქმა უნდა, თავისთავად გამოიცხავს ერთის მიერ მეორის რაიმე ექსპლოატაციას, რაიმე ჩაგვრას, რადგან უკლებლივ ყველა ადამიანი თავისუფალია — „არც ვის ემონვის და არც იმონებს“. ასეთი საზოგადოების სახელი დღეს საყოველთაოდ ცნობილია — მას სოციალიზმი, კომუნისმი ჰქვია. ილიასთვის, მართალია, იგი შორეულ მომავლად ჩანდა, მაგრამ მისი დღე-

ვანდელი მეგვიდრეებისათვის უკვე რეალობაა ცოცხალი სინამდვილეა.

ექსპლოატატორული საზოგადოების ვიწრო ველსა და ბედნიერი მომავლისაკენ სწრაფვასთან ერთად ილია ჭავჭავაძის ყველა მხატვრულ ნაწარმოებს წითელი ძაფითივთ გასდევს ის აზრი, რომ გლახობა, მშრომელი ადამიანები წარმოადგენენ ერის ნაღებს და სწორედ ისინი განახორციელებენ თავისთავში ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ხალხს გააჩნია. „გლახის ნამაზობშიც“ და „ოთარაანთ ქერივშიც“, „კაკო ყაჩაღშიც“ და „განდევღშიც“ ძლიერ მკაფიოდ ჩანს ხალხის წარმომადგენელთა განუზომელი ზნეობრივი უბრატესობა თავდაზნაურობასა თუ სხვა რომელიმე ექსპლოატატორულ კლასზე, მათი მაღალი მორალური თვისებები, სულიერი სიმდიდრე და სილამაზე. „ოთარაანთ ქერივის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თავადი არჩილი იძულებულია აღიაროს, რომ იმისთანა კაცურ კაცებს, როგორც ვიორგია, და იმისთანა დედაკაცებს, როგორც ოთარაანთ ქერივია, მხოლოდ ხალხი „სწნავს“ და მხოლოდ ხალხს შესწვევს მათი „შექმნის ღონე“. „მაგისთანა პური მარტო იმათ თონეში-და ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს... ჩვენ რაუც ვართ, ვაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტიშ შეკერილნი“, ამბობს იგი და საცხებით სამართლიანადღე.

რა არის იმის მიზეზი, რომ ერთნი ზნეობრივად სუბტაქნი, სულიერად მდიდარი ადამიანები არიან, მეორენი კი არა? რა ქმნის ასეთ მკვეთრ განსხვავებას მათ შორის?

ამის ძირითადი მიზეზი ერთისაგან შრომის სიყვარულია და მეორისაგან მისი სიძულვილი. ილიას აზრით, შრომა არის სწორედ ის, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს, რაც მის კაცურ კაცობას ქმნის. ამით ახსენება, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ ნაწერებში იგი ყველგან ხაზს უსვამს შრომის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მის გამაკეთილშობილებელ როლს როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე მთელი ერის ცხოვრებაში.

დამახასიათებელია, რომ ილია ჭავჭავაძის თითქმის ყველა დადებითი გამოიჩინების დეიძი შეიქმნა, ხალხის მიერ გამოზრდილი და აუცილებლად პატიოსან შრომას დაწაფებული, ხოლო უარყოფითი პერსონაჟები, როგორც წესი, თავდაზნაურობის ან სხვა რომელიმე ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელი არიან, უქმი, პარაზიტული ცხოვრების მოტრფიალენი. და ორივე ეს ბანაკი — დადებითი და უარყოფითი პერსონაჟები ერთმანეთს უპირველეს ყოველისა უპირისპირდებიან როგორც მშრომელი და არამშრომელი, როგორც მატერიალური დოვლაითის შემქმნელი და ამ დოვლაითის უშრომლად, ურცხვად მიმთვისებელი.

ბრწყინვალე თავად ლუარსაბ თათქარიძეს არ უყვარდა შრომა, მხოლოდ ჭამდა და სვამდა,

უქმ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა და, ბოლოს და ბოლოს, თითქმის მთლიანად დაკარგა ადამიანის სახე, პირუტყვამდე ჩამოქვეითდა. ამიტომ გახდა მისი სახელი საოცარი გონებაშეზღუდულობის, სულიერი სიღატაკის, უქნარობისა და მცონარეობის სინონიმი. სულ სხვა ყალიბის ადამიანები არიან გაბრო და პეპია, ოთარაანთ ქვრივი და გიორგი. ისინი ბევრათად შრომობენ, ქმნიან, იღწვიან, ცხოვრების დიდ წიგან მონდომებით სწავლობენ და თვითონაც წერენ მასში, წინ მიჰყავთ ცხოვრება. ამიტომ არიან ისინი ზნეობრივად სპეტაკი და სულიერად მდიდარი ადამიანები.

ბეჯითი, კეთილსინდისიერი და გონივრული შრომის ნამდვილი ჰიმნია ქართული პროზის მშვენიერება და სიამაყე „ოთარაანთ ქვრივი“. თვითონ გამრჯე და შრომისმოყვარე ოთარაანთ ქვრივი, ისევე, როგორც მისი ერთადერთი ვაჟი გიორგი, ყველასაგან შრომისა და შრომის სიყვარულს მოითხოვს. იგი მათხოვარს ისე არ გაიციტავდა, უქნარობისა და სიზარმაცისათვის რომ არ გაეციცხა, შრომისაკენ არ მოეწოდებინა. „დაღლია ვე შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძალსა ვით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუტია ღმერთს ვე ბარძაყის ოღენა მკლავები!..“ — თავს ესხმოდა იგი მათხოვარ დედაკაცს. „თი ვაგიხმეს ვე ხელ-ფეხი! ჩრისთვის ვასხია ეგენი მაგ მუტრუქს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია?.. ფუ, შენ ნამუსსა!..“, კიცხავდა ოთარაანთ ქვრივი მეორე გლახაკს.

არაფერს ოთარაანთ ქვრივი ისეთ პატვის არ სცემდა, როგორც პატოსან, კეთილსინდისიერი, ხალისიან შრომას და იგი ადამიანის უმთავრეს ღირსებად, სასახლოდ საქმედ მიაჩნდა. „კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. — აქებდა ხოლმე თავის ქმარს ოთარაანთ ქვრივი. — იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, — თუნდა მარტოც ყოფილიყო — ქაწორილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა“. ამ ღირსების გამო უყვარდა უპირველეს ყოვლისა ოთარაანთ ქვრივი თავისი ქმარი და სიკვდილამდე მისი ანდერძის ერთგული დარჩა — „გაისარჯე და ირჩინე თავო“. ახალგაზრდა ქვრივიც გაისარჯა — თოხსა და ბარს მოკიდა ხელი, თუმცა ბევრმა გაუმტყუნა საქციელი — „ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო!“ — თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონოთ“, წარბივთ არ შეხარა ქვრივმა და თავისი ხელით ბარადა, თოხნიდა, მარგლიდა, თესავდა და კრეფდა. „მითამ მე რითა ვარ ნაკლები ამ დამპალ გოგონაზედ! — ამბობდა და ხელშეუსვენებლივ შრომობდა. — თუ იმას ჰჰვენი ბარი და თოხი, მერა და ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი“.

შრომის ასეთმა სიყვარულმა გაახდა ოთარაანთ ქვრივი თითოთ საჩვენებელ ქალად, მან მისცა სულიერი სილამაზე და სიმდიდრე, ცხოვ-

რების სიბრძნეც და სიხარულიც. აგრეთვე თქმის საუფუნეა, რაც იგი მითხველდა ახალ და ახალ თაობებს ესაუბრებდა და ზრდის მათ შრომის სიყვარულთ, ასწავლის ცხოვრების დიდ სიბრძნეს, რომ შრომა ადამიანის ღირსების ყველაზე საიმედო საზომია, რომ ამ სოფელში ნამუხის ქუდი მარტო იმას ხურავს, ვინც დღედღამე პატიოსნად შრომობს, ვისაც შრომა კი არ ეთავილება, არამედ ეამაყება და თავმოსწონებულ საქმედ მიაჩნია.

მაგრამ შრომას მარტო ცალკეულ ადამიანთა პირად ცხოვრებაში როდი აქვს ესოდენ დიდი — გამაკეთილმობილებელი და ამკმაღლებელი მნიშვნელობა. ილიას აზრით, მას გადასწვევტი როლი ენიჭება ყოველი ერის, მთლიანად ხალხის ცხოვრებაშიც. ეს ქვეყანა არც ხმლისა და არც ოქროსი — იგი პატიოსანი შრომისაა. თუ მან, შრომამ არ შექმნა, ვერც ხმალი მიიტაცებს და ვერც ოქრო იყიდის რასმე. თუ ერმა გუთანს ხელი შეუშვა, შრომა შეიძულა და დაივიწყა, მისი დაცემაც ამ დღედღამე დაიწყება. მას ვერც ხმალი იხსნის და ვერც ოქრო. რატომ გაქრა დიდი რომი? იმიტომ, რომ „მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანს კი არა“. რატომ მტვრად აღგველ იქმნენ? მონღოლები? იმიტომ, რომ „მარტო ხმალი დაუჭერეს“, მარტო, ხმალი მიენდენენ“. რაღამ გადაარჩინა ქართველი ერი, ეს ერთი მუჰა ხალხი? „ჩვენი ერი რომ დედაძმისა შერჩა და დედაძმისა ერსა, — წერდა ილია ერთ-ერთ სტატიაში, — ეგ იმიტომ, რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანს დასაბამიდანვე დღემდე“ (თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 123).

გუთნის, შრომის მნიშვნელობა, ილიას სიტყვით, განსაკუთრებით გაიხარა ახალ ეპოქაში, როცა ხმალით ვაჟაკობა გაუქმდა და შრომის ვაჟაკობამ სარბიელი გაიფართოვა. „ქვეყანა ეს-ლა იმისია, — წერდა ილია ჰაქვავაძე, — ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარვისა... დღეს მძლეობა-მძლეობა მარტო ის, ვინც ცვილია და ბეჯითი სულითა და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა“ (იქვე, გვ. 13). რა თქმა უნდა, ესეც ომია, მაგრამ უსისხლო, მშვიდობიანი და წყნარი. მან არც ბუკი იცის და არც ნაღარი, მაგრამ ამის გამო ნაკლებ საშიში როდია. პირიქით, თუ ქართველი კაცი ვერ გაითვალისწინებდა დროის მოთხოვნას, შრომასა და გარჯას წინ ვერ შეაგებებდა, წინ ვერ დაუყენებდა შრომასა და გარჯას, მაშინ მის საშობოლს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრებოდა. „ხმალი მოსუფლმა ვერა დაგვაკლო-რა, — წერდა ილია ჰაქვავაძე ერთ-ერთ სტატიაში. — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსუფლიკი თან ვაგვიტანს, ღებ-ქვეშიდად მიწას გამოვაცლის, სახელს გავვიჭრობს, ვაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებინან“ (იქვე). ამიტომ იყო, რომ თავის სათაყვანო ქართველ ხალხს დიდი ილია გულ-



მხსრვალედ მოუწოდებდა: „გუთანი, ქართველებო, გუთანი!.. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ“ (იქვე, გვ. 123).

აი როგორ განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე შრომასა და გარჯას, რა ვადამწყვეტ ფაქტორად მიანდა იგი მთელი ერის ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, მან ისიც კარგად იცოდა, რომ შრომა ტყვეობაში იყო, რომ ექსპლოატატორული საზოგადოება ადამიანს კი არ უძლიერებს, პირიქით, უსპობს შრომის სტრუქტურას და ხალისს, რამდენადაც ნაამაგარ-ნაშრომი სხვას, ექსპლოატატორს მიაქვს. ილიას ეს დიდი უსამართლობად მიანდა და ჯერ კიდევ „აჩრდილი“ ალფთოებით წერდა: „ვინა შრომობდა და ვინა ჰძლებდა, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?“

ილია იმის მომხრე იყო, რომ ნაშრომი ყველას სწორად მელო, ე. ი. საზოგადოებას ეცნო შრომების უფლება მის ნაამაგარ-ნაოფლარზე. ალექსანდრე „დამაკვირდი“, რომელიც 1886 წელს გამოაქვეყნა, დიდმა ქართველმა პოეტმა ერთ-მანეთს გააპაექრა ჰუთა და გული. ჰუთის პასუხად, რომ მოსავალი ჩემით მოჰყავთ ადამიანებსო, გული ამბობს:

გვენეს, რომ ერგოს ყველას სწორად,  
და შენ ეს ვერ გაქმნევენე, —  
არ იქმნა, ჰუთავ, მადლის გზა  
მე შენ ვერ დაგაქმნევენე.

მაშასადამე, ერთისაგან მეორის ნაშრომის მითვისებას ილია უსამართლობად, ცოდვად თვლიდა, ხოლო მის სწორად განაწილებას — მადლად, სამართლიანობად. ამიტომ იყო, რომ იგი მტკიცედ მოითხოვდა შრომის განთავისუფლებას, შრომის ახსნას, რაც საშუალებას მისცემდა ყველა ადამიანს თავი გამოეჩინა, ეშრომა შემოქმედებითად, მთელი გაცაცებითა და ხალისით და ამით ამიღლებულიყო, მრეგოვებინა კაცური კაცის ღირსებაში, „განაცხებელიყო“. ილიას აზრით, ეს წარმოადგენდა კაცობრიობის უმთავრეს საზრუნავს, უმთავრეს ამოცანას მის საუქუნში:

შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,  
მპარცველობის ქვემ ჩავრულ-ენებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
და დასამხვრევლად გამოადებულა.  
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
ძღვევაჰოსილის ამ საუქუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის მედგარადა იბრძვის.

„შრომის ახსნა“ და „შრომის სუფევის“ დამკვიდრება მრავალმხრივი სიკეთის შემცველად უსახებლად დიდ ილიას. გარდა იმისა, რომ მოსობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას და ამიღლებდა ადამიანის პიროვნებას, გაამდიდრებდა და გაასპეტაკებდა მის სულსა სამყაროს, იგი ამავე დროს გახდებოდა ადამიანთა შორის ახალი დამოკიდებულების საფუძველი, მათი ურთიერთობიდან განდევნიდა მტრობას, ჭიჭიბობას, ძალმომრეობას და გაამარჯვებინებდა

ჰუმანიზმს, კაცთმოყვარეობას, ძმობასა და მეგობრობას:

მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან  
ძმობა, ერთობა. თავისუფლება,  
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან  
კაცთმოყვარება და სათნობა.

(„აჩრდილი“)

ძნელია უკეთ გადმოსცე ექსპლოატატორული საზოგადოების მთელი სიყალბე, მისი თვალთმაქცობა და ანტიჰუმანიზმი. ადამიანი, მისი ღირსება იქ შეურაცხყოფილი და დამცირებულია, მას არაფერ არაფერად ავლნებს, განსაკუთრებით კი „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და თვით საზოგადოებას, რომელიც თითქმის მოწოდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები. ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძე აუხმებდრდა ამ უსამართლობას და თვითუწლისაგან მოითხოვდა თავისი საქციელი-სათვის წინ წარემძღვარებინა კაცთმოყვარეობა და სათნობა, პატივი ეცა სხვებისათვის, ეხელმძღვანელა ჰუმანიზმის დიადი პრინციპებით, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი და შესაძლებელი იყო ექსპლოატატორულ საზოგადოებაში. იგი ამტკიცებდა, რომ არავის უფლება არ ჰქონდა ხელეყო პიროვნების თავისუფლება, ლაფში ამოეგვარა და გაეხრისა ადამიანის ღირსება, თუ, რა თქმა უნდა, თვითონ პიროვნება არ ჩაიღვნდა მძიმე დანაშაულს ხალხის წინაშე. „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინიღობა, — წერდა ილია, — მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს...“ (თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 167).

ადამიანებმა, ამბობდა ილია, საზოგადოება და სახელმწიფო შექმნეს ერთი გარკვეული მიზნით — უზრუნველყეთ ბედნიერების მოპოვება, აღვეკეთათ ძლიერისაგან სუსტის დაჩაგვრა, ძალმომრეობა და ერთმანეთზე მისევა. მაგრამ, შენიშნავდა დიდი ქართველი მწერალი, ერთმაც და მეორემაც, საზოგადოებამაც და სახელმწიფომაც დაივიწყა, თუ რა მიზნით შექმნეს ისინი ადამიანებმა და, ნაცვლად იმისა, რომ მომსახურებოდნენ მათ, დახმარებოდნენ ბედნიერების მოპოვებაში, თვითონ ვაპატრონდნენ ადამიანებზე. და ილიამ ვაგებდულად აღიმაღლა ხმა საზოგადოების, სახელმწიფოს თვითნებობის წინააღმდეგ, მოითხოვა, რომ ადამიანს, საზოგადოებას და სახელმწიფოს თავ-თავის ადგილი დაეკავებინათ, „ერთმანეთში თვითოეული მათგანი სრულის კუთვნილის უფლებით და მოვალეობით“ მოთავსებულიყვნენ.

მაგრამ ეს-მისწრაფება „შრომის ახსნამდე“, „შრომის სუფევის“ დამკვიდრებამდე იდეალად რჩებოდა. სინამდვილეში სახელმწიფო და საზოგადოება, თვით ადამიანებიც ხშირად არაერთარ ანგარიშს არ უწყევდნენ ცალკეულ პიროვნებათა ღირსებას და უხეშად ფეხქვეშ თელავდნენ მის თავისუფლებას. „ღღე-აქამოდღე ადამიანი,



— წერდა ილია ჭავჭავაძე, — გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატივსახეობა, სინდისი და ერთობ ყოველივე—რაც კი შეადგენს უძვირფასეს ზნეობის კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად ღირსავენდ მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორად მჩვრად ვაგვიხდია და ისე ვცემვეით, როგორც ფეხის მტერისა“ (იქვე, გვ. 166-167).

ბრწყინვალე მოთხრობაში „საჩინოებლავდ“ ილია ჭავჭავაძემ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა, თუ როგორ უპირობიარდებთან ერთმანეთს ექსპლოატატორულ საზოგადოებაში პიროვნება და სახელმწიფო, პიროვნება და საზოგადოება, თუ რა დამლუპველი შედეგი შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების გულგრილობას ცალკეულ პიროვნებათა ბედისადმი, მათი უფლებების უგულვებელყოფას. არაფერ არ დაიკვა ორი პატარა ობოლი უხეში და მტარვალი მამინაცვლისაგან, არაფერ არ გაუწოდა მათ დახმარების ხელი და, ადამიანებზე, საზოგადოებაზე გაბორბტებულნი, ისინი დანაშაულის, ბოროტ-მოქმედების გზას დაადგენ, რათა მძარცველობით, ავკაცობით თავიც დაერჩინათ და შურიც ეძიათ. საზოგადოებამ, სახელმწიფომ ისინი დახაჯა ამისათვის, მაგრამ ვინ იყო ნამდვილი დანაშაუნი? საზოგადოება, სახელმწიფო ასე ხშირად სჯის ადამიანებს იმ დანაშაულისათვის, რაშიც უპირველეს ყოვლისა თვითონ ისინი, სახელმწიფო და კანონი არიან დანაშაუენი. მოსპეთ დანაშაულის წარმოშობი მიზეზი და მოისპობა მისი შედეგის — დანაშაული. საზოგადოებას რომ ფეხქვეშ არ გაეთელა ობოლების უფლებანი, ისინი აღორღებოდნენ კეთილ, სასარგებლო ადამიანებად და ცოდვის მაგივრად მადლს დასთესდნენ.

ასევე მტკიცედ, გადაჭრით ილაშქრებდა ილია ჭავჭავაძე ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ, გმობდა სისხლიან ომებს, გამაღებულ შეიარაღებას, მილიტარისტები რომ ეწეოდნენ, და ყოველი კეთილი ნების ადამიანის გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა თვალდახებული ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისათვის.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა გამოდის საყოველთაო განიარაღების ინიციატორად და მშვიდობის მდგომარე მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით სასიამოვნოა აღნიშნოს, რომ დიდი ილია ამ საქმეშიც ჩვენთან არის. თავის დროზე მან სასაში სპეციალური სტატია დაწერა გამაღებულ შეიარაღების, ე. წ. მილიტარიზმის წინააღმდეგ და ამხილა იგი, როგორც აშკარად ანტიხალხური პოლიტიკა. „რასაც ვეროა პრემიის, რაც მოჰყავს და რასაც აკეთებს, თითქმის სულ ეს მილიტარიზმის სავითაა ჰყლაპავს და სარჩოსაბადებელს მოკლებული უმრავლესობა ჰჩივის და ჰდრტიუნავს“ (თხზ., ტ. IX, 1957 წ., გვ. 301).

საინტერესოა აღნიშნოს, რომ ილიას დროინდელი იმპერიალისტები უსიარაკოდ აღხადებდნენ, თითქმის მშვიდობის დასაცავად იარა-

ღდებოდნენ და არა ომის წადილით, ქვეყნებში წისა და დოვლათის მოსატაცებლად. მისთვის მიხედვით, რაშიც რაზემდე ეწეობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, უმატებენ, თოფსა და ხარბახანს და ტყვიაწამალს აზხადებენ და მაინც ვევეფიებანი, რომ მშვიდობიანობის მეტოგულში არა ვეაქვს-რაო“, დაცინებ წერდა დიდი ქართველი მწერალი და დასძენდა, ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა“ ერთი დიდი უბედურებააო“. გაბედულად იბრძოდა რა ახალი ომების მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ვერობის მილიტარიზმა და ამერიკის მერმისი“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღერა... კაცობრიობის ბედნიერებასა და კეთილდღეობის სულის შემშუთავი და დამლუპავიაო“ (თხზ., ტ. IX, 1957 წ., გვ. 51).

თავისი დროის მწვევე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გვერდით ილია ჭავჭავაძის მხატვრულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია ეროვნულ პრობლემას, რომლის სწორად გადაწყვეტაც დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ისეთ გადაუღებელ ამოცანად მიაჩნდა, რომელზეც ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოსა და ქართველი ხალხის მომავალი. კიდევ მეტი, ილიას აზრით, ეროვნული საკითხი „ერთი უდიდესი საპოლიტიკო საგანი“ იყო მთელი რუსეთის იმპერიისათვის და მოითხოვდა მის გონივრულ, ე. ი. ისე გადაწყვეტას, რომ არც ერთი ერის ინტერესები არ შელახულიყო და ყველა მთავანს ჰქონოდა წინსვლისა და განვითარების შეუზღუდველი შესაძლებლობანი.

ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ილია ჭავჭავაძე სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო. მაგრამ ქართველი ხალხის ინტერესებს რომ იცავდა, იგი ძლიერ შორს იდგა რაიმე ვიწროსოციალისტურ-შოვინისტური მისწრაფებებისაგან. ჯერ კიდევ 1863 წელს ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიკეთე კი ყველად საზიზღარია, ქართველი იქნება მისი მექონი, თუ ანგლილო“ (თხზ., ტ. III, 1953 წ., გვ. 169). მას სიბრძოვე და უკეთურ საქციელად მიაჩნდა საკუთარ ერის მეტისმეტოდაუმსახურებელი განდიდება და სხვა ერის აუგად მოხსენიება-შურთაცხეოვა.

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედგენებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ედგება პატიოსანისა და ჭკუთამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატიეცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება — დიდად სათავილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს. თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადლები, თავისი სულთაწყრაფვა, თავისი ღირსება. ამ-

აგვის შეგინება ერთი იმისთანა სიბრძნეა, რომელიც გონებაგანსნის ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“ (თხზ., ტ. VIII, 1957 წ., გვ. 97).

თვითონ დაჩაგრული ერის შვილი, ილია ჭავჭავაძე, ბუნებრივია, ყველგან და ყოველთვის მტკიცედ ილაშქრებდა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ნიღაბს ხდოდა, გაბედულად ამხილებდა იმპერიალისტებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ და ყოველი ღონისძიებით აღვივებდნენ ეროვნულ შუღლს, ეროვნულ მტრობას. როცა 1895 წელს ოსმალეთში დაიწყო სომხთა — ამ ქვეყნის ეროვნული უმცირესობის პატაროსული რბევა-აწიოყება, რომელმაც მთელი ცივილიზებული მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო, ილია ჭავჭავაძე დაუყოვნებლივ გამოეცხადოდა სომეხ მოსახლეობას და დავით ოსმალეთის სახელმწიფოს მესვეურთა ეს მხეცური ნაბეჭი. ამავე დროს მან განაცხადა, რომ სომეხი მოსახლეობა გასწირეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმაც, რომლებსაც, თუ სურვილი ექნებოდათ, შეეძლოთ „ერთი რიხიანი სიტყვით“ ენა მუცელში ჩაეგდოთ ოსმალეთისათვის და შეეწყვიტათ ხალხის გაუფანჯრის ხოცვა-ჟლეტა. მაგრამ იმპერიალისტებმა სხვა გზა აირჩიეს — თანდათან ეგოისტური მიზნებისათვის მათ შეგნებულად გასწირეს სომეხი ხალხი. „აშკარაა, — წერდა ილია ჭავჭავაძე სტატიაში „ოსმალეთის სომეხთა განწირვა“, — სომეხების საქმე და ერთობ ოსმალეთისაც განგებ ირევა, აცა — წყალი იქნება როგორმე აიძვრეს, რომ ზადე კარგად მოხვდეს. ამასობაში ძლიერისაგან სუსტი იხაგრება თუ არა, აისი დარდი და ნაღველი არაჲისა აქვს“ (თხზ., ტ. IX, 1957 წ., გვ. 143).

ერთ რომელიმე სახელმწიფოში ეროვნულ უმცირესობათა ასეთი თუ სხვა სახის ჩაგვრისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ ყოველი პატიოსანი და გონიერი ადამიანის ღირსების საქმედ მიაჩნდა, მაგრამ განსაკუთრებით მკაცრად გამოხატა იგი კოლონიალიზმს, კოლონიურ სისტემას, როგორც ეროვნული ჩაგვრის ყველაზე მახინჯ ფორმას, და მსურველად უჭერდა მხარს კოლონიურ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სადაც არ უნდა გაჩაღებულიყო იგი — აზიაში, აფრიკაში თუ სხვაგან.

„კოლონიზატორებმა უნდა დატოვონ კოლონიები, თავისუფლება მისცენ დამონებულ ხალხებს“ — ასეთია ძირითადი აზრი, ძირითადი იდეა ილია ჭავჭავაძის სტატიისა „ევროპის დიდი და პატარა ინაგრები“, რომელიც 1890 წელს გამოქვეყნდა. ამ სტატიის საბაზი ვახდა ინგლის-პორტუგალიის დავა აფრიკაში ერთი კოლონიური ქვეყნის თაობაზე, რომელიც წინათ პორტუგალიის ეკუთვნოდა, მაგრამ ერთ დღეს ინგლისმა მოიწადინა მისი ხელში ჩაგდება და წადილი შეისრულა კიდევაც — ან ხელს ვინ შეუშლიდა: პატარა პორტუგალიას რა შეეძლო გაეწყვიტა ინგლისთან? „სადა ერთის მხრით პირდაღ-

ბული ვეშაპია და მეორეს მხრით — მობუზული კრია, იქ, ესლანდელს დროში, სამართალს და ეკითხებოდა ვინმე?..“, წერდა ილია, მაგრამ შენიშნავდა: კაცმა რომ თქვას, აფრიკის იმ ქვეყანასთან ან ერთს რა ხელი აქვს, ან მეორესს, და პორტუგალიას პატარა, ხოლო ინგლისს დიდი ინაგრა უწყობდა. „სამართალი, იძახის პორტუგალია, — დაასვენდა ილია ჭავჭავაძე, — ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. ხილამაც მოსულხართ, იქვე წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონებო — იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესწინხართ ჰიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? (თხზ., ტ. IX, 1957 წ., გვ. 60).

ეს სამართალი მართლაც არასდ იყო, მაგრამ მოწინავე საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო ირახმებოდა კოლონიალიზმის, სამარცხვინო კოლონიური ომებისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ. ამას ცხადყოფდა ინგლის-ბურების ომისა და კაცობრიობის მოწინავე მოღვაწელთა დამოკიდებულება. „ხელანდელმა ომმა ინგლისსამ და ტრანსკაპალისამ, — წერდა ილია ჭავჭავაძე სტატიაში „მეცხრამეტე საუკუნე“, — სხვას აღარ ეტყვი, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა პთავილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისგან, თავდახმის“ (თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 8). ეს კი დიდ ქართველ მწერალს ნუგეშს აძლევდა, იმედს განუშტკიცებდა, რომ პროგრესული კაცობრიობა, ბოლოს და ბოლოს, შეძლებდა იმუღებელი ვახდა იმპერიალისტები წსულეყვნენ კოლონიებიდან. ხელი აეღოთ კოლონიურ სისტემასა და კოლონიური ხალხების უსირცხვილო ძარცვა-გლეჯაზე.

ასეთი პოზიცია ეროვნულ საკითხში თავისთავად გულისხმობდა ხალხთა ძმობა-მეგობრობას და ილია ჭავჭავაძემ ძალიან ბევრი ვაჟიცა ხალხთა მეგობრობის იდეის პოპულარიზაციისათვის საერთოდ, კერძოდ კი ქართველი ერის მეგობრობის განსამტკიცებლად რუსეთის იმპერიის ყველა ხალხთან. უპირველეს ყოვლისა დიდ რუს ხალხთან. იგი მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთთან საქართველოს შეერთების განუზომებელ პროგრესულ მნიშვნელობას ქართველი ხალხის ისტორიაში და მკაცრად აკრიტიკებდა ყველას, ვინც კი რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებას მოითხოვდა. ილია ჭავჭავაძის მტკიცე რწმენით, რუს და ქართველი ხალხებს ერთი გზა ჰქონდათ და ერთად უნდა ევლოთ, ერთად ებრძოლათ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მოსაოცებლად.

ილია ჭავჭავაძე უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა რუს ხალხს, რუსულ ლიტერატურას, კულტურასა და მეცნიერებას, ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა რუსული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის ფრიალ კეთილყოფიერ გავლენას ქართველი ხალხის ცხოვრებაზე. თერგდაღებულია თაობაო, წერდა იგი ერთ-ერთ სტატიაში, „აღზრდილი და განსწავლუ-

ლი იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიც, ისიც რუსულის შემწეობით. კიდევ მეტი — „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გავცილო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვითქვით, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით ვაზრდლა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუვია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ (თხზ., ტ. VIII, 1957 წ., გვ. 332).

რუსული ლიტერატურა-მეცნიერების ესოდენ დიდი მნიშვნელობის გამო ილია ჭავჭავაძე აუცილებლად თვლიდა იგი ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა ყველა ქართველს. ეს, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ქართული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, ხალხის წინსვლას განუხრებელი პროგრესის გზით. რუსული ენის შესწავლა ჩვენთვის, ქართველებსათვის, წერდა ილია, აუცილებელია არა მარტო იმის გამო, რომ „იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ესლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება-გახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის. იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან“ (თხზ., ტ. IV, 1953 წ., გვ. 287). ამიტომ მოითხოვდა ილია მკვეთრად გაედიდებინათ რუსული ენის საათების რაოდენობა ქართულ სკოლებში და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მისი სწავლებისათვის მშობლიურ ქართულ ენასთან ერთად.

ასე ეხმაურება ილია ჭავჭავაძის მოწინავე იდეებში ჩვენი გმირულ თანამედროვეობას, ჩვენს დღევანდელობას. ეხმაურება იმიტომ, რომ ილია მუდამ ხალხთან იყო და სინამდვილის თითქმის ყოველ მოვლენას ხალხის თვალსაზრისით განიხილავდა და ასახავდა. იგი იყო თავისი ეპოქის შვილი, მაგრამ მარტო აწმყოთი არ ცხოვრობდა და მომავალსაც ჭკერტდა, მომავალსაც უსწორებდა თვალს. იგი არც ვიწრო-ეროვნულ ჩარჩოებში ჩამწყვედულა — მას აღეღებდა არა

მარტო საყვარელი საქართველოს, არამედ მისი კაცობრიობის ბედიც. დიდ მხატვრულ ლანტთან ერთად სწორედ ამით მიიჭრებოდა გორც საკუთარი ხალხის, ისე სხვა ხალხების ყურადღებაც. მისი ბევრი ნაწარმოები ჯერ კიდევ რევოლუციამდე გახდა ცნობილი რუსი და ევროპელი მკითხველისათვის. ილიას ლექსები, პოემები, მოთხრობები ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. მაგრამ განსაკუთრებით იზრდება ილია ჭავჭავაძის პოპულარობა ჩვენს დროში და იგი თანდათან იხვევს საქვეყნოდ ცნობილი მწერლის სახელს.

და რა დასაზნაია, რომ ეს დიდი ქართველი, ეს დიდი მსოფლიო მოქალაქე ვერაგულად გამოასალმეს სიცოცხლეს ქართულ მიწაზე. მასზე შური იძიეს შაირაზმელმა კონტრრევოლუციონერებმა, რომლებმაც ილიას არ აბატიეს ხალხის ქომავლობა, ხალხის ინტერესების დაცვა, ხალხთან მჭიდრო კავშირი და დაქირავებული მკვლევების საზიზღარი ხელით ბოლო მოუღეს მის საგურამოს გზაზე, დღეს საქვეყნოდ ცნობილ წიწამურთან. წიწამურის ტრაგედიას რომ ამხადებდნენ, ხალხის მტრებს იმედი ჰქონდათ, რომ ილიას მოკვლით მის საქმესაც, მის იდეებსაც მოსპობდნენ. მაგრამ მოხდა პირიქით. საშობლოს თავისუფლებისა და ხალხის სოციალური ბედნიერებისათვის მებრძოლებმა კიდევ უფრო შეამპიდროვეს თავისი რიგები. სხვახარად არც შეიძლებოდა, რადგან შეუძლებელია მოსპო იდეა და საქმე, რომლებიც ხალხის ცხოვრების წიაღიდან ამოიზარდნენ და ხალხის გულში დაიდეს ბინა. ამ აზრით თქვა ილიას გლოვის დღეებში ერთმა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, ილიას მკვლევებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენო.

ხანი გადის. ილია ჭავჭავაძის მხატვრული მემკვიდრეობა კი კვლავ რჩება ხალხის არსენალში. ილია დღესაც ჩვენი თანამედროვეა, დღესაც ჩვენთან არის, ჩვენთან ერთად იბრძვის კაცობრიობის ყველაზე სასუქვარი იდეალების განხორციელებისათვის. ეს კი დიდი, ჭეშმარიტი შემოქმედის, ნამდვილი სახალხო მწერლის ზედრია და სავსებით მართალი იყო ილიას დიდი თანამესაგრე, ქართული ლიტერატურის მეორე დედაბოძი აკაკი წერეთელი, როცა თქვა:

აწ ილია არ მომკვდარა,  
მამულისთვის რჩება ლამპრად.



## ნაზი ნოლირედი

### აჭარის დიდი მოამბე

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე დაუცხრომლად ზრუნავდა საყვარელი სამშობლოს ბედნიერებისათვის, მისი ყოველი მხარისა და კუთხის განმტკიცება-აღორძინებისათვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა იგი თურქ დამპყრობთა მიერ მიტაცებული აჭარისადმი და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ეს მშვენიერი კუთხე კვლავ დაუბრუნდებოდა დედა-სამშობლოს.

რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური კონფლიქტის მომწიფების პერიოდში, სამოცდაათიანი წლების მიწურულში, ილია თავისი მახვილი კალმით, ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილებით ზრდიდა და აღრმავებდა ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნებას, მოუწოდებდა ქართველობას რუსი მხედრობის მხარდამხარ გამირულად ებრძოლათ სამხრეთ საქართველოს შემოერთებისათვის, საქართველოს ეროვნული ორგანიზმის გამთლიანებისათვის. ახასიათებდა რა ე. წ. ოსმალის საქართველოს, იგი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ წარსულში სამხრეთ საქართველო წარმოადგენდა ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას: „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, — წერდა ილია. — ჩვენი სიცოცხლეს იქ უჩქვინდია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქილამ ეფინებოდა ჩვენი ქვეყანასა ერთ დროს“ (თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 11-12).

ამ შესანიშნავი მხარის თურქთა ბატონობისაგან დასხნისა და საქართველოსთან შეერთებისათვის ილია ფართოდ იყენებდა ქართულ პრესას. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები „ივერია“, „დროება“, „კარბული“, „სასოფლო გა-

ზეთი“ და სხვები ხშირად აქვეყნებდნენ მასალებს სამხრეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის განთავისუფლების აუცილებლობის შესახებ. ჭერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას ილია გულისტკივლით აღნიშნავდა, რომ „ოსმალეთს უჭირავს... ქობულეთი, აჭარა, შავშეთ-ერუშეთი, ლაზისტანი და ჭანეთი“ და რომ დამპყრობლებმა უთანასწორო ბრძოლაში ხელში ჩაიგდეს საქართველოს უმშვენიერესი კულტურული მხარე. „ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, დალატმა, შავით მოსიღმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად ღვაწლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოღონენი“ (იქვე, გვ. 13). შემდეგ ილია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დამპყრობლებმა, მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა, ვერ შეძლეს მიტაცებული ტერიტორიის მცხოვრებთა გულიდან საქართველოს სიყვარულის ამოშლა, მათ მხოლოდ სარწმუნოების შეცვლა, დაპყრობილთა გამაჰმადიანება მოახერხეს.

„სარწმუნოებით ისინი მაჰმადიანები არიან, მაგრამ ჩვეულებით, ხასიათით და ენით დღესაც ქართველი არიან, თითქმის ყოველსფერში, ქართული ენა თითქმის შეუცვლელი აქვთ, შინაურობაში დღესაც დიდი და პატარა ქართულს ლაპარაკობს, მიწერ-მოწერაშიაც ერთმანეთში ქართულს ხმარობენ!“ — წერდა ილია და იქვე განმარტავდა, რომ დედა-სამშობლოსთან აჭარისა და სამხრეთ საქართველოს დაბრუნების შემდეგ სარწმუნოებრივ სხვაობას არ შეეძლო რაიმე უარყოფითი კვალი დაეჩინა რომელიმე მხარის შემდგომი ურთიერთობისათვის, რადგან ქართველებს სარწმუნოება ოდითვე მიაჩნდათ სინდისისა და რწმენის საქმედ და სხვა ხალხების სარწმუნოებას მუდამ პატივს სცემდნენ. „ჩვენი ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ

ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩავრა და დენა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამჟამ ჩვენ ვერაფერს ვერ წვაყყედობენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოვებდნენ მშვიდობის-სყოფელს საენგესა და სინილისის თავისუფლებასა“ (თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 13).

მეტად საგულისხმოა ამავე სტატიის დასკვნითი ნაწილი, სადაც ილია ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა მომავალ ურთიერთობაზე ლაპარაკობს: „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს... არ გვაშინებს მეთაქ ჩვენ ის გაერთობა, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალისა საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ. ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევეუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და... დიდის ხნის განწოვრებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდნენ თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიდოვოს, ნუთუ ქართველი უკუ-დრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მაჰმადიანთა...“ (იქვე, გვ. 13-14).

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელშიც ქართველნი რუსეთის არმიასთან მხარდამხარ იბრძოდნენ, რუსეთის გამარჯვების დამთავრდა. ფრთა შეესხა ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი პატრიოტების ოცნებას — საქართველოს დაუბრუნდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ტერიტორიის დიდი ნაწილი. ბერლინის ხელშეკრულებით 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის განმათავისუფლებელი ჯარის ნაწილი თავი ბათუმში შემოვიდნენ.

აჭარის განთავისუფლებით აღფრთოვანებულ ილია ჭავჭავაძე 1879 წლის იანვარში „ივერიაში“ წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრივ შარშანდელი წელიწადი ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“ (თხზ., ტ. V, 1955 წ. გვ. 18).

ახლად შემოერთებულ თანამემამულეებს დიდი და ყოველმხრივი დახმარება ეკირებოდათ. ამიტომ იყო, რომ ი. ჭავჭავაძე ყოველ ქართველს მისთვის ჩვეული მგზნებარებით მოუწოდებდა: „აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დანახებებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებს! ეხლა შენ იცი, როგორ დაუშტკიცებ ქვეყანას მაჰმადიანთა ანდერძს: „ძმა მისთვისა და შვედლისთვისა!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ანდერძი

შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სასვე საქმე... ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალსათვისაც სწეს და ჰფიქრობ!“ (იქვე, გვ. 31-32).

ეს დახმარება მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ ომმა გააჩანავა აჭარა-ქობულეთი, ბევრი უსახლკაროდ და ულუქმაპუროდ დარჩა. ამავე დროს მეფის მოხელეები დახმარების მაგივრად ავიწროებდნენ მოსახლეობას, რაც მაშინვე გამოიყენეს ოსმალების აგენტებმა და შეეცადნენ გზა-კვალი აერიან ახლად შემოერთებული ქართველებისთვის. ამის გამო დიდი ილია გულის-ტკივილით წერდა:

„აჭარელები და ქობულეთელები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსიადამ მოუღიან... აჭარა და ქობულეთი ომის მოგდება გახდა ბედმა. იქ იღვა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალისი. ჯარების ღვობა, მამენტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია, კეთილს არ დააყრდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არავინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში“ (იქვე, გვ. 27).

აჭარა-ქობულეთის მდგომარეობით გულნატკენმა და შეწუხებულმა ილიამ მისთვის ჩვეული გულისხმევრებით მიმართა მთელ საქართველოს, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა ტანჯვა-გაპირებებაში ჩაყარდნილი მოძმეებისათვის: „აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მავ ყოფაში ჩაყარდნილი და გვერდით ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა სიტყვად თუ ბევრად შეუძლიან და არ შევლის. ქართველობავ, ნუ იქმ მავ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუწოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაქარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთვე მოვიდნენ! შევეწვიეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საქმლით, საცემლით, ხორავით!... აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაპირებულების ძმები ვართ, ძმები!... ეს არასდროს და არას შემხსხვევამ არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ მომავალ გამოკევანა ჩვენი ბედი, ამ მომავალ ჩვენის ბედნიერების ეკირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!“ (იქვე, გვ. 30-31).

ამ მხურვალე მოწოდებამ დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოს ყველა კუთხეში. დიდი და პატარა აღსდგა ვასპირში მყოფ მოძმეთა დასახმარებლად. „ივერიისა“ და „დროების“ რედაქციები სისტემატურად იღებდნენ შემოწირულებებს და აქვეყნებდნენ შემწირველთა ვინაობას. ამ გზით დიდი ეკონომიური დახმარება გაეწია აჭარის მოსახლეობას. მაგრამ დიდი ილია მარტო მატერიალური დახმარებით როდი კმაყოფილდ-



ბოდა და ახლად შემოერთებულ მხარეში სწავ-  
ლა-განათლების შეტანასა და მოსახლეობის კულ-  
ტურული დონის მკვეთრად ამაღლებას მოით-  
ხოვდა. აჭარა-ქობულეთში სკოლების გახსნა და  
ამ მხარეში ქართული კულტურის კვლავ აღორ-  
ძინება მას მიაჩნდა საქართველოს შემდგომი გაძ-  
ლიერება-განმტკიცების ერთ-ერთ პირობად.

„ეხლა დავაშკივებთ, — წერდა ილია, — მა-  
რთლა გვინდა თუ არა ქობულეთლები ნამდვი-  
ლად ჩვენი მოძმენი ვახდნენ და როგორც ლაპა-  
რაკით, ისე წერა-კითხვით სრულად შემოგვი-  
ერთდნენ.“

თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთე-  
ბაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარ-  
მოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუ-  
ძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი  
ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვა-  
ლად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში  
რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამარ-  
თოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ  
მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭა-  
რისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს  
სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ,  
იმათ ოსმალოს ხელში ჩაეარდნის დრომდე ყო-  
ფილა“ (იქვე, გვ. 46).

ილია ჭავჭავაძე წლების მანძილზე მუშაობდა  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების  
თავმჯდომარედ. და ამ პერიოდში მთელი რივი  
ლონისძიებანი მიიღო აჭარაში სწავლა-განათლე-  
ბის განვითარებისათვის. 1881 წლის მარტში იგი  
ჩამოვიდა ბათუმში და მოლაპარაკება ჰქონდა  
ბათუმის გუბერნატორ კომაროვთან. მალე ბათუ-

ზოგადოების ქართული სკოლა, რომელშიც  
შიც ამ კუთხის მრავალი ნიჭიერი ახალ-  
გაზრდა აღიზარდა. შემდეგ წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები აჭა-  
რის სოფელ ადგილებშიც გაიხსნა. ასე,  
რომ ილია იყო აჭარაში სწავლა-განათლებისა და  
კულტურული აღმავლობის წამომწყები და სუ-  
ლისჩამდგმელი.

როგორც ცნობილია, ილიას საერთოდ არ უყ-  
ვარდა მოგზაურობა. მიუხედავად ამისა, იგი არა-  
ერთხელ ჩამოვიდა ბათუმში და, როგორც მწე-  
რალი ნინო ნაკაშიძე იგონებს, ძლიერ წუხდა,  
რომ საშუალება არ მიეცა შედარებით ხანგრძლი-  
ვად ეცხოვრა აჭარაში, რათა უფრო ახლო კაე-  
ცნო ეს შესანიშნავი კუთხე.

დღეს, როდესაც მთელი ქართველი ხალხი აი-  
ყვარულით აღნიშნავს თავისი სასიქაღულო შეი-  
ლის დაბადების 125 წლისთავს, სხვებთან ერ-  
თად ილიას ამაგს და ზრუნვას დიდი მადლიერე-  
ბის გრძნობით იგონებენ საბჭოთა აჭარის მშრო-  
მელები. სრულყოფილად გამართლდა დიდი ქარ-  
თველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის  
იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „რაც ილიას  
დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლე-  
ლობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი  
იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი  
საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში  
მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი  
ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სუ-  
რათი, როგორც უძვირფასესი და სათაყვანო  
ხატი“.



## იბრაჰიმ აბაშიძე

### ნარსულის ერთი უჩრცელი

ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ გერონტი ქიქოძემ მიაშობო ერთი საინტერესო სადღეგრძელოს შესახებ, რომელიც მემედ აბაშიძეს (მამაჩემს) წარმოუთქვამს ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად ერთ დიდ სანადიმო სუფრაზე თვითონ ილიას თანდასწრებით.

აი, რა მიაშობო გერონტი ქიქოძემ:

„ეს მოხდა თბილისში, ქართველი მოღვაწის ოჯახში, სადაც ინტელიგენციას ნადიმი მოეწყო ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად. ნადიმს ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები და მოქანდაკეები. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი მემედ აბაშიძე.

საპატიო ადგილზე ილია იჯდა და დამსწრეთა ყურადღებას მისიკენ იყო მიმართული. პირველი სასმისი ილია ჭავჭავაძის პატივსაცემად მემედ ბეგს შესთავაზეს, როგორც სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენელს და ქართველ პატრიოტს.

მემედ ბეგი მძიმედ წამოღდა და აზარფეშა მიიღო. სუფრა სმენად გადაიქცა, მაგრამ!..

აქ უცნაური რამ მოხდა...

მემედ ბეგმა მორიდებით მოიხშო დიასახლისი და სთხოვა აზარფეშა ღვინის მაგივრად ბუნებრივი წყლით შეეცო. დიასახლისმა გაიოცა, მაგრამ მემედ ბეგის პატივისცემით გაოცება დაძლია და მისი თხოვნის შესასრულებლად ოთახიდან გავიდა.

ღუმელი ჩამოვარდა... სახტად დარჩენილი ვერ გარკვეულიყვნენ, რა უნდა მომხდარიყო... ყველანი მორიდებით შეეცქეროდით ილიას, რო-

მელსაც ჯერ სახე აუწითლდა, ხოლო შემდეგ სიშავემ გადაკრა.

გვარძნობდით, რომ რაღაც უჩვეულო უნდა მომხდარიყო...

ჩვენ მტკიცედ გვწამდა მემედ ბეგის, ვიცოდით, თავს არ შეირცხვენდა, გაამართლებდა სადღეგრძელოს, მაგრამ მაინც რაღაც ახლის, შეუცნობელის მოლოდინში გავინაბეთ.

ამ არაჩვეულებრივ მდგომარეობაში გაისმა მემედ ბეგის ღინჯი და შთამაგონებელი ხმა. ჯერ ნელა, ხოლო შემდეგ თანდათან გაძლიერდა...

„მე უფლებას ვერ მივცემ ჩემს თავს, რომ ღვინით — ამ ხელოვნური სითხით დაველიო სადღეგრძელო იმ ადამიანისა, რომელსაც საეცებით სამართლიანად საქართველოს გონიერებას ეუწოდებ.

ბოღის ვითხოვ თანამესუფრეებთან, მაგრამ ღვინო ზოგჯერ საწნახელში ფეხის ნაეჟრიც არის და ამიტომ მას ხელოვნურობის ლაქა ბუნებრივად გაყვება.

მე ამ დიდბუნებოვანი ადამიანის, ჩვენი ერის მოძღვრის სადღეგრძელო ბუნების წყლით მსურს დაველიო, რადგან ეს უფრო შეესაბამება მის უანგარო და ფაქიზ ბუნებას.

არაბთა ბრძნული თქმისა არ იყო, „წყლით სულდგმულობს დედამიწაზე ყოველი“. ჩვენ ყველას გაგვიცდია წყურვილის ძალა. რამდენჯერ თავდავიწყებით დავწაფებვივართ მას და ბუნების ამ მაცოცხლებელი წყლით დავინაპავსჯერ მხურვალეებისაგან შემშრალი ბავენი, ხოლო შემდეგ რა აუწერელი სიამით გვიგვრძნია მისი სისველე შინაგან.



ქვემოთა  
წიგნი

აღმოსავლეთის გამოჩენილი მგოსნების პოე-  
ზიაში წყალს საპატიო ადგილი ეთმობოდა, ისინი  
თავიანთი საყვარელი ადამიანების სისპეტაკეს  
წყლის სიწმინდეს აღარებდნენ და წყლის დი-  
ნების საამო ხმას აიგივებდნენ მიჯნურთა ბუტ-  
ბუტთან.

და მეც, როგორც თქვენს თანამესუფრეს,  
სრული შეგნებით მსურს წყლით შევსვა ჩვენი  
ერის სასიქადულო შვილის, ჩვენი ილიას სად-  
ღეგრძელო, როგორც უსაყვარლესი და უსპეტა-  
კესი ადამიანისა“.

ასე დაამთავრა მემედ ბეგმა ილიას სადღეგრ-  
ძელო და შესვა აზარფეშაში ჩასხმული წყალი.

ჩვენ, მემედ ბეგის მკვერმეტყველებით აღვრთო-  
ვანებულნი, ახლა თამამად შევცქეროდით ილიას,  
რომელსაც სახე ვადარებდლოდა. იგი კმაყოფი-  
ლებით წამოღგა და შუბლზე ეამბორა მემედ  
ბეგს“.

გერონტი ქიქოძის ეს ნაამბობი შევახსენე მა-  
მაჩემს და შევეკითხე, მართალია-მეთქი?  
„მართალია, შვილო“, დამიდასტურა მამაჩემმა.

და დღეს, როცა საქართველო ესოდენ დიდო-  
სიყვარულით აღნიშნავს თავისი სახელოვანი და  
საამაყო შვილის ილია ქავჭავაძის დაბადების 125-  
წლისთავს, შეუძლებლად ვცანი გვერდი ამეგ-  
ლო გერონტი ქიქოძის ამ მოგონებისათვის.



### პიეზოკრაზია

## ნამდვილი და ყალბი ნოვატორების შესახებ

ყველა ქვეყანაში, ყველა დროში იყვნენ და იქნებიან ნამდვილი და ყალბი, ცრუ ნოვატორები, იყვნენ და იქნებიან დიდი და პატარა მწერლებიც; ოღონდ ნამდვილად კი იყვნენ მწერლები და დიდ-პატარაობა ოდნავადაც ვერ შეუშლის ხელს, რომ ხალხი მათ სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდეს არა მხოლოდ სიცოცხლეში, არამედ შემდეგაც; ხალხის სიყვარული დიდად გამძლე ძალაა, ის თაობიდან თაობაზე ვადადის, მუდამ ცოცხლობს და იმათ მოგვაგონებს, რომელთა გასახსენებლადაც არის ხალხის გულიდან აღმოცენებული. ამის გამოა, რომ ჩვენ, წარსული დროის ყველა დიდ მწერალთან ერთად, პატარა მწერალიც ბედნიერად აღამიანად მიგვაჩნია. უბედური მხოლოდ ის არის, ვინც სიცოცხლეში მოხერხებით, სხვადასხვა მანქანებით თავი დიდ მწერლად გაუსაღებია, სინამდვილეში კი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „არამც თუ დიდი, პატარაც არ ბრძანდება ის კურთხეული“.

ბუნებით პატარა მწერალი სჯერდება პატარა სახელს, ვინაიდან ახარებს გულწრფელი განცდის, გულწრფელი შრომის შედეგად მოპოვებული თუნდაც მცირე გამარჯვება. ბუნებით არა-მწერალი (მწერალზე გვაქვს ლაპარაკი, მაგრამ მასთან ერთად, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიგულისხმეთ მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი, ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენელიც) ყოველთვის დიდი მწერლის სახელსიყვან მიიღობის, ვინაიდან სინამდვილეში არაფრის შემქმნელი არ არის, მას თავისი შემოქმედებიდან ისეთი გატაცებით, როგორც ჭეშმარიტ მწერლებს სჩვევიათ, არაფერი არ უყვარს, და ამიტომაც, რომ დიდი მწერლის სახელისაკენ თავშეუკავებლად მიისწრაფის.

დიდი მწერლის სახელის მოსურნე არამწერალი; მრავალ სხვა იარაღს შორის, ყოველ დროში უმთავრეს იარაღად თითქოს ახლის, თითქოს ძველისაგან განსხვავებულის შექმნას იყენებდა.

ამ იარაღს ცრუნოვატორები ყველა დროში მიმართავდნენ. სანამ განვმარტავდეთ, თუ რატომ არის ამ იარაღით ბრძოლა მათთვის ხელსაყრელი, მანამდე მოვავგონებთ მკითხველებს, რომ ბუნებით არამწერლებს ილიას დროშიც შეუწუხებით საზოგადოება და მათ ილია ჭავჭავაძის ამგვარი გულისწყრომა გამოუწვევიათ: „აიღებენ და რის და ვისი ათვალისწინებაც უნდათ, იმას მიაკერებენ ხოლმე მარტო ერთ სიტყვას: „ძველიაო“, და საქმე მათის ფიქრით გათავებულა და დამში მოსული. რა თქმა უნდა, ამნარის ფარ-ხმალით შემოპარი დიდის ტყვია-წამლის პატრონი არ უნდა იყოს“. იმავე ადამიანებზე, იმავე წერილში ილიას ნათქვამი აქვს: „გონებაში ჩავარდნილ ჭკვამთაყოფელ კაცისთვის-კი სათაკილოა მაგისთანა იარაღის ხელში ჭერა, იმიტომ რომ არასდროს ქვეყანაზედ არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, არც მეტის-მეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი“.

არა გვგონია, რომ მკითხველმა სწორად არ გაიგოს ილიას ნათქვამი, მაგრამ მაინც ხაზგასმით შევნიშნავთ: ილიას ტალახად ხელოვნებაში მხოლოდ სიახლით შემოსილი სიყალბე მიანდა, ისევე, როგორც კარგად არ მიიჩნევდა ყველაფერს, რაც ძველი იყო. ილიას რომ ყველაფერი ნამდვილად ნოვატორული ხიზლავდა, ეს, თუნდაც, ვაჟასადმი დამოკიდებულებაში გამოხატა; ძველს, ზოგიერთების მიერ თუნდაც დიდ განაღ

\* განხილვის წესით.

მიხედულს. ყველაფერს რომ პატივს არ სცემდა, ილიამ ჩანჩუხბაძისადმი დამოკიდებულებაში გამოამყვანა.

ყველა დიდი მწერალი, ჩვენი აზრით, ნოვატორია. ნოვატორულ ნაწარმოებებს ზოგჯერ პატარა მწერალიც კმნის, მაგრამ ნოვატორულ ნაწარმოებს ვერასდროს ვერ შექმნის სწორედ ნოვატორობისათვის თავებამოდებული, დიდი მწერლის სახელის მაძიებელი, ყალბი მწერალი.

მაშ რატომ იჩემებენ ამგვარი ადამიანები ნოვატორობას ყოველ დროში? იმიტომ, რომ „ძველებურის“, თანაც კარგის შექმნა მათ ძალას აღემტებთ, „ახლებური“ კი ორჩივრებზე შემდგარ რამესაც შეუძლიათ უწოდონ.

საბოლოო გამარჯვებას ყალბი ნოვატორები ვერასდროს ვერ აღწევენ, დროებით კი ხშირად. ძველი საუკუნეებიდან ჩვენს დრომდე ათასობით ადამიანი ყოფილა, რომელსაც სინოცხლებში დიდი ნოვატორი მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის, თუ თეატრის მოღვაწის სახელი ჰქონდათ, მაგრამ დღეს მხოლოდ დავიწყების მტვერი ფარავთ; პატარა შემოქმედთ კი, დიდ შემოქმედთა გვერდით, ხალხი დღესაც დიდ სიყვარულით იხსენიებს.

საქმე რომ მხოლოდ ამით თავდებოდეს, კიდევ არა უშავს. საქმე ის არის, ხომ ხელოვნების განვითარების საქმეში ყალბი ნოვატორებს დიდი ზიანიც მოაქვთ. რაკი შთაგონების გარეშე მცხოვრები ადამიანები არიან, წარსულის მავალითებიდან ვციკით, რომ მათ დიდი დრო რჩებათ „ორგანიზაციული“ საქმიანობისათვის და ამის გამო მიქეზართ. ანუ, ილიას სიტყვით რომ ეთქვას, „ჰაშას მკვრელებს“ მრავალს შთულობენ, ნამდვილ შემოქმედთ გუნდთან უფუჭებენ, არასასურველი ჩვევების დანერგვით საზოგადოებას მორალურ და ხშირად მატერიალურ ზარალსაც აყენებენ.

მართალია, როგორც აღვნიშნეთ, ამგვარი ადამიანები ხელოვნებაში საბოლოო დამკვიდრებას ვერ ახერხებენ, მაგრამ ხანმოკლე მანძილზე რომ მოჩვენებითი ეფექტისათვის მიუღწევიან, ამას კარგისა და ავის მუდამ კარგად გამომცნობი ილია გვიდასტურებს: „ხომ ასეა, მაგრამ ზემოსხენებულ ყალბის მწერლებმა იმოდენა მოგდანი მიიპოვეს ჩვენს უმეტარს წერილფეხობაში, რომ ჩვენი ბუღალრის აკადემიამ ესეა კარგა საკმაოდ დიდი წრეა მკითხველებისა, რომელიცა ჰუმარობს ავისა და კარგის გასარჩევად მარტორის სიტყვას: „ძველია, ახალია“. შემოსხენებულ ყალბის მწერლებს ეს ორი სიტყვა დაუხვევით ხელზე და სხვა ყოველფერში რომ უღონონი არიან, თითონ „ახლობით“ იწონებენ თავს და სხვას კი „ძველობით“ ჰქუნიან. მოგახსენებთ, ამისთანა მანერამ მწერლობაში დიდი ხანია იქაც თავისი დრო მოჰპაე, საცა დაიბადა და საცა პირველი გაჩნდა ქვეყნის სასაცილოდ“.

რატომ იპყრობენ ხალხს ყურადღებას ყალბი ნოვატორები? მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ

ხალხს ტრაფარტისაგან გაქცევა, პერმანენტული სიხალე, — არათუ ხელოვნებაში, არამედ ყველდღიურ ყოფაცხოვრებაშიც, — წყურია. ამ გარემოებით მოხერხებულად სარგებლობენ მწერლის თუ სხვა სახის შემოქმედის სახელის მაძიებელნი და ფიქრობენ, თუ შონაა, რალა პატარა მწერლის, დიდი მწერლის სახელი შევიძინოთ. ისინი, როგორც შევნიშნეთ, მიქებრებსაც შთულობენ, თავიანთი „შემოქმედებისათვის“ მოსარგებ თეორიებს აყალიბებენ და, თუ დროებით გამარჯვებას შეიძლება გამარჯვება ვუწოდოთ, საწადელსაც აღწევენ.

იმის საბუთად, რომ ახალი ხელოვნების მანტიით შემოსილი ყალბი შემოქმედნი ზოგჯერ დროებით იმარჯვებენ და თანაც საზოგადოებისათვის ზარალი მოაქვთ, გვიხსენებთ ერთს მაგალიტს საქართველოს სინამდვილიდან. იმ დროს ახალმა, დღეს უკვე ძველმა მიმდინარეობამ — კუბიზმმა, თავისი დამკაშების დახმარებით იმდენი შეძლო, რომ ჩვენს საყვარელ რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლად ცნობილი შენობა ააგო. მაგრამ მისი არაფერზე დაფუძნებული პრეტენციოზული ტქერა ვერ აიტანა ხალხმა და აიძულეს შენობების ანსამბლიდან უდროოდ და უკვალოდ წასულიყო. ასეთივე ბედი ეწევა იმ ცრუნოვატორულ ნაწარმოებებსაც, რომლებიც ამჟამად ლიტერატურის პროსპექტზე დგანან. მათზე ჩვენ არ მივუთითებთ, არც იმ ლექსებს, მოთხრობებს, დრამატულ ნაწარმოებებს მოვივლით, რომელთაც ერთ დროს დიდ ხობტას ასხამდნენ და დღეს უკვე აღარ არიან. ყველა ესენი თვით მკითხველმა გაიხსენოს. ჩვენი დროის ხელოვნების მოღვაწეთაგან მხოლოდ იმათზე მივუთითებთ, რომელთაც ნამდვილ ნოვატორებად ვთვლით. თანაც შევეცდებით ვთქვათ, თუ რის გამო ვთვლით მათ ნოვატორებად. ჩვენ ნამდვილ ნოვატორებად მიგვაჩნია: მუსიკაში — ზაქარია ფალაშვილი, მხატვრობაში — ლადო გუდიაშვილი, პოეზიაში — გალაკტიონ ტაბიძე. რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ ამ სახის მოღვაწეთა რიცხვი მხოლოდ ამ სიით განისაზღვრება. დღეს ჩვენ მრავალი გვყავს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგში სახელოვანი და ხალხისათვის საყვარელი მოღვაწე, მაგრამ სხვამ სხვებზე, ჩვენ კი დღესდღეობით მხოლოდ შემოსხენებულთა შესახებ გვსურს ჩამოუვადოთ მკითხველებს საუბარი, ისიც მხოლოდ იმ მიზნით, რომ ნაწილობრივ მაინც მოვახსენოთ მკითხველს, თუ ვის და რის გამო ვთვლით ნოვატორად.

ნოვატორობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, ხელოვნების ყველა დარგში, ფორმის სიხალეცაა. მაგრამ ფორმის სიხალე ნოვატორული ნაწარმოებისათვის, ჩვენი აზრით, ყოველთვის არ არის სავალდებულო, ახალი იდეის,

ახალი განცდების გამხელას კი ყველა ნოვატორული ნაწარმოებისაგან მოვითხოვთ; მთავარია, ახალი სამყარო დავანახოს შემოქმედმა, ის კი სულერთია, ამას ძველი ხერხებით შეძლებს, თუ ახლით. მივალითად, ზაქარია ფალიაშვილის ოპერების ფორმა ძველია; მუსიკის ცოდნაზე წვენი თავს არ ვლებთ, მაგრამ ვგონებთ არ ვცდებით, თუ კი ვიტყვი, რომ ფორმის მხრივ ამ კომპოზიტორის ნაწარმოებებში ახალს ბევრს ვერაფერს ვიპოვით.

ზ. ფალიაშვილის მიერ ძველი ფორმით შექმნილ ოპერებში საზოგადოებამ ახალი სამყარო იპოვა; ამ ოპერებმა ნაწინაობა ფორმით უცნობი ამბები მოუთხოხრეს საზოგადოებას. რა ამბებს ჰყვებიან ეს ოპერები? იმას, რომ ქვეყნად არსებობს ერთი ლამაზი კუთხე, რომელსაც საქართველო ეწოდება და რომლის მკვიდრი ისეთივე დიდი აღმინაური ვნებებით ცხოვრობენ, როგორც ცხოვრობენ (ლევანდებში, მხატვრულ ნაწარმოებებში) კაცობრიობისათვის სხვა საოცნებო მხარეების მკვიდრნი; ხალხი ხელდავს და კვლავაც დაინახავს, რომ ამ ქვეყნის მთავორებს, მღინარეებს, კოშკებს ზ. ფალიაშვილის ოქრები, განცდები ნისლივით ეხვევა. ესეც, რა თქმა უნდა, მიმზიდველს ხდის მის მიერ დახატულ სამყაროს. ნოვატორია (უფრო რომ ვთქვათ, ჰემმარტი შემოქმედია) მუსიკაში ამ ახალი სამყაროს ძველი ფორმით დამხატავი ზ. ფალიაშვილი, მაგრამ ნოვატორად ვერ ჩავთვლით იმ შემოქმედს, რომელიც ახალ ფორმაში არა თავისას, არამედ სხვებისგან ნასესხებ განცდებს მოათავსებს. ლადო გუდიაშვილი იმის გამო კი არ მიგვაჩნია ნოვატორ მხატვრად, რომ ახალი, რეალისტი მხატვრებისაგან განსხვავებული მანერით ხატავდა, არამედ იმის გამო, რომ მან თავისი განცდების, საგნების თავისებულოდ ხილვა და მოვლენების თავისებური აღქმა გვაგრძნობინა; ნოვატორ შემოქმედს შეუძლია ძველი ფორმა ისესხოს, მაგრამ სხვისი აზრების, განცდების სესხება შეუძლებელია. მახსოვს, ერთ დღოს მრავალი მიმდევარი ჰყავდა დიდი მხატვრის სახლის მოსურნე ახალგაზრდებში ლადო გუდიაშვილს, ღღეს ისინი, როგორც მხატვრები, არ ცოცხლობენ, მაგრამ არა იმის გამო, რომ გუდიაშვილის ხატვის მანერა ვერ ათვისეს (სხვათა შორის, ამას ეპიგონები ძლიერ ადვილად ახერხებენ), არამედ იმის გამო, რომ მათ არ გააჩნდათ ამ ფორმის შესატყვისი საკუთარი განცდები, საგნებისა და მოვლენების საკუთარი აღქმა.

ერთ რამესაც გავახსენებთ მკითხველს: თუ ნოვატორები პოეზიაში, თეატრში, მუსიკაში, მხატვრობაში ყოველთვის იმას აცხადებდნენ, რომ ძიებაში ვართო, ძიებას განვავტობთო, იმათი ავან-ჩაიანი მებოტებენ ამას უწონებდნენ, იმას კი არ უფიქრდებოდნენ, რომ ლექსი (ხელოვნების სხვა სახის ნიმუშებიც) უკვე ნაპოვნის ვას-

ხეოსნებაა, მისი გამოვლინებაა, რომ წყნარად ბელია იმის გამოამტყუნება, რაც საუკეთესოდ ჩერ არ ჩანს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ძლიერ გავახარა სწორედ ნოვატორობით სახელგანთქმული მხატვრის პაბლო პიკასოს განცხადებამ, რომელიც „ლიტერატურული გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა. პიკასო ამბობს: „მეწმირად მდებენ ბრალად სხვადასხვა ცოდვას, მაგრამ ამ ბრალდებათაგან ყველაზე დაუსაბუთებელია ის, რომ თითქოს ჩემი მუშაობის მთავარი მიზანი იყო ძიება (ხედავთ, ძიებას პიკასო ბრალდებად უყენებს შემოქმედს. — ვ. გ.). როცა ვხატავ, მინდა ვაჩვენო ის, რაც აღმოვაჩინე და არა ის, რასაც ვეძებ“. ჰემმარტიმა მხატვარმა მაძიებელი შემოქმედის სახელწოდება შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ მოვიგონოთ რაღდენი პოეტი ჩაღვა გამარჯვებული შემოქმედის პოზაში იმის გამო, რომ მასზე თქვენს მათემატიკურ პოეტია, რაღაცას, — თვით არ იცის რას, — დაეძებს.

პიკასოს ზემოთ მოყვანილი მოსაზრება ჩვენ ახლა შევიტყვეთ, მაგრამ ამავე მოსაზრებას ლიტერატურის საკითხებით დანიტერესებულ მკითხველი ამ რამდენიმე წლის წინათაც გავიცნობოდა იმავე „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე. მოვიყვანთ ერთ ადგილს სხენებულ წერილიდან, მაგრამ აქვე ბოლიშვაც ვიხილო მკითხველის წინაშე, ვინაიდან სხენებული წერილი ჩვენ გვეკუთვნის. იქ ნათქვამია: „ჰემმარტი პოეტი ყოველთვის ადვილად პოულობს ფორმას თავისი ლექსებისათვის, ვინაიდან ფორმას თვით სათქმელი კარნახობს. ფორმალისტი პოეტი კი მუდამ ფორმის ძიებაშია, ვინაიდან არაფერი არ აქვს სათქმელი, და ამის გამო სწრაფად ვერ ირკვევა თუ რომელ ფორმას მიმართოს. ფორმა თავიანთი ლექსებისათვის ბაირონმა, ბარათაშვილმა, პუშკინმა, ლერმონტოვმა თექვსმეტი წლის ასაკში იპოვეს, ფორმალისტი პოეტი კი ორმოცდაათი წლის ასაკს ვადასწორდება და ნაინც ფორმის ძიებაშია“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წ., № 38).

ვალკატონ ტაბიძეს ფორმის მხრივ მრავალი სიახლე ახასიათებს, მაგრამ მან ბევრი ლექსი შექმნა ეგრეთწოდებული „ძეგლი ფორმითაც“; მისი განცდები ხან ახალი, ხან ძველი ფორმით გვევლინებოდნენ; როდესაც ეს განცდანი ნამდვილად პოეტური და დიადი იყო, ძველ ფორმასაც იმშვენებდნენ და ახალსაც. გავიხსენებთ გ. ტაბიძის ერთ ლექსს, რომლის ფორმას არა თუ სიახლე არ ახასიათებს. არამედ ფორმის მხრივ შეიძლება ტრივიალურ ლექსადაც მოგჩვენოს მკითხველს, ჯერ მთლიანად ამოწყურთ ამ ლექსს და შემდეგ შევნიშნავთ, თუ რის გამო მიგვაჩნია ეს სხვების მიერ მრავალჯერ გამოყენებული ფორმით შექმნილი ლექსი ნოვატორულად, ესე იგი ჰემმარტი ლექსად.

შორს, ზურმუხტისფერ სივრცეს იქონიან  
სანთლები ჩანდა,  
დასასვენებლად მიიწვედა იქ მებღაურნი;  
ერთხელ ზღვა გასწყრა, აირია, გაეჩინა და,  
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურზაური.  
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა.  
მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს,  
მისთვის ერთია სად დახუჭავს ოცნება  
თვალებს,  
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს  
და ბრწყინავს...  
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს  
იდეალებს!

ამ ლექსის სიტყვიერი მასალა ტალღების „ვაი-ვიშით“, „აურზაურით“ და „იდეალებით“, რითმები, თვით პეიზაჟი კი თითქოს ადრე შექმნილ სხვათა ფერმართალი ლექსების კუთვნილებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ლექსი მაინც იზიდავს ჩვენს გულს და, ოქროს პატარა თასივით, მაინც გვაწვდის პოეზიის ნექტარს. და ეს იმის გამო ხდება, რომ გვხიზლავს მისი შექმნილის ოდნე გულბრუნველი, მაგრამ ძალზე მართალი, ტრაგიზმით დაბინძურებული განცდა. ეს განცდა პოეტისა ამგვარი წუხილის გამოხატელობაა: კარგი, სპეტაკი, ადამიანებისათვის შევების მომტანი იდეალებისკენ მივისწრაფი; თვით ეს იდეალები სანთლებივით ბრწყინავენ, ციმციმებენ, თავისკენ მიზნობენ, მათ ვარაუშე სხობრება არც მე მსურსო. მიადრწია თუ არა იმ იდეალებს ვალაკტიონმა, ამის მტკიცებას ჩვენ არ შევუძლებთ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამგვარი წუხილის გამოხატელობა ლექსების ვალაკტიონმა საქართველოს გარშემო სანთლებივით შემოაწყობა; მის სანუკვარ ქვეყანას იმ სანთლების ნათელი შუაგულამდე წვდება ყოველი მხრიდან, რათა დაგვანახოს მისი მკვიდრი ლამაზი ადამიანების ეზოები, ორღობეები, სარკმლები.

ამის შემდეგ ჩვენ ვუბრუნდებით იმ საკითხს, რომელმაც კალამი ავგაღებინა ხელში. ჩვენ გვკვრება, რომ პატარა მწერალი, თუკი ის ნამდვილად მწერალია, თავისი თავის უკმაყოფილო არასოდეს არ იქნება; ჩვენ გვკვრება, რომ იოსებ დავითაშვილი, მაგალითად, კმაყოფილი იყო თავისი შემოქმედებით და არ ინატრებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების ავტორობას, მიუხედავად იმისა, რომ ის უთუოდ დიდ და სათაყვანებელ მწერლად მიაჩნდა. მიზეზი ამისა ადვილად ასახსნელია: პატარა მწერალსაც იგივე სურვი-

ლი ამოძრავებს, რაც დიდს, პატარა მწერალსაც თავისი ინდივიდუალობის გამძლეობა სურს და არა სხვისი; სხვისი ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელ პოზაში მხოლოდ ერთ მწერალი დგება, ვინაიდან საკუთარი არ გააჩნია და თავისკენ არაფერი არ ეზიდება.

დიდი მწერლის გვერდით რომ პატარა მწერალსაც არ ეიფყვებს ხალხი, რომ პატარა მწერლის მეგვედრეობასაც სიყვარულით ეყარობა, ამას ილია ქავჭავაძე ამტკიცებს სწორედ ნ. ბარათაშვილისა და ი. დავითაშვილისადმი დამოკიდებულებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი ილიასათვის, — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, — ლეითსაგან ქართველი ერის განსაზღვრებლად გამოგზავნილი კაცია, მაგრამ ილია მოკრძალებით თავს ხრის ნ. ბარათაშვილთან შედარებით პატარა ძალის პოეტის ი. დავითაშვილის წინაშე. ილიას, ი. დავითაშვილის ერთ ლექსთან დაკავშირებით, ნათქვამი აქვს: „ეს აზრები, ეს გრძობა, ეს სიტყვა ქარით მობერილი არ არის. ეს მარგალიტები იმ ზღვიდამ არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან. აქ არაფერია ნათხოვარი; არაფერია ვანგებ ჩაძახილი და მერე ამოძახილი. აქ თავის დიდებას, თავის დიდებულებოვანობას, სულგრძელობას თითონ ერი მეცყველებს, თითონ ერი ჰლადადებს ერთის თავის ქეშმარიტი შვილის ბავთია!“

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ ამ წერილში განვიხილეთ, სწორედ დიდი და პატარა ძალის მწერლებზე აქვს დიდ ილიას ნათქვამი: „რა თქმა უნდა, რომ ერთიანობის უხევეთ არ არის ყველა ამ მადლით მიმადლებული. ამაშიც არის დიდ-პატარაობა. მაგრამ დიდი თუ პატარა, რაკი ცოტად თუ ბევრად ამ მადლის მქონია, იგი რჩეულია მრავალთა შორის და ეს რჩეულობა არის სამართლიანი მიზეზი და საბუთი, რომლის ძალითაც ერს შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: ეს კაცი ჩვენგანიაო“.

ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხის დაუღალავ მეკვლევარს ს. მაკალათიას ძამის ხეობაში ერთი ჩუქურთმიანი ქვა უპოვია ასეთი წარწერით: „1882 წ. იოსებ დავითაშვილიმ“ და ასკვნის: „ეს უნდა იყოს გლეხი პოეტი იოსებ დავითაშვილი, რომელიც ჩუქურთმების მჭრელი და ორნამენტების საუკეთესო ოსტატი იყო“. ქეშმარიტ შემოქმედს ასევე არ ეკარგება არაფერი, ყალბ შემოქმედს კი ყველაფერი.



# სოლომონ ბაკრაძე — ასლანიშვილი

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის ვხვდებით ბევრ ისეთ უანგარო, ჩემ და თავდადებულ მუშაკს, რომელთაც სამოქმედო ასპარეზად საქართველოს რომელიმე განაპირა, ჩამორჩენილი კუთხე შეგნებულად აურჩევით და მთელი თავიანთი ნიჭი და ენერჯია ადგილობრივი მოსახლეობის წინსვლა-განვითარებისა და ეროვნული გათვითცნობიერების საქმისათვის შეუწირავთ.

ამგვარ, თითქმის მივიწყებულ, თავისი მშობლიური კუთხის ამაგადრ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება ბაკრაძის ფსევდონიმით ცნობილი ნიჭიერი მწერალი და განმანათლებელი სოლომონ ევლამბისძე ასლანიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან თავისი ენერჯიული საზოგადოებრივი შრომით დიდი სამსახური გაუწია საქართველოსთან იმ დროს ახლად შემოერთებულ აჭარა-აბაშის და თავისი სტატიებით გააცნო მკითხველ საზოგადოებას ამ მხარის ბუნება, ცხოვრება და სიძველეთა ძეგლები.

სოლომონ ასლანიშვილი — ბაკრაძე გლეხის შვილი იყო. იგი დაიბადა 1851 წელს, ჯავახეთში, სოფელ ბაკრაში. სწავლისადმი მისწრაფება მას ბავშვობაშივე გამოუჩენია, მაგრამ ბაკრაში იმ დროს სკოლა არ იყო და პატარა სოლომონი 15 წლამდე არსად არ სწავლობდა. ბოლოს კი, როგორც თვითონ გადმოგვცემს, მშობლებისათვის განუცხადებია, თუ არ მასწავლით, მთლიანად დაგვიკარგებითო. შეშინებულმა მამამ ხელი შეუწყო სოლომონს წასულიყო ახალციხეში, სადაც იგი ჩარიცხულ იქნა ქართველ კათოლიკეთა

ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში. აქ პირველდაწყებითი სწავლა მიიღო ამ სკოლის მასწავლებლის ივანე გვარამაძის ხელმძღვანელობით. მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა (სოლომონი მოჯამაგირედ იღვა ოჯახში და ყოველგვარ შავ სამუშაოს ასრულებინებდნენ), მან მოახერხა გამოცდები ჩაებარებინა და ჩარიცხულიყო ახალციხის სამაზრო სასწავლებელში, სადაც სასტრუქალ იღვენებოდა ქართული ენა. ამის მიუხედავად, სოლომონი ხარბად დასწაფებია ქართულ წიგნებს და გამსჭვალულა პატრიოტული მისწრაფებებით. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს მასწავლებლობდა სამრევლო სკოლაში, ხოლო 1876 წელს შევიდა სახელმწიფო სამსახურში — ფოსტა-ტელეგრაფის ახალციხის სადგურში დაიწყო მუშაობა. ორი წლის შემდეგ ის გადაიყვანეს ჯერ სურამში, შემდეგ კი თურქ დამპყრობელთაგან ახლად განთავისუფლებულ შვეთეთ-ერუშეთში. სოლომონისათვის ეს მეტად სასიხარულო იყო. ყველა ქართველ პატრიოტს იმ დროს ამ კუთხისაკენ მიუწევდა გული, რათა თავისი წვლილი შეეტანა დედა-სამშობლოსათვის დაბრუნებული ძმების — ქართველი მაჰმადიანების გათვითცნობიერების საქმეში. სოლომონის ამ სიხარულს სხვა საფუძველიც ჰქონდა: მან კარგად იცოდა, რომ მისი წინაპრები, რომელთა ძველი გვარი ლეონიძე ყოფილა, სწორედ ტაო-კლარჯეთიდან, სოფელ ველიდან იყვნენ გადასახლებული ჯავახეთში (პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების დროს) და ამ წინაპართა ნაკვალევი ადგილების გაცნობა-შესწავლას გულით ესწრაფოდა.

მთელი ოცდაორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სოლომონ ასლანიშვილი ამ კუთხეში. არტანუში, არტანუჯში, ართვინსა და კაღიზანში სამსახურის დროს იგი გულდასმით გაეცნო აქ-არის, კოლა-არტანისა და შავშეთ-ერუშეთის სოფლებს, დაუახლოვდა ხალხს, გაიგო მისი ჭირ-ვარამი და მხარში ამოუდგა საშველად. არტანუჯში სოლომონს კერძო სკოლა დაუარსებია, სადაც ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. მათ მიერ ქართული წერა-კითხვის შესწავლის გასაადვილებლად საგანგებო სახელმძღვანელოც კი შეუდგენია (თურქულ-ქართული ლექსიკონითურთ) და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაუცია გამოსაქვეყნებლად. ახალი, რუსული მართებლობის შემოღებით დაბნეულ და ისედაც დაბნეებულ ქართველ მაჰმადიან გლეხობას სოლომონი მოსარჩლედ დაუდგა. იგი ქართულ და თურქულ ენებზე ესაუბრებოდა გლეხებს, ასწავლიდა ახალ კანონებს, უწყრდა საჩივარ-განცხადებებს და ყოველგვარი რჩევა-დარიგებით ეხმარებოდა. ამავე პერიოდში გააცხოველა მან 1876 წელს დაწყებული თანამშრომლობა ქართულ პრესაში და სისტემატურად ათავსებდა წერილებს ჟურნალ „ივერიასა“ და „დროებაში“, შემდეგ კი სხვა პერიოდულ გამოცემებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბაგრეღმა პირველმა დაიწყო კორესპონდენციების ბეჭდვა ქართულ პრესაში ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების საქართველოში საკითხებზე ადგილიდან. მახვილ პუბლიცისტური ენით იგი გაბედულად ამხილებდა მეფის მოხელეების, ჩარჩ-ვაჭრების, სამღვდლოების და მშრომელი ხალხის სხვა მჩაგვრელების თავგასულობას, მკითხველ საზოგადოებას აცნობდა ქართველ მაჰმადიანთა ზენ-ჩვეულებებს და ქობავად ედგა ყველა დაჩაგრულს.

მთელ ქართველ მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ს. ბაგრეღი ალტაცებით შეხვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებას და ამ საკითხს რამდენიმე წერილი მიუძღვნა, რომლებიც „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა სათაურებით: „ერთი სიხარული“, „ქართველების გაქართველება“, „ბატარა შენიშვნები არტანუჯზე“, „ნავით მოგზაურობა კოროხზედ“, „ჰაერისტატით ტანტალი მაჰმადიან საქართველოში“ და სხვ.

გარდა ხალხის ყოველდღიური ჭირ-ვარამისა, ამ სტატიებში ს. ბაგრეღი ცოცხლად გადმოგვცემს ქართველი მაჰმადიანი გლეხობის ბნელ და დუხჭირ ცხოვრებას, გვაცნობს მათ ალათ-წესებს და საინტერესო ცნობებს იძლევა ამ ისტორიულ კუთხეში შემორჩენილ ხელოვნების ძეგლებზე.

სოლომონის პუბლიცისტურ წერილებს დიდი

ყურადღება დაუმსახურებია. ამის ნაწერებს აღნიშნავს ერთი მისი ბიოგრაფი, — მთელი ქართველი ინტელიგენცია დიდს ხალხისთვლით ლობდა... „ზამთარი“ დიდი ალტაცებით ვითრებთ მანინშიველმა გაარჩია“, ხოლო ზ. ჭიჭინაძე დასძენს: „ბატონმა ასლანიშვილმა ქართული ისტორია კარგად იცის. მის გულში ღრმად არის ჩანერგილი საქართველოს ერის სიყვარული და ნამეტურ დასავლეთ-სამხრეთ საქართველოსი. მან მიმოვლო ეს კუთხეები და ბევრი რამ ძველი ნაშთები დიდს გულმდუღარებით აღწერა. ამის ნაწერებში ბევრი რამ ძვირფასი ცნობები მოიპოვება ჩვენი ისტორიისა და ნაშთების შესახებ, რადგან დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამ სამი საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ დავკარგეთ და დავივიწყეთ. ამ კუთხეში ჩვენი ტომის ყოველივე ნაშთები ძაბით შემოსილი არიან, მგლოვიარენი, ბატონმა ასლანიშვილმა ამ ძაბამოსილი ნაშთების ბევრი რამ აგვირუსხა... იგი წერდა მრავლად და ჩინებულად. მისი წერილი „ივერიაში“ დაბეჭდილი „მოგზაურობა ნავით კოროხზედ“ და „ზამთარი“ შესანიშნავნი არიან თვით მეწერლის სახელოვნო და სამხატვრო ნიჭითაც, იმავ დროს რუსულ გაზეთებშიც კი იქნა ქებით მოხსენებული და განხილული“.

სოლომონის ასეთი თავდადებული მოღვაწეობა, მისი ზეგავლენა ხალხზე და ავტორიტეტი, რასაკვირველია, არ გამოპარვიათ კოლა-არტანისა და შავშეთ-ერუშეთის მაშინდელ მმართველებს, ბათუმისა და ქუთაისის გუბერნატორებს განსაკუთრებით არ მოწონდათ ასლანიშვილის აქტიური თანამშრომლობა პრესაში და ექებდნენ კიდევაც ხელსაყრელ საბაბს ამ სამიში პიროვნების თავიდან მოსაცილებლად, მაგრამ მოწინავე ქართველ პუბლიცისტს დიდად მფარველობდნენ ბათუმის, ართვინისა და არტანის მხარეთა პროგრესულად განწყობილი ქართველი მმართველნი ბიძინა და მიხეილ ერისთავები, განსაკუთრებით კი მიხეილ მეფისაშვილი, რომელიც უდიდესი გავლენით სარგებლობდა მთელ იმ კუთხეში. მათი წყალობით სოლომონი პირველ ხანებში ხელშეუხებელი რჩებოდა, მაგრამ ცხრაასიან წლებში, როდესაც ართვინის უფროსად ვინმე შუბინსკი დაუნიშნავთ, სოლომონს თავისი ხალხოსნური მოღვაწეობისათვის აშკარა დევნა განუცდია. შუბინსკიმ მალე იგი მონარქიის მტრად გამოაცხადა და საიდუმლო მიწერ-მოწერა გამართა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან. იგი მოითხოვდა ს. ბაგრეღის რუსეთში გადასახლებას. სოლომონი მაგრად დახვედრია მტერს, უარუყვია წაყენებული ბრალდებანი და თავი დაუცავს. ამ ნიადაგზე მა-

სა და შუბინსკის შორის კონფლიქტი ისე გამ-  
წვავებულა, რომ მეფის მოხელეებს სოლომონის  
მოცილება ტერორის გზით მოუხდომებიათ,  
მკვლელები კი მიუჩენიათ, მაგრამ შემთხვევით  
გადარჩენილა. საქმე იმით დამთავრებულა, რომ  
სოლომონი დაუქვეითებიათ და 1900 წელს გა-  
დაუყვანიათ ჯულფაში, სადაც იმ დროს მხოლ-  
ოდ დამნაშავეები იგზავნებოდნენ სამსახურში.  
კეთილისმყოფელთა დახმარებით, როგორც ჩანს,  
ასლანიშვილი ასცდა ჯულფას და დაინიშნა ჯერ  
ქუთაისში, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა ფოსტა-  
ტელეგრაფის თბილისის კონტორაში, სადაც  
დიდხანს მუშაობდა ექსპედიციის გამგედ.

1905 წელს ს. ასლანიშვილი რევოლუციურ  
მოძრაობაში მონაწილეობდა, რისთვისაც დაუ-  
ბატმრებიათ და ერთხანს სამსახურიდანაც მო-  
უხსნიათ.

თბილისში სოლომონი ჩვეული ხალისითა და  
ენერგიით განაგრძობდა მონაწილეობას საზოგა-  
დოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, თანამშ-  
რომლობდა „სახალხო გაზეთში“, წერდა მოგო-

ნებებს, მოთხრობებსა და ნარკვევებს, ადვილად  
სიძველეთა ძეგლების ფოტოსურათებს, ადვილად  
კუთარი ჩანახატების ალბომებს, სახელმწიფო  
ლოებს. მთელი მისი ყურადღება ამ პერიოდში  
ისევე ძველი მესხეთის წარსულ და აწმყო ცხოვ-  
რებას დასტრიალებდა. მის ხელნაწერებს შორის  
ყურადღებას იქცევს მეფის მოხელეებისა და თა-  
ვადანაუბრების მკაცრად მამხილებელი სხარტი  
იუმორისტული მოთხრობა „მათრახი“, რომანი  
„საბარალო ქეთო“, ყრმობაში დაწერილი ლექსე-  
ბი, ფრანგული ენის სახელმძღვანელო ქართულ-  
თათვის, ქართული ენის თვითმასწავლებელი რუ-  
სთათვის და სხვ.

ღრმად მოხუცებული და ამაგდარი მოღვაწე  
მოესწრო საბჭოთა საქართველოს კულტურული  
აღორძინების პირველ წლებს, 1923 წელს გაზ.  
„ტრიბუნამ“ სპეციალური წერილი მიუძღვნა  
მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

სოლომონ ასლანიშვილი — ბავრელი გარდაი-  
ცვალა 1924 წელს ქ. თბილისში.



# სეჩომ თხარეაჲ

## პოლ ელუარი

პოლ ელუარი მეოცე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. ნიჭიერი პოეტი, მკვლევარი და მთარგმნელი, რომელმაც თავისი ლექსებითა და ნარკვევებით ფრანგი ხალხის სიყვარული დაიმსახურა. პოეტს უსახლგროდ უყვარდა მშობლიური ფრანგი ხალხი და გულწრფელად უმღეროდა მის წარმატებებს მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

პოლ ელუარი დაიბადა ქ. სენ-დენიში (საფრანგეთი) 1895 წლის 14 დეკემბერს. მას ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა პოეტური ნიჭი. თორმეტი წლის იგი გაემგზავრა პარიზს, სადაც სწავლობდა თექვსმეტ წლამდე. 1911 წელს ავადმყოფობის გამო გადავიდა შვეიცარიაში, ორი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პარიზს და განაგრძო სწავლა.

1914 წელს პოლ ელუარი მონაწილეობს პირველ მსოფლიო ომში.

მომავალი პოეტი ვატაცებით ეცნობა ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი მწერლების შემოქმედებას. ოცი წლისას უკვე წაკითხული ჰქონდა ყველა ფრანგი პოეტის ნაწარმოებები, რომლებმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა.

სამწერლო ასპარეზზე ელუარი 1917 წელს გამოვიდა. წერდა ლექსებს, პოემებს და თეორიულ სტატიებს. ამავე წელს მკითხველებმა მიიღეს მისი ლექსების პირველი წიგნი „მოვალეობა და წუხილი“, ერთი წლის შემდეგ კი პოემების კრებული „პოემები მშვიდობაზე“.

ამ ლექსებსა და პოემებში პოლ ელუარი ამხილებს ომის საშინელებას, მითხზავს ხალხთა მკვდობასა და მშვიდობას, მაგრამ პოეტს არ ძალუძს მარქსისტულად შეაფასოს ომის გამოწვევი მიზეზები და გააკეთოს საკუთარი დასკვნები. პოეტი ვერ ახერხებს ჯვერდში ამოუდგეს პოლ ვაიან-კუტიურეს, რომენ როლანს, ანრი

ბარბიუსს, რომლებიც უკვე მაშინ თავდადებით იბრძოდნენ მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. პოლ ელუარი 1936 წლამდე დადასტურებისა და სურეალისტების ძლიერ გავლენას განიცდიდა, მაგრამ შემდეგ მტკიცედ დაადგა რეალისტური ლიტერატურის გზას, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახალხო ფრონტის გამარჯვებამ საფრანგეთში, ფრანგი ხალხის დარაჯვებამ ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, პოეტის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოახდინა ესპანეთის ამებმა, ესპანელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ რესპუბლიკისათვის, ფრანკოს სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. და აი პოლ ელუარი ანტიფაშისტის ხდება, მასში იღვიძებს პოეტი-მოქალაქის გრძნობა და მრავალ ლექსს უძღვნის ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლებს.

ამავე დროს ფრანგულ ენაზე თარგმნის ესპანელი პოეტების ლექსებსა და პოემებს. კერძოდ, მან თარგმნა გამოჩენილი ესპანელი პოეტის ფრედერიკ გარსია ლორკას პოემა „რომანცერო გიტანო“, რომელშიც ასახულია ესპანელი ხალხის ბრძოლა ფრანკოს სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ.

ბავშვობიდანვე იზიდავდა პოეტს უცხო ქვეყნებში მოგზაურობა. მან ინახულა ინდოეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, იაპონია, სუმატრა, ცეილონი, ინდონეზია, სინგაპური და სხვ. პარიზში დაბრუნების შემდეგ პოეტი წერს ლექსებისა და პოემების მთელ ციკლს, რომლებიც ფრანგ ხალხს აცნობს კოლონიური ხალხების აუტანელ მდგომარეობას.

პოლ ელუარის შემოქმედების პირველ პერიოდს (1917-1936 წ.წ.) ეკუთვნის პოემებისა და ლექსების წიგნები: „პარიზი მზიარულია“, „მთავარი მწუხარება“, „პოეტური სიხცადე“, „უკვდავთა უბედურება“, „ცხოვრების აუცილებლობა და სიზმრის შედეგი“, „გამეორება“, „მოკვე-

ლეთ — არ მოკვდეთ“, „სიყვარული — პოეზია“ და სხვ.

პოლ ელუარის შემოქმედების მეორე პერიოდი, როგორც ვთქვით, დაიწყო 1936 წელს. 1939-1941 წლებში ორ ტომად გამოვიდა მისი ლექსების კრებული „გადაშლილი წიგნი“, რომელშიც პოეტი გვიჩვენებს ხალხთა გაჭირვებას, შიმშილს, სიღატაკს. ეს იყო ფაშისტური ოკუპაციის პირველი წლები, როცა საფრანგეთში იმის იყო ჩაღმდებოდა ე. წ. „წინააღმდეგობის მოძრაობა“. „მე არ ვიცი არც ჩივილი, არც სიცილი, უკანასკნელად უკვე ვიმღეე ამ ერთგვარ დღევანდელ მინდორზე“, — ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექსში. მეორე ლექსში „ძალა და სისუბტი“ პოლ ელუარი წერს: „ჩემი თვალები ხედავს მხოლოდ უბედურებას“. ერთი სიტყვით, პოეტი წუხს, მიიმეღ განიცდის თავისი ხალხის ტანჯვა-წამებას, ძემბს ახალ გზებს ფრანგი ხალხის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად.

1942 წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტია მორის ტორეზის ხელმძღვანელობით საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ქმნის ფრანგ ტირერთა — პარტიზანთა მებრძოლ რაზმებს, რომლებიც გამორღვალად ებრძვიან ოკუპანტებს. ფრანგი ხალხი კიდევ უფრო გაამხნევა საბჭოთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებებმა სამაშულო ომის ფრონტებზე.

ამავე წლის მაისში პოლ ელუარი შედის კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს იყო მის შემოქმედებაში გადამწყვეტი მომენტი. საერთოდ, ამ პერიოდმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაზე. „მე შევიღვიარე კომუნისტურ პარტიაში“, — წერდა პოლ ელუარი, — რადგან იგი საფრანგეთის პარტიაა. მას მე სამუდამოდ შეეწირე ჩემი ძალა და ცხოვრება: მე მიხდოდა ვყოფილიყავი ჩემი ქვეყნის ხალხთან ერთად, რომელიც მშვიდობის, ბედნიერებისა და ნამდვილი ცხოვრებისაკენ მიისწრაფის“.

ამ დღიდან მოკვდებოდა, ფრანგი ხალხის ბრძოლა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ პოეტის შემოქმედების მთავარი თემა ხდება. მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული მწერალი 1942 წელს აქვეყნებს ლექსების წიგნს „პოეზია და სინამდვილე“, რომელშიც ფრანგ ხალხს თავისუფლების ჰიმნს უმღერის.

1942 წლიდან პოლ ელუარი მუშაობას იწყებს არალეგალური ვაზეთის „ლეტრ ფრანსეზ“ რედაქციამში. იგი ამ ვაზეთის ფურცლებზე აქვეყნებს თეორიულ სტატიებს, ლექსებისა და პოემების მთელ ციკლს, რომლებშიც ფრანგ ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. პოლ ელუარი აარსებს ჟურნალ „ეტერნელ რევიუს“, რომელშიც ნიღბს ხდის პიტლერულ ჯალათებსა და პეტენის გამეჭმულ მთავრობას. ოკუპანტები პოეტს საშიშ პიროვნებად აცხადებენ, მაგრამ იგი უშე-

შრად განაგრძობს ბრძოლას, ცხოვრობს პარიზში და კონსპირაციის მიზნით ხშირად ქვეყნის ბინას — ერთი კვარტალიდან გადადის მეორეში. პოეტის ლექსები, პოემები, პროკლამაციები აგრცელებს არალეგალურ ლიტერატურას. პოეტის თანამემამულე, ცნობილი კრიტიკოსი ლუი პაროწერს: „ყველგან, სადაც კი საჭირო იყო ერთგუნული მოძრაობისათვის დახმარების გაწევა, გამოჩნდებოდა ელუარი. ამ პოეტმა გაიღვინა, როგორც მოქმედების ადამიანი, ენერგიულმა დამამცა“.

პოლ ელუარის შემოქმედების ამ პერიოდის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია პოემების წიგნი „პირისპირ გერმანელიებთან“, ოკუპანტის მიერ დახვრეტელი ფრანგი ბიუსილამი მიძღვნილი ლექსების კრებული „მწუხარების იარაღი“, „სიყვარულის შვიდი პოემა ომის დროს“ და ბევრი სხვა.

1944 წელს პოლ ელუარის ლექსები უკვე მთელ საფრანგეთში ვრცელდება, მათ მღერობან პარტიზანთა რაზმებში. ამ დროს „წინააღმდეგობის მოძრაობა“ უკვე მთელ საფრანგეთში უმაღლეს წერტილს აღწევს. პოემაში „მწუხარების იარაღი“ პოეტი ამბობს: „მე ვლამაზობ იმას, რასაც ვხედავ, იმას, რაც ვიცი, იმას, რაც მართალია“. ამ სიტყვებში მკაფიოდ ჩანს პოეტის შემოქმედების მთელი კრედი.

გარდა ამისა, პოლ ელუარი სხვადასხვა ავტორთან ერთად აქვეყნებს მთელ რიგ წიგნებს. ბენიამინ პერესთან — ანდაზების კრებულს „დიდი სათამაშო“ და ლექსების წიგნს „მომავალი ცხოვრება“, რენე შართან და ანდრე ბრეტონთან — „შეჩერებულ სათამაშოებს“ (პოემების წიგნი), ხოლო ანდრე ბრეტონთან ერთად — ლექსების წიგნს „უმაჯო მსოფლმხედველობა“.

მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში პოლ ელუარი დიდ მუშაობას ეწევა ახალგაზრდა ფრანგ პოეტებს შორის, ეხმარება მათ იდეურზრდაში. 1943 წელს პოლ ელუარი უშვებს ლექსების წიგნს „პოეტების პათიოსენება“, რომელშიც ფსევდონიმებით წარმოგივდიგენს ახალგაზრდა პოეტების პიერ სეგერის, ლოს მასონის, ყან ტარდიეს, პიერ ჟეუსა და სხვათა ლექსებს. წიგნიში გამოქვეყნებული იყო აგრეთვე თვით ელუარისა და ლუი არაგონის მებრძოლი ლექსები სხვადასხვა ფსევდონიმით. ამ წიგნმა თავისი პოეტური მგზნებარე ხმით დიდი როლი შეასრულა ფრანგი ხალხის ბრძოლაში ოკუპანტების წინააღმდეგ. ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ჟოჟე კონი 1943 წლის პირველი სექტემბრის „ლუმინატეში“ წერდა: „საფრანგეთს სხვადასხვა კუთხის ოც პოეტი გაერთიანდა იმისათვის, რომ არალეგალურად გამოეცა „პოეტების პათიოსენება“, რომელიც საფრანგეთისადმი არის მიძღვნილი. ეს კრებული გაჭიკვის, ბრალს სდებს, იმედს გამოთქვამს... ოც პოეტინტელიგენციის სახელით სურვილს გამოთქვამს



„მონაწილეობა მიიღოს ეროვნული განთავისუფლების საქმეში. მომავალი თაობები სიამაყით ვაიგებენ, რომ ნაცისტურ დამანაშავეთა თარეშის წლებში ნიკიერმა ხალხმა საფრანგეთს არ უღალატა. წამებამაც კი ვერ აიძულა საფრანგეთის ინტელიგენცია მტრის წინაშე ქედი მოეხა-რა“.

საფრანგეთის პროგრესულმა მწერლებმა ამ კრებულში აზრი გამოთქვეს მონაწილეობა მიუღლით სამშობლოსათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. 1944 წლის მაისში გამოდის „პოეტების პატრიონების“ მეორე, ხოლო იმავე წლის ივნისში — მესამე წიგნი.

„პირისპირ გერმანელებთან“ პირველად „ლეტრ ფრანსეზში“ დაიბეჭდა ჟან დიუოსა და მორის ერვანის ფსევდონიმებით. ეს იყო პოლ ელუარის ფსევდონიმები, რაც ფრანგმა ხალხმა ფაშისტისაგან განთავისუფლების შემდეგ შეიტყუო. კრებულში თავმოყრილია პოეტის საუკეთესო პატრიოტული პოემები. კრებული იხსნება ლექსით „ვაფრთხილება“, რომელიც ხელმოუწერლად გამოქვეყნდა. ამ ლექსს პატრიოტები კედლებზე აკრავდნენ როგორც პროკლამაციას. ლექსი მიძღვნილია ათეული ათასობის ფრანგი პატრიოტისადმი, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებას შეეწირნენ. პოეტი დაღუპულებს კი არ დასტირის, არამედ ხალხს შურისძიებისაკენ მოუწოდებს. ამ ლექსში, ლუი არაგონის ლექსების მსგავსად, ელერს პოეტის ოპტიმისტური, მებრძოლი მოტივები. პოლ ელუარი ქმნის სახალხო გმირის სახეს, რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი, მაგრამ ფაშისტები ვერ ახერხებენ გასტეხონ მისი ნებისყოფა, ბრძოლის უნარი.

პოლ ელუარი, ისევე როგორც ლუი არაგონი, ვაბრიელ პერისადმი მიძღვნილ ლექსებში გვიჩვენებს, რომ მისი გმირი მარტო არ არის, რომ მასთან არის მილიონობით ადამიანი, მისი თანამოაზრე. ამიტომაც, რომ ელუარის გმირი მშვიდაა და „მის არ აშინებს მეორე დღის გათენება“. პოეტის ლექსები დიდი პათოსით, ექსპრესიით იყო დაწერილი და ამიტომ ისინი ხელდანი ზელში გადადიოდნენ.

პოლ ელუარი იყო საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი, მას ასულდგმულვება ჩვენი სამშობლოს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები და მასში ხედავდა იმ იდეალების განხორციელებას, რასაც მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა. პოლ ელუარმა ინახულა სსრ კავშირი, იყო საბჭოთა საქართველოშიც. 1950 წლის მაისში იგი ესწრებოდა მოსკოვში ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვა-

ლების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას, სადაც წარმოთქვა მხურვალე სიტყვა საბჭოთა მწერლებთან შეხვედრისას მან თქვა: „პროგრესული ფრანგული ლიტერატურა გაცილებით გაიზარდა გამოცდის შემდეგ, რომელიც განვლო საფრანგეთმა ომისა და ოკუპაციის დროს. პროგრესულ ფრანგულ ლიტერატურაში განმტკიცდა პატრიოტიზმის გრძნობა, ლიტერატურა ახლოს მივიდა ადამიანის მწუხარებასთან. ეს პროგრესული ლიტერატურა აწარმოებდა ბრძოლას ომისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მან კოლექტიური ხმის მოძებნა შეძლო.“

სსრ კავშირში ყოფნამ პოლ ელუარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაწერა ლექსები-სა და პოემების მთელი ციკლი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები „სსრ კავშირი დიდი იმედია“, „თავისუფლება“, „ვაბიღებ პოეტს“ და სხვ.

1952 წლის 18 ნოემბერს პარიზში გარდაიცვალა პოლ ელუარი. საბჭოთა მწერლები თავიანთ დეგემში საფრანგეთის მწერლების ეროვნული კომიტეტისადმი წერდნენ:

„დიდად დავგამწუხრა დიდი პატრიოტი პოეტის, მშვიდობისათვის მხურვალე მებრძოლის, ჩვენი მეგობრისა და ამხანაგის—პოლ ელუარის გარდაცვალებამ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ იგი მოსკოვში ვნახეთ. მხნე, ცოცხალი, შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, იგი ჩვენ გველაპარაკებოდა პოეზიაზე, ომის გამჩალებლებისაგან კულტურის დაცვაზე, გვაცნობდა თავის შემოქმედების გეგმებს. იგი დიდი აღტაცებით გამოვიდა ჰიუგოსადმი მიძღვნილ საღამოზე მოსკოვის მუშათა კლუბში, — ქალაქისა, რომელსაც იგი იმდღის საოცარ დედაქალაქს უწოდებდა.“

ელუარის დაკარგვა დიდი დანაკლისია მსოფლიო ლიტერატურისათვის.

ძვირფასო მეგობარებო! მთელი ჩვენი გულით ვიზიარებთ თქვენის მწუხარებას. ვთხოვთ ვადასცეთ სამძიმარი განსვენებულის ოჯახს“.

პოლ ელუარი ფრანგი ხალხისა და კომუნისტური პარტიის ერთგული შვილია, ბედნიერებისა და თავისუფლების მომღერალია. ფრანგ ხალხს ახსოვს საფრანგეთის კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზე წარმოთქმული მისი მხურვალე სიტყვა, რომლითაც პოეტმა თავის პარტიას დიდების პიში უმღერა. ფრანგ ხალხს დარჩა მისი უკვდავი ლექსები, პოემები, რომლებიც კვლავ იბრძვიან ფრანგი ხალხის უკეთესი მომავლისათვის.



აღმოსავლური მხარე

აჭარის ფოლკლორის კვლევის ისტორიიდან

აჭარის ფოლკლორმა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება განსაკუთრებით XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მიიპყრო, მას შემდეგ, რაც აჭარა საქართველოს დაუბრუნდა და შეიქმნა ამ მხარეში მიმოსვლისა და ზეპირსიტყვიერების შეგროვების პირობები.

პირველი ქართველი ფოლკლორისტები და საზოგადო მოღვაწენი უპირატესად აჭარის პოეტური ფოლკლორით იყვნენ დაინტერესებული. მათს ჩანაწერებში მუსიკალური ფოლკლორის შესახებ საფუძვლიანი მოსაზრებები არ გვხვდება და არც მუსიკალურ-ფოლკლორული ჩანაწერები გვაქვს. აჭარის მუსიკალური ფოლკლორის შეკრება შედარებით გვიან დაიწყო და ამ საქმის პიონერი, ჭერჭერობით შეგროვებული ცნობების მიხედვით, ქართველი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი იყო.

1916 წლის ზაფხულში კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი და ცნობილი ქართველი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავე ქალაქ მახარაძიდან (მაშინ ოზურგეთი) ავიარა ბახმაროში ასულან, რომ იქიდან აჭარის სოფლებში გადასულიყვნენ და აჭარული სიმღერები ჩაეწერათ. ბახმაროში მათი ყოფნა რამზანის დამთავრებას და ბაირამის დღესასწაულს დამთხვევია. ამასთან დაკავშირებით, ბახმაროში ბევრ აჭარელს მოუყრია თავი. მათ შორის მომღერლებიც ყოფილან, კერძოდ, პასან ირემაძე (ლორჯომიდან), ზაბით ქარცივაძე, ასლან ნიკოლიაშვილი და რზეთ მურვანიძე (სამივე კვანიდან), რომელთა შესრულებით კ. ფოცხვერაშვილს რამდენიმე სიმღერა ჩაუწერია. ფოცხვერაშვილის ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა.

გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 13 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „აჭარული ხალხური სიმღერები“, ხოლო „საქართ-

ველოს“ იმავე წლის 6 ნომბრის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია „აჭარული სასიმღერო ლექსები და ბატ. კ. ფოცხვერაშვილი“. მეორე წერილი ეკუთვნის აპალონ წულაძეს, ხოლო პირველს ფსევდონიმით აწერს ხელს ვინმე შავენი. შინაარსით და სტილით წერილები ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: ორივე წერილის ავტორია გურული ეთნოგრაფისა და ფოლკლორის საკმაოდ მცოდნე აპ. წულაძე, რომელსაც სხვათა შორის ყურნალ „მნათობის“ 1939 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილი აქვს საგულისხმო წერილი გურული ნაღური სიმღერების შესახებ.

„განსაკუთრებული ყურადღება და აღტაცება შეგვგროვილი მსმენელი ხალხისა გამოიწვია თამაშმა, რომელსაც აჭარლები „ხორუმს“ უწოდებენ. თან ცეკვა-თამაში სწარმოებდა და თანაც ფოცხვერაშვილი მუსიკასა სწერდა“, — აღნიშნავს „სახალხო ფურცელი“. გაზეთის ცნობით, ფოცხვერაშვილს ჩაუწერია „ორი დიდი პოემისებური სამღერალო ლექსი, ოთხი საცეკვაო სიმღერა, ორგვარი „ხორუმის“ მუსიკა, „ხელხევი“, „მაყრული“ და სხვადასხვა საყურადღებო სიმღერები“. აპ. წულაძეს მოჰყავს ფოცხვერაშვილის ახრიც აჭარული სიმღერების შესახებ. „აჭარული სიმღერები არამც თუ განსხვავდებიან ქართული სიმღერებისაგან, არამედ ისინი ქართული მუსიკის პირველ ყოფილ დედანათ უნდა ჩაითვალოს...“ „ორი ზევით დასახელებული ლექსი-პოემა, — წერს შემდეგ აპ. წულაძე, — იმდერება ისეთი წართქმითი კლონით, რომლის მსგავსი ბევრია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აჭარული წართქმითი კლოები იმდერებიან ორპირად. ერთი მეორის შეცვლით“.

ავტორი განუცვიფრებია „ხორუმის“ მუსიკას და წერს: „საყურადღებოა „ხორუმის“ ზომი, რომელიც პირდაპირ გასაოცარია თუმცა ვერაბიული სამუსიკო თვალსაზრისით. ამ ცეკვის ზომა ჯამბაზური შეთანხმებაა ორი, პირველ დანახვით, სრულიად შეუთანხმებელი თვლისა  $(1 + \frac{3}{4})$

$$+ (1 + \frac{3}{4}) \text{ ან კიდევ } (\frac{3}{4} + \frac{3}{4}) + (\frac{2}{4} - \frac{3}{4}).$$

მთელი საცეკვაო კილო ამგვარად არის დაწყობილი ყოველ თითო ფარღში და ამგვარი მუსიკარადაც არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენს“. ავტორი ასახელებს კიდევ სამ ცეკვას: „ფადიკოს“, „კოლსამასა“ და „ლაზურს“. ამ სიმღერების ჩაწერა კ. ფოცხვერაშვილს ვეღარ მოუხერხებია სხვადასხვა მიზეზის გამო.

გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულ სტატიაში ზოგიერთი დამატებითი ცნობაც მოიპოვება. „ჩვეუ-ჩვეუდალ დადიონენ კომონითა და დაკლით (საკრავებია) აპარლები და თავიანთი ცეკვითა და სიმღერით მოავარაყეთა ყურადღებას იქცევდნენ“. აქვე დასახელებულია ის „პოემისებური სამღერალი ლექსებიც — „ავათყოფის ლექსი“ და „გაზაფხული“, რომლებიც იმავე ნომერში წერილის დასასრულსაა დაბეჭდილი ალ. წულუწანავს ჩანაწერის მიხედვით. „ამ სასიამოლო ლექსების კილო დიდინ-დისტიკურულია და ბატონ კომპოზიტორის აზრით — ფრიად სასიამოვნოა“.

„ჩანაწერა აგრეთვე ოთხი საცეკვაო სიმღერა. სამი მათგანი ჩვეულებრივია და ერთი განსაკუთრებული — აპარული. ფეოტოლოგებულ ხორული (ზოგან ხურული)“. ვიცხვერაშვილის აზრით, „დიდათ საინტერესო ყოფილა საცეკვაო ხორული როგორც ცეკვის თავისებურობით (ორიგინალობით), ისე კილით (მუსიკით)“ და შემდეგ: „აპარული სიმღერები უნდა ჩაითვალოს დედნად, იგივე სიმღერები კი გურიანში. ამათი განვითარებააო“.

ზემოხსენებულ წერილებს და თვით სიმღერების ჩაწერის ფაქტს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ისიც ცხადია, რომ უფრო მეტის თქმის საშუალებას მოგვცემდა კ. ფოცხვერაშვილის არქივის ნახვა, რომელიც ჯერჯერობით განცვენებული კომპოზიტორის ოჯახის საკუთრებაა.

სხვა მასალასთან ერთად წერილებში ყურადღებას იქცევს პოემისებური სამღერალი ლექსები „ავათყოფის ლექსი“ და „გაზაფხული“. 1958 წლის ზაფხულში ხულოს რაიონში ყოფნის დროს ღორჯომის სასოფლო საბჭოს სოფელ მერჩხეთში. 72 წლის მოხუცი მთქმელის ასლან ეუბის-ძე გორგაძისაგან ჩავიწერე ლექსი, რომელსაც სათაური არ ჰქონდა და მთქმელთან ერთად პირობითად „მემთევრობის ლექსი“ უწოდეს. ეს ლექსი წარმოადგენს „ავათყოფის ლექსის“ და „გაზაფხულის“ შერეულ ვარიანტს, ოღონდ ძალიან შემოკლებულია: დარჩენილია

სულ 58 ტაევი; მაშინ, როცა მხოლოდ „ავათყოფის ლექსი“ შეიცავს 106, ხოლო „გაზაფხული“ — 90 ტაევი. დიდი მოცულობის გამო „ავათყოფის ლექსის“ და „გაზაფხულის“ ამ მოცვენა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, მაგრამ დაინტერესებულ მკითხველებს რომ ოდნავი წარმოედგინა მაინც ჰქონდეთ ამ ლექსებზე, მიუვითიეთ იმ შერეულ ვარიანტზე, რომელიც მერჩხეთში ჩავიწერეთ და ჯ. ჩხეიძემ დაბეჭდა თავის წიგნში „შრომის პოეზიის ძირითადი სახეები აპარის ზეპირსიტყვიერებაში“ (ოღონდ მთქმელის, ჩამწერისა და ფოლკლორული ფონდის მიუთითებლად).<sup>1</sup>

ფოლკლორული ნაწარმოები შექმნის შემდეგ როგორც ცნობილია, სხვადასხვანაირი გზით ვითარდება. დადგენილია, რომ ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებს თავდაპირველად ერთი ავტორი ქმნის. ზოგიერთ ნაწარმოებს დროთა ვითარებაში ემატება ახალი სტროფები, მიტქმელთა ინდივიდუალური განცდა, შთანაფერკა და სხვა კომპონენტები, რომელთა წყალობით იზადება ვარიანტები. ხდება ისეც, რომ ხალხურა ლექსი იკვეცება, განსაკუთრებით ზედმეტად ინდივიდუალური ადგილები. ადგილი აქვს აგრეთვე ერთნაირი სტილისა და ფორმის ლექსთა ერთმანეთში შერევის, რასაც ფოლკლორისტულ ლიტერატურაში კონტამინაციის უწოდებენ.

1916 წელს ჩაწერილი ორი აპარული ლექსი — „ავათყოფის ლექსი“ და „გაზაფხული“ ერთი ავტორის კუთვნილება უნდა იყოს, თუმცა ჩამწერთ ავტორის ვინაობა არ აღუნიშნავთ. გავიდა სულ რაღაც ოთხი ათეული წელი და ორი ლექსი ისე შერეა ერთმანეთს, რომ მივიღეთ ზომით გაცილებით მცირე ერთი ლექსი. ახალი ვარიანტი ძირითად ყურადღებას უთმობს საზაფხულო იალღებზე საქონლის გადაყვანას და თითქმის სახულებით არ შეიცავს ადგილებს, რომლებშიც აღდგ ავადმყოფობასა და მით გამოწვეულ კაეშანზე იყო საუბარი. მართლაც, „ავათყოფის ლექსიდან“ ახალ ვარიანტში შესულია მხოლოდ 14 ტაევი მაშინ, როცა „გაზაფხულიდან“ — მთელი 36 ტაევი. ახალი ვარიანტი რითაც არის საყურადღებო, რომ ბოლო ორი სტროფი („ერა დღეები დამიდგა“) მხოლოდ მასშია შემონახული და 1916 წლის ჩანაწერში არ გვხვდება (ეს ორი სტროფი, შესაძლებელია, სხვა ლექსის ნაგლეჯი იყოს და ახალ ვარიანტში შესული კონტამინაციის წესით).

ფოლკლორულ ვარიანტებს და მათ შედარებას იმპრომაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ სწორად მოგვიანო ჩანაწერში გაუგებარ, მნიშვნელობადაკარგულ ადგილს ხსნის და გასაგებს ხდის აღრეული ჩანაწერი. ჩვენს ჩანაწერში, მაგალი-

1 ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული ფონდი, 1958 წ. № 22, გვ. 142-144.

თად, რამდენიმე ისეთი გამოთქმა შეგვხვდა, რომელთა მნიშვნელობა გავარკვევით მხოლოდ 1916 წლის ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ. ჩვენ გვქონდა „თექნუქეიფობა“, 1916 წლის ჩანაწერში კი „მე უქეიფობა“ წერია, რაც უკვე გასაგებს ხდის აზრს. ჩვენ გვქონდა „უნდომ ბადეზე“, 1916 წლის ჩანაწერშია „უნდომ ბადაზე“ და თანაც „ბადაზე“ ჩანაწერთა მიერ განმარტებულია, როგორც „გულზე“. ჩვენი აზრით, ეს ცოტა საეპევა და უნდა იყოს „მადაზე“. ტერმინი — „უნდომობა“, რომელიც 1916 წლის ჩანაწერში გვხვდება, განმარტებულია, როგორც ავადმყოფობა, უმადობა (ნაწარმოებია „ნდომიდან“ უარყოფითობის აფიქსის მეშვეობით).

კომპ. კ. ფოცხვერაშვილის ჩანაწერებიდან ძლიერ საინტერესოა ზოგიერთი აჭარული ცეკვა და სიმღერა. როგორც წერილებიდან ირკვევა, 1916 წლამდეც კი აჭარის გარდა საქართველოს არც ერთმა სხვა კუთხემ არაფერი იცოდა დღეს პოპულარული „ხორუმის“ შესახებ. ასეთსავე ცეკვას „დელი-ხორუმის“ სახელწოდებით აღწერს ნიკო მარი თავის წიგნში „შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიური“ (რუსულ ენაზე), როცა შავშეთ-იმერხევეს ცეკვებსა და სამუსიკო იარაღებზე ლაპარაკობს. მარამ შავშეთ-

კლარჯეთში 1902 წელს იმოგზაურა, ხოლო წიგნი გამოსცა პეტერბურგში 1911 წელს. მის წიგნში თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობის შესახებ, რომელიც 1910 წელს გამოვიდა პეტერბურგში, ამავე ძირის სიტყვა „ოხორონუს“ ფორმით დადასტურებულია ქანურ ენაში და, ავტორის აზრით, ბერძნული „ხოროს“-იდან მოდის. ჩვენ აქ სახელწოდების განხილვას არ შევუდგებით, მაგრამ ერთი ცხადია: ხორუმის თავდაპირველი საშობლო საქართველოს ის კუთხეა, რომელიც ჭოროხის აუზს მოიცავს და ისტორიულ კლარჯეთად იწოდება.

თავის მხრივ, საყურადღებოა „პოემისებური სამღერალი ლექსები“, რომელთა კილოც, კ. ფოცხვერაშვილის აზრით, „ლილინ-მესტიერული“ ყოფილა. ისიც აღნიშნულია, რომ აჭარლები „ჰიმონითა და დავლით დადიოდნენო“, მაგრამ არაა ნათქვამი, ეს სიმღერები უჭიბონოდ სრულდებოდა თუ ჰიბონთან ერთად. ეს კი მეტად საინტერესოა, რადგან გამოთქმულია აზრი, თითქოს აჭარულ გულის ჰიბონზე მხოლოდ საცეკვაო მელოდია სრულდებოდა. ლექსი და სიმღერა კონტამინირებული სახით დღესაც ცოცხლობა აჭარაში.



# წიგნის თხრო

## საეუროპო მენიერული გამოკვლევა

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის შესწავლა ორნახევარ საუკუნეზე მეტია რუსთველოლოგიის აქტუალურ საკითხთა წრეშია მოქცეული. ჰერ კიდევ 1712 წელს პოემის პირველმა გამოცემელმა და კომენტატორმა ვახტანგ მეექვსემ თავის „თარგმანში“ ახსნა „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარად ძნელად გასაგები სიტყვები. ეს იყო ლექსიკოლოგიური ხასიათის ძიებები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ რუსთველის მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გარკვევაში. მას შემდეგ მრავალი საფუძვლიანი მეცნიერული შრომა მიეძღვნა პოემის მხატვრული ენის შესწავლას. ამ შესანიშნავ პოეტურ ქმნილებას იკვლევდნენ სხვადასხვა კუთხით — ლექსიკოლოგიურ-პოეტური, ტექსტოლოგიური, ლინგვისტიკური თუ ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, მაგრამ დღემდე მაინც არ გვქონდა მონოგრაფიული ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის შესახებ. ამ ხარვეზს მნიშვნელოვანწილად ავსებს მკვლევარ შ. ლლონტის წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის დადგენისას შ. ლლონტი იმარჯვებს ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდს. მას მიაჩნია, რომ მკვლევარისათვის ამ შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისი, ესთეტიკური პრინციპები, რადგანაც „ვეფხისტყაოსანი“ უპირველეს ყოვლისა სიტყვაკაზმული ლიტერატურის ძეგლია და რუსთველის გამოთქმების პოეტური სემანტიკის გახსნისათვის სხვა დარგებს მხოლოდ დამხმარე როლის შესრულება შეუძლიათ. ცხადია, მკვლევარი მართებულ მეცნიერულ თვალსაზრისზე დგას. ის ეყრდნობა მონათესავე დარგთა მოპოვებულ დასკვნებს და კვლევა-ძიებას

წარმართავს ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპების შესაბამისად. ამვე დროს „ვეფხისტყაოსნის“ წინამორბედი და თანადროული ლიტერატურული ძეგლების პოეტური მეტყველების ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გამოვლინებულია ის განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც საკუთრივ „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებენ. კვლევა-ძიების ამ სწორი, მეცნიერული გზებით შ. ლლონტი მიღის იმ დასკვნამდე, რომ ქართული ლიტერატურა ისეთი მთლიანობაა, რომლის წინა საფეხურის უგულვებელყოფა შეუძლებელია. პირიქით, სწორედ ეს წინა საფეხური ამდიდრებს, ამკობს და ანაყოფიერებს მომდევნო ხანის ჩვენს მწერლობას. ყველაფერი ეს ენობრივ-სტრუქტურულ სფეროშიც გლინდება.

მკვლევარს კოლოსალური მუშაობა ჩაუტარებია. მისი მონოგრაფიული წიგნი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“ ოთხი ძირითადი თავისაგან შედგება: 1. საკითხის ისტორიიდან; 2. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შემადგენლობის საკითხი; 3. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მასალობრივი მხარე და მისი ხასიათი; 4. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სტრუქტურულ-ფუნქციური მხარე. ნაშრომს დართული აქვს დამატება, რომელიც დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად ნახმარი სიტყვები, სარიტმო კლავულისათვის საყრდენად გამოყენებული თანხმოვნები, „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარი ვაგზმავებული სიტყვები. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სტილის თავისებურებების განსაზღვრისას მკვლევარი ეყრდნობა იმ უამრავ ფაქტობრივ მასალას, რომლებიც სარეცენზიო წიგნში სითანადოდ გაანალიზებული და კვალიფიცირებულად არის წარმოდგენილი.



ნაწარმო პირველ თავში — „საკითხის ისტორიდან“ ავტორი ვრცლად მიმოიხილავს და კრიტიკულად აფასებს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის თავისებურებებზე სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებებს და გამოაქვს სწორი დასკვნა — მხატვრული ენის პრობლემის გადაჭრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ენობრივი საშუალებები, არამედ თავიქმის ყველა მომენტი — დაწყებული მსოფლმხედველობიდან, ვიდრე კონკრეტულ ენობრივ-მხატვრულ ნიშნებამდე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება გადმოსაცემი შინაარსის (სათქმელის) და გადმოცემის ენობრივი საშუალებების ურთიერთობის სწორი მეცნიერული გარკვევა.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკური შემადგენლობის საკითხის კვლევასთან დაკავშირებით, შ. ლონტი წერს: „ქართული მწერლობის არც ერთ ძეგლში ლექსიკური შემადგენლობის შიგნით, მეტყველების აქტიური ფორმების გამოვლენების თვალსაზრისით, ისეთი სურათი არა გვაქვს, როგორც „ვეფხისტყაოსანში“. მისი გამოკვლევით, რუსთველის პოემაში გამოყენებულია 7.066 დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. აქედან 3.768 მხოლოდ ერთჯერ გვხვდება. როგორც ავტორი შენიშნავს, ეს ფაქტიც კი გამოდგეობდა რუსთველის პოეტური ენის ამოფურცავთ სიმდიდრის ნათელსაყოფად, მაგრამ მთავარი, არსებითი მანერ ისაა, რამდენად აქვს დაქისრებული ამ ერთხელ ნახმარ სიტყვებს მხატვრული ფუნქცია. „ჩვენი გამოკვლევით, — წერს შ. ლონტი, — აღნიშნული ლექსიკური ერთეულიდან 2.123 სიტყვა სწორედ პოეტური მიზნითაა გამოყენებული“. როგორც აქედან ჩანს, ერთჯერ ნახმარი სიტყვების ნახევარზე მეტს რუსთველი მხატვრული მიზნით იყენებს. პოემაში ცალკე ერთეულბად მიჩნეულია ფორმები ქვევისა, გვირისა და სხვ. დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულბად გაგებულია აგრეთვე საწყისი და მიმღობა.

შრომაში არაერთი საინტერესო მასალით ნაჩვენებია რუსთველის ვირტუოზობა ფორმათა პოეტური მიზნით გამოყენების მხრივ. ასე, მაგალითად, ზმნა „გნახავ“, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, 71 სხვადასხვა ფორმით უხმარია პოეტს და მკვლევარი ხაზს უსვამს, თუ რა გამოამხატველობით სახეცვლილებას იძლევა ეს სიტყვა კონტექსტის მიხედვით; რა და რა შინაარსის გადმოცემა ხერხდება ერთი და იმავე სიტყვით იმის მიხედვით, თუ რა ენობრივ ვითარებაში იყენებს მათ პოემის ავტორი. „რუსთველის სიძლიერე სიტყვათ შემოქმედების თვალსაზრისით სწორედ აქადა ამ მხრივ მის მიერ ხმარებულ სიტყვათაგან ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ელემენტი ზმნაა, რომელიც ადამიანის მრავალფეროვან განცდათა გამოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან ენობრივ ფერმენტს წარმოადგენს. ზმნა—ქართული ენის

დღეაძარღვი — რუსთველის პოემის სიტყვადა სულიცაა“, წერს შ. ლონტი. ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანდ მკვლევარს სამართლიანად მიიჩნია პოეტურ სახეთა მრავალფეროვნება, რომელსაც რუსთველი აღწევს ერთი სიტყვის ხშირად ხმარების დროსაც კი. შ. ლონტის გამოკვლევით, პოემაში სიტყვა „გულს“ სხვადასხვა სიტყვასთან დაკავშირებით უამრავი განსხვავებული ნუანსის გადმოცემა აქვს დაქისრებული. ეს დადასტურებულია მდიდარი საილუსტრაციო მასალით, რომლებიც ორიგინალურსა და საინტერესოდ არის გარჩეული. დასაინათ, რომ ნაწარმოში არ არის მოცემული სხვა სიტყვების ანალოგიური ანალიზი.

ასევე ორიგინალურად და საინტერესოდაა განხილული ნაწარმოში „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის მასალობრივი მხარე. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს რუსთველის შემოქმედებითი მეთოდის რეალისტრობაზე. შოთას მხატვრული ენის მასალა რეალისტური საგნებია და მოვლენებია. როგორია ამ რეალური საგნებისა და მოვლენებისადმი პოეტის დამოკიდებულება? — სვამს კითხვას შ. ლონტი და სათანადო ფაქტობრივი მასალების ანალიზის შედეგად უპასუხებს, რომ ისინი, რეალური საგნები და მოვლენები, „თავიანთი ხასიათით, მიზანდასახულობით, მხატვრული გააზრებით რეალისტურია და სრულყოფილია ასახავს დიდი მკონის უმაღლეს ესთეტიკურ იდეალს ადამიანის, საზოგადოების პარმონიული მთლიანობის შესახებ“. მკვლევარის დასკვნით, რუსთველის ენა ძირითადად განსხვავდება მთელი წინამორბედი და მისი თანადროული ქართული სასულიერო მწერლობის გამომსახველობითი საშუალებებისაგან. ეს დებულება შ. ლონტის დადასტურებული აქვს სათანადო ლიტერატურული ძეგლებთან „ვეფხისტყაოსნის“ მასალობრივი მხარის შედარებით ანალიზით. პოეტურ სახეთა მასალობრივ-სტრუქტურული ნიშნებით რუსთველი მისი თანამედროვეებთან ახლოს დვას ჩახრუხაქსთანო, დასძენს მკვლევარს.

მაღალი და დაბალი შაირის გამოყენების კანონზომიერებას ეხება შ. ლონტი თავისი ნაწარმის მეხუთე თავში და ავითარებს მეტად ორიგინალურ დებულებას. ის არ იზიარებს ამ საკითხზე არსებულ ცნობილ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მაღალი და დაბალი შაირის გამოყენების კანონზომიერება „ვეფხისტყაოსანში“ განწყობილებათა, განცდათა ცვლადობითაა ახსნილი. „ამ საკითხის გადაწყვეტისათვის, — წერს შ. ლონტი, — მთავარია თვით პოეტის მიზანდასახულობის ვათვალისწინება. ეს კი შემდეგში დამოკიდობს: თუ მას სურს ჩქარა გვეუწყოს საქმის ვითარება, — მიმართავს მაღალ-შაირს, პირიქით შემთხვევაში კი დაბალი შაირისა

გამოყენებული. თავისთავად მოქმედების შინაარსი კი არ განსაზღვრავს ლექსის რიტმს; არამედ გარკვეული შინაარსისა და მოტივისადმი თვით პოეტის დამოკიდებულება. ე. ი. ის თვალსაზრისი, თუ რა გარემოებას თვლის ავტორი მოცემულ მომენტში განმსაზღვრელ ფაქტორად მოქმედების განვითარებისათვის“

აქ ერთი მცირე შენიშვნა გვაქვს. ბოლო წინადადებაში გამოთქმას „მოქმედების განვითარებისათვის“ სინათლე აკლია. ვისი მოქმედების განვითარებაზე ახდენს გავლენას ლექსის რიტმი. პერსონაჟის თუ პოეტის? ხომ არ აჯობებდა თქმულიყო „მკითხველზე შთაბეჭდალების გაძ-

ლიერებისათვის“? ილუსტრირებული მასალის ანალიზიც მკვლევარს სწორედ იმ ასპექტში უნდა წარმართული, რომ ყველგან ხაზგასმულია რუსთველის სტილის ესთეტიკური პრინციპები.

შ. ლლონტის მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობით. იგი რუსთველოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია და დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ პირთ, განსაკუთრებით კი სტუდენტ-ახალგაზრდობას.

ნელი დუმბაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი



შეცვა შუბლაძე

პირიმზე

ტრიალ ველზე ბუჩქის ძირას  
 ეღვარებდა პირიმზე.  
 თავი ცისკენ აეღირა,  
 უცინოდა პირით მზეს.  
 სარო ტანი,  
 ელვა — თვალი,  
 და ხიბლავდა კელაპტარი  
 ყველას —  
 გამვლელ-გამომვლელს.  
 გულს იტაცებს მზე-სახე და  
 ღიმი დაუფარავი, —  
 ერთხელ ფესვზეც დაეხედათ  
 არ უცდია არავის.  
 რომ ეკითხათ მისთვის რამე,  
 როგორ ცხოვრობს,  
 ან რა გზით? —  
 სხვისი შრომის  
 მუქთად მჭამელს  
 შეიცნობდნენ პარაზიტს.  
 — ო, იხაროს შენმა ჯიშმა! —  
 შესძახოდნენ გულწრფელად.  
 და არავის შეუნიშნავს  
 ფესვზე ფესვი — წურბელა.





რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში,  
№ 4

ლექსები და კომედიები

ართილაუვა რ. — \*\*\* დგხარ ცხოვრების  
ძლიერ ღელვაში, ღია სარკმელი, № 6.  
არდუნელი ს. — აჰარა... მხარე ჩემი ოცნე-  
ბის, № 3.

ახობაძე დ. — მეპაპიროსევ, ძმობილო!, № 3.  
გაბესკირია ვ. — მიხეილ შოლოხოვს, ყვავი-  
ლი ავღარში, წვიმა ბათუმში, ბათუმის ბაღში,  
ღრუბლები, № 3.

ვლამაძე ლ. — ბედნიერი აქ ვარ მხოლოდ.  
დღისით, მზისით, \*\*\* (ზღვა და ზღვა), პატიე-  
ბა, № 4.

გორგილაძე ზ. — დღევ ხვალინდელი!, ახლა,  
მადლობა, მამა!, № 3; ყინწების ანგელოზი,  
\*\*\* (ვასულა ბევრი...), № 5.

ვარშანიძე მ. — პირიმპე, პიონერის ქანდაკე-  
ბა, გოგონას ბიუსტი, ბაბუა, ამ გულს ლამპრად  
შენ შოგიტან, № 2; მაჭახელა, ჭიბონი, თქვენი  
ჭირი, ია პირს იჩენს, მერე პირიმპეტ... იცი.  
რა მიხარია?, № 5; მწიფობისთვის, \*\*\* (მაპუ-  
რებს და წყაროს მასმევს), \*\*\* (ამ ღაქლაჟა ვარ-  
სკვლავებს), № 6.

თალაკვაძე ნ. — სამშობლოს, ჩემს სოფელს.  
რწმენა, № 1.

მალაზონია ნ. — გული ფართოდ გაშლილი,  
სიცოცხლე, სათქმელი, № 3; აღმაფრენა, ამაგი.  
ქობულეთი, ცისარტყლა, № 4; ქარი, ყვირელი  
ფოთლები, დედა, № 6.

ლორია რ. — ნუ, ნუ ძვირფასო!, № 1.

მუჯავი ქ. — შენთან ვარ მარად!, № 1; სოფე-  
ლო, ტყბილად მოსაგონარო, \*\*\* (მე ჩემი ფიქ-  
რი...), № 5.

მუჯირი ე. — არ დაიჯერო, პატარა ბავშვი,  
\*\*\* (შენ ვერ მიუხვდი...) № 1.

რამიშვილი თ. — უშვილონი, № 3.

როყვა შ. — წისქვილის სევდა, პრომეთეს ცე-  
ცხლი, რთველი და წვიმა, ნუ ამიხირდება, სად  
მიპყიოდნენ ის არწივები, № 2.

რურუა პ. — ბწყარები, ვარსკვლავები, შემო-  
დგომა, № 1; ისევ ნორჩი ხარ... იები, წვეთები  
ზღვაში, № 3.

სალუქვაძე გ. — მიზანი, ნეტავი, მიყვარს  
თბილისი შემოდგომური, \*\*\* (ცაზე რო-  
გორც...), მისამართი, № 2.

სამხარაძე გ. — დადგა ძვირფასი სამოცდაო-  
რი, № 1.

სურმანიძე ა. — რომ შენ იცოდე, № 2, \*\*\*  
(ო, აქ ტყემლების თეთრი ფიფქები...) № 4.

ქათამაძე ჯ. — მე მინდა, ციცინათელა, № 2;  
ქარი, მონადირე, № 6.

შუბლაძე შ. — მოვიაროთ საქართველო, რომ  
სიყვითე მისცეს ყველას, № 3; საოქტომბრო სა-  
ჩუქარი, № 5.

ჩხაიძე ა. — ჩვენი მგზავრობის ლურჯი სალა-  
მი. ერთი ფიფქი დგას, უცოლო კაცი, № 3; ბა-  
ბუაჩემი, № 4; მაშინ როდესაც..., თუ პოეტი  
ხარ... № 6.

ცეცხლაძე გრ. — იღუმალი სტუმარი, № 1.  
წერეთელი ნ. — პორტის შუქურა, № 1.

ჩაყელი ჯ. — მშენებელ ქალს, \*\*\* (ჩრდილი  
წახრილი), \*\*\* (მე მიფიქრია...) დაიზრდებით და  
გაიტანთ ხნულებს, № 1; წარწერა 1941 წლის 22  
ივნისის კალენდრის ფურცლებზე, მარინა, № 3.  
ჩინჭარაძე ს. — რად არ გალობ, № 2.

ჩინჭიხაძე დ. — პალმა, წვიმს..., № 3.

თარგმნილი ლექსები, იბავ-არაპები

ანტოკოლსკი პ. — ნიკო ფიროსმანიშვილი  
(თარგმნა გ. სალუქვაძემ), № 4.

ბახჩოე ისკო — ბათუმს, ქართველ მასწავლემ-  
ბელ ქალს (ქურთულიდან თარგმნა თ. ჯანგუ-  
ლაშვილმა), № 5.

გამზათოვი რ. — მშობლიური ენა (თარგმნა  
ფრ. ხალვაშმა), № 2.

დოლმატოვსკი ე. — ლენინის მთები, დედა-  
მიწის ღერძი (თარგმნა შ. შუბლაძემ), № 4.

დორიზო ნ. — სად დაიბადა რუსთველი? (თა-  
რგმნა შ. როყვამ), № 4.

ევტუშენკო ე. — \*\*\* (დარღმა ერთბაშად...),  
№ 4.

ესენინი ს. — \*\*\* (ყველა სულიერს...), \*\*\*  
(არ გიყვარვარ...), წერილი ქალისადმი (თარგმ-  
ნა გ. სალუქვაძემ), № 6.

კორიუნო მ. — გასაგები ნართული, ბულბუ-  
ლი გალიაში (თარგმნა შ. თვალაძემ), № 4.

მეტიროვი ალ. — ზღვა (თარგმნა ფრ. ხალვაშ-  
მა), № 4.

ტვარდოვსკი ა. — სამშობლოს (თარგმნა  
შ. როყვამ), № 4.

მოთხრობები, ნოველები, მინიატურები,  
მსახიობები

გოლიჩიძე ვ. — მამის ვარსკვლავი, № 1; ჩე-  
მი თვლები, № 4.

დემურხანაშვილი ს. — განგაში, № 4.  
თავაძე ს. — მკრთალი ნათელი, № 5.

კაჯიტაძე გ. — სტუდენტობის სახსოვარი, მო-  
დი, ჩემო გოგოლო, № 2.

ლორია ალ. — თხზმოდამეერთე, № 5.  
ლორია პ. — დაუსჯელი დამნაშავე, № 1;  
შეხვედრა ცოდებთან, № 6.



მოდებამე ნ. — ბრმა, სხვას ასე ჰგონია, № 2;  
 შამა № 5; მათ ერთმანეთი უყვართ, № 6.  
 ხანადირაძე გ. — შთაგონება, კედელი, № 2;  
 შისი ამოსვლის გორა, № 5; ადამიანებს ყოველ-  
 თვის უნდა გვესმოდეს ერთმანეთის, № 6.  
 ურუშაძე გ. — ნიშანი, № 2.  
 უკაქვიშვილი ი. — გემი ნავსადგურში შევიდა,  
 № 1; პალადონი, № 3.  
 შერვაშიძე ა. — მიგოლი, № 4.  
 ძირკვაძე ნ. — რას ჩურჩულებს ნიავი, № 3.  
 ხალვაში ფრ. — კაცის დღე, № 3.  
 ხუროძე დ. — ვის გეუთვნოდა ის ცრემლე-  
 ბი..., № 3.  
 ჯაყელი ჯ. — ხარაჩოებზე, № 5.

**თარგმნილი მოთხრობები, ნოველები**

ანდერსონი შ. — დაკარგული რომანი (ინგლი-  
 სურიდან თარგმნა გ. შაქუტაძემ), № 1.  
 ანტონოვი ს. — შეხვედრა კრემლში (თარგმნა  
 ტ. ხინთიბიძემ), № 6.  
 გამარა პ. — ოქროსფერი მიხაკი (თარგმნა  
 ც. ქორჭოლიანმა), № 4.  
 ისაჰაკიანი ა. — „მოთმინების ჩიბუხი“ (სომ-  
 ჭურიდან თარგმნა გრ. სარქისიანმა), № 3.  
 კაზაკევიჩი ე. — რაზლივში (თარგმნა ტ. ხინ-  
 თიბიძემ), № 2.  
 ლაფიტე უ. — როზ ფრანსი (ფრანგულიდან  
 თარგმნა კ. ჯაშმა), № 2.  
 შურაგოვი ვლ. — პორტრეტი (თარგმნეს  
 ნ. პავლოვამ და მ. ბერძენიშვილმა), № 4.  
 რაევსკი ბ. — ბაბუა მათე (თარგმნა ტ. ხინ-  
 თიბიძემ), № 3.  
 ტრაპეზნი ი. — გარდამავალი ჯარიმა (გაღ-  
 შთაქართულა გრ. ნუტუბიძემ), № 4.

**დღეები და აღმანიანები**

ბელმესი ს. — ხალხის ნდობით აღჭურვილი,  
 № 2.  
 მახმანიშვილი გ. — სოფლის მზრუნველი, № 6.  
 ტულუში ს. — პატიმარყოფილი, № 4.  
 ჩაჩუა რ. — მეჩაიე გოგონა — საბჭოთა პარ-  
 ლამენტის წევრი, № 2.  
 ჩხაიძე აღ. — პირველი ნაბიჯები, № 3.

**პრინტიპა და კუპალიციისტიპა**

ბოლქვაძე კ. — ბურჟუაზიული და რეფორმი-  
 სტული ფელოსოფია იპერიალიზმის იდეური  
 იარაღია, № 3.  
 ვაგესკირია ვ. — მხოლოდ შენიშვნის სახით,  
 № 4; ნამდვილი და ყალბი ნოვატორობის შესა-  
 ნებ, № 6.  
 გობრონიძე აღ. ცხოვრებასთან სკოლის კავ-  
 შირის განმტკიცებისათვის მებრძოლი პედაგო-  
 გი, № 3.  
 გორგილაძე ვ. — კომუნისმის მატერიალურ-  
 ტექნიკური ბაზის შექმნა მთავარი ეკონომიური  
 ამოცანაა, № 5.

დლოძიძე კ. — საბჭოთა პრესის შედროვე/  
 № 3. ქართული  
ენების

ელიზბარაშვილი კ. — შვიდწლედანი  
 წელიწადში, № 4.  
 ვართავა ა., ვართავა ტ. — მასალები ტი-  
 ციან ტაბიძის ბიოგრაფიისათვის, № 4.  
 თურნავა ს. — ვერკორის შემოქმედება და  
 მისი ფილოსოფიური რომანი, № 2; პოლ ელუა-  
 რი, № 6.  
 ლორია ვ. — შანდორ პეტევი და მისი  
 ერთი ლექსი, № 3.  
 მაისურაძე ი. — სოლომონ ბარველი-ასლანი-  
 შვილი, № 6.  
 მეჭველია კ. — ილია ჭავჭავაძე ლიტერატურის  
 ხალხურობის შესახებ, № 5.  
 მოისწრაფიშვილი გ. — ბიბლიოთეკა-გიგან-  
 ტი, № 4.  
 მხატვარი ლ. — „პრავდა“ და აჰარის ბოლშე-  
 ვიკური პრესა, № 3.  
 ნაცვალაძე დ. — მარიამ ერისთავის ლექსები,  
 № 2; გრიგოლ კოლხიძელი, № 4.  
 ნაცვლიშვილი პ. — გალაკტიონ ტაბიძის ერ-  
 თი ლექსის „მე და ღამე“ გამო, № 4.  
 ნოღაიძელი ჯ. — ერთი ტერმინის გამო, № 2.  
 სირაძე რ. — სკვპ პროგრამა — მეცნიერული  
 კომუნისმის დიდმნიშვნელოვანი შენაძენი, № 2.  
 სიხარულაძე შ. — გაზეთი „შრომა“ და მისი  
 თანამშრომელი, № 3.  
 ქუროძე შ. — კაპიტალისტური დასავლეთი გა-  
 ლაკტიონ ტაბიძის ლირიკაში, № 1; ბუნება და  
 ადამიანი კოლხ ნადირაძის პოეზიაში, № 2; და-  
 დებითი გმირის პრობლემა ანტონ ფურცელაძის  
 შემოქმედებაში, № 5.  
 შამელაშვილი რ. — გიორგი ლეონიძის პოე-  
 ზიის ენა, № 5.  
 ჩავლიშვილი აღ. — ილია ჭავჭავაძის—„აჩრ-  
 დილის“ XXII-XXIII თავების შესახებ, № 1;  
 „ვამებ გვირგვინიანის პროტოტიპის საკითხი-  
 სათვის“, № 3.  
 ჩხაიძე ს. — „და“ კავშირისათვის „ვეფხის-  
 ტყაოსანში“, № 2.  
 ხმალაძე პ. — დუტუ მეგრელი, № 2.  
 ჩინჭარაძე გ. — სიტყვა „მედიცინის“ ეტიმო-  
 ლოგიისათვის, № 1.  
 ჯორბენაძე პ. — როზა ლუქსემბურგი მხატვ-  
 რული ლიტერატურის შესახებ, № 4.

**ლიტერატურული კალენდარი**

აბაშიძე ი. — ერთი ფურცელი წარსულიდან,  
 № 6.  
 დუმბაძე ნ. — ქართული ლიტერატურის კლა-  
 სიკოსი, № 5.  
 ნოღაიძელი ნ. — ილია ჭავჭავაძე და აჰარა,  
 № 6.  
 ქუროძე შ. — ილია ჭავჭავაძე და თანამედ-  
 როვეობა, № 6.  
 ჩიქოვანი ლ. — საბავშვო ლიტერატურის

ამგვარი, № 1; დიდი რუსი რევოლუციონერი  
დემოკრატი, № 2.

### კუპალიკაცია

მგელაძე ს. — აქარას, № 3.

### ტურნისტის ჩანაწერები

გელაძე ლ. — ალექსანდრიდან კაირომდე,  
№ 1.

### ფოლკლორი

დუმბაძე ნ. — დიდაქტიკურ-აღმზრდევლობითი  
მოტივი ქართულ ხალხურ შრომის პოეზიაში,  
№ 2.

მსხალაძე ალ. — აქარის ფოლკლორის კვლე-  
ვის ისტორიიდან, № 6.

ნოლაიდელი გ. — თქმულებები და გადმოცე-  
მები აქარაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე,  
№ 4.

### ხელოვნება

კიკნაძე ვ. — საბჭოთა თეატრის სიამაყე, № 5.  
შარაშიძე ვლ. — ქეთევან მაღალაშვილის ნა-  
წარმოებთა გამოფენაზე, № 4.

### ამბარის წარსულიდან

ახვლედიანი ა. — ოლქა, ოლქობა, № 1.

ახვლედიანი ხ. — ხალხის ერთგული შვილი,  
№ 2; ევგენი დალევია დ'ალესიო საქართველოს  
შესახებ, № 5.

მგელაძე ვლ. — პეტრე უმიკაშვილი ქობუ-  
ლეთის შესახებ, № 4.

მეგრელიძე შ. — ერთი საგულისხმო ისტო-  
რიული ფაქტი, № 1.

მეგრელიძე შ., სურგულაძე ა. — ახალი სა-  
ბუთები 1862 წლის მღვდვარების შესახებ აქა-  
რაში, № 4.

სიხარულიძე ფრ. — თავდგირიძეთა უძველესი  
ისტორიიდან, № 4.

### ეკონომიურ თემაზე

ბაბილოძე კ. — მუშახელი მეჩაიეობის კო-  
ლმეურნეობათა უზრუნველყოფის საკითხისათ-  
ვის, № 3.

### სკორტი

შაშიკაშვილი მ. — ბათუმელი გოლიათი, № 4.

### ბეჟინის სიხალენი

ძნელაძე ლ., კოსტავა ნ. — ადამიანი კოსმოს-  
ში, № 1.

### წიგნის თარო

აბაშიძე ზ. — ზოგიერთი შენიშვნა „უნიდა-  
გოს“ გამო, № 1.

არველაძე ს. — „უკვდავი სიცოცხლე“, № 1.

ართილაყვა ზ. — საკირო წიგნი, № 5.

გორგილაძე ვ. — სასარგებლო მონოგრაფიუ-  
ლი ნაშრომი, № 1.

დუმბაძე ნ. — საყურადღებო მეცნიერული  
გამოკვლევა № 6.

კოკია ალ. — ფრიდონ ხალვაშის ახალი ლექ-  
სები, № 5.

მებუჯე გ. — მოთხრობები ჩვენს თანამედრო-  
ვეებზე, № 3.

ჩიქოვანი ლ. — აქარის ისტორიული წარსუ-  
ლის ამსახველი რომანი, № 4.

ხუჭუა გ. — ქართული (აქარული) ხალხური  
სიმღერების კრებული, № 2.

### სატირა და იუმორი

მიშველაძე რ. — როგორ გაეხდი პოეტი, № 2  
შუბლაძე შ. — პირიმზე, № 6.

ჩხაიძე ნ. — ცემენტის სახლი, № 4.



---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XII, 1962 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო 7  
თაბახი, შეკვეთის № 6662, ემ 00656. ქალაქის ზომა 70X108. ტირაჟი 2000.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობისა და  
გამომცემლობათა მთავარი სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ლუქსემბურგის, 22)

შანი 40 კპპ.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

*„ლიტერატურული ადჯარა“*

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ